ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №8 (32), 2013, აგვისტო ფასი 3 ლარი

ისტორიანი

ბაბილონელების ნინაპარი

ბაგადატ ბივრიტის ძე

იმპერატორის ოჯახის ალასასრული

ახალი დეტალები

ოთარჭალა – ბალღების ტანძული

ქართველი ტყვეები პირველ მსოფლიო ომში

ბრიუნვალდის ბრძოლა

ბელადი ნეიროსიფილისით

ქართველების გმირული ეპოპეა

ანა ანტონოვსკაია

დიდი მოურავი

14 წიგნად

ნიბნი XIV

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ჩოგორი „ბაქრა“ საქართველოს ძველი ისტორია

თეკლა ბატონიშვილის სასახლე

„უსხო მოყმეს“ მსოფლიო უფრო ახლოს გაისნობს

ფოჩე მოსულიშვილის გმირობა

ბანკო – ჰიპაბიბლიური ხიდობანი

სარჩევი

ახალი ამბები
„უცხო მოყმეს“ მსოფლიო უფრო ახლოს გაიცნობს 6
„უმი ფაბლი“ ბელადის ყორღანიდან 8

ჰეკლიჯა
რობერ „გაქრა“ საქართველოს ძველი ისტორია 10

ქართული სიძველეები
საგანგებოდ დამახინჯებული ტაძარი 12

სამხედრო ტყვეები
ქართველი ტყვეები და პირველი მსოფლიო ომი 20

ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის ჰეროლესია
ფშავ-ხევსურეთის გაფიცვის სისხლიანი დასასრული 25

ახალი ამბები
დინოზავრები ბრუნდებიან?! 31

საბჭოთა ლიდერების პოჰტრეტები
ბერია ხელისუფლების მწვერვალზე 32

ქართველი პატიზანები იტალიაში
ფორე მოსულიშვილი და ქართველ პარტიზანთა გმირობა 40

ახალი ამბები
უძველეს საფლავებს ყვავილებით ამკობდნენ 45
შოტლანდიური კალენდარი მესოპოტამიურზე ძველია 45

ძველი თბილისის ისტორიიდან
ბაღების კუნძული — ორთაჭალა 46

სარჩევი

ახალი ამბები
ნაციზმის ერთ-ერთი იდეოლოგის დღიური ნაპოვნია 52

ბიბლიოფილები
ბაგრატი, ძე ბივრატისა — ბაგრატიონთა წარმომავლობა 53

ჩომანოვების ტრაბედია
იმპერატორის ოჯახის აღსასრული 57

მესიის ისტორია
როკფშუსიკის გრიგალი 66

აღმოსავლეთ ევროპის ისტორია
გრიუნვალდის ბრძოლა 74

ქრისტიანობის ისტორია
მართლმადიდებლობა ამერიკაში 82

დიქტატორის საიდუმლოებები
ბელადი ნეიროსიფილისით 89

ჩეხოვისეული ძველი თბილისიდან
თეკლა ბატონიშვილის სასახლე 96

თამაშების ისტორია
ბანქო — არაბიბლიური კიდობანი 102

სხოვრება
ჯემალ ღაღანიძე: გაწყვიტდა მწუხრის ზარები 109

ეროვნული
გოდერძი შარაშია: ისტორიის გამოცდა ლევან სანიკიძესთან ჩავაბარე... 115

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
500 ფაქტი ისტორიიდან 118

სკანვორდი 122

ჰედაქტორის სვეტი

ახალ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ ლენინის, პროლეტარიატის „სამამაცალითო ბელადის" ნამდვილ სახეს...

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ვლადიმირ ილიჩ ლენინის ბიოგრაფიას საბჭოთა პერიოდში შარავანდედით მოსავდნენ. ყველა „მოძმე რესპუბლიკის" დედაქალაქში (და არა მხოლოდ) იყო ილიჩის მუზეუმი, მოედანი, ძეგლი (ზოგჯერ რამდენიმეც!). იკრძალებოდა დიდი ბელადისადმი მიმართული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, ანეკდოტები, „მეგობრულ" შარჟსაც ვერავინ დახატავდა. ახალგაზრდა თაობას ეს არ ახსოვს, მაგრამ საშუალო და უფროსი თაობა ამ ავადმოსაგონებელ საბჭოთა რეჟიმს მოესწრო. ათობით ეპითეტით ამკობდნენ ლენინის სახელს, დღეს ღიმილს რომ იწვევს თითოეულ ჩვენგანში. ლენინი იყო მამა, მასწავლებელი, შუქურა, მზე, ბელადი, მხსნელი, დამცველი და რა ჩამოთვლის ყველა ამ ეპითეტს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქა-იქ გაიგონებდით „საშინელ ჭორებსაც", დიდი ილიჩის სახელს ჩრდილს რომ აყენებდა და „ბღალავდა". საბჭოთა რეჟიმი, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ მალავდა ლენინის ბიოგრაფიის „არასასურველ" ფურცლებს. სწორედ ასე, საიდუმლოდ, ჩურჩულით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „მამა და მასწავლებელი", პატიოსნების სიმბოლო ლენინი გარდაიცვალა, არც მეტი და არც ნაკლები, ვენერიული დაავადებით — სიფილისით. კრემლის მესვეურები ასევე ასაიდუმლოებდნენ ილიჩის სიცოცხლის ბოლო პერიოდის ფოტოებს.

ჟურნალმა „ისტორიანმა" გადაწყვიტა, მკითხველს მოუთხროს „დიდი საბჭოთა ბელადის" სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე. აქვე ქვეყნდება საინტერესო ფოტოებიც, რომელთა ნაწილი საზოგადოებას ნანახი აქვს, ოღონდ შეცვლილი, რეტუშირებული სახით, სადაც სნეული ლენინი უჩვეულოდ ჯანმრთელად გამოიყურება. ასეთი იყო საბჭოთა პროპაგანდა და საზოგადოებაც ამგვარი ტყუილების გარემოცვაში იმყოფებოდა ათწლეულების განმავლობაში. ამ ფოტოთა დედნები კი სინამდვილეში ისე გამოიყურებოდა, როგორც დღეს გთავაზობთ.

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი"

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი"**.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

„ᲣᲪᲮᲝ ᲛᲝᲣᲛᲔᲡ“ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲑᲡ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐᲛᲘᲐ

96 ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ 94 ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, ᲝᲠᲘ ᲙᲘ ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲝᲓᲚᲔᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ, ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲞᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ, ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲨᲘ („ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ“) ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ XVII-XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲠᲘᲦᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ, „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲜᲐᲮᲔᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲛᲝᲣᲛᲔ ᲕᲘᲜᲛᲔ... — ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲗᲐᲕᲐᲥᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲜᲣᲡᲮᲐ, 1646 Წ.

ᲥᲔᲗᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ *(ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ):* „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲔᲠᲐᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲘ, „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ“.

ᲓᲣᲒ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘ *(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ):* „ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲘᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲑᲣᲑᲐ ᲙᲣᲓᲐᲕᲐ *(ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ):* „ᲓᲦᲔᲛᲓᲔ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲡᲣᲚ 190-ᲛᲓᲔ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲛᲐ ᲛᲝᲐᲦᲬᲘᲐ. ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ, ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐᲪ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ 94 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲩᲐ. ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲣᲚ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ. ᲔᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕ-

ნული ცენტრის უკვე მეორე კოლექციაა, რომელიც იუნესკოს რეესტრში მოხვდა. 2011 წელს, ამ ნუსხაში ცენტრში დაცული ოთხასზე მეტი ხელნაწერი შევიდა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი კოლექციის ერთობლივი, ქართულ-ბრიტანული ნომინაცია, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და ბოდლეს ბიბლიოთეკამ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად 2012 წელს წარადგინეს.

2013 წლის ივნისისთვის განაცხადმა ყველა შესარჩევი ეტაპი წარმატებით გაიარა და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის საიუბილეო, 300 წლისთავზე, უძველესი კოლექცია მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. ხელნაწერთა უმეტესობა დაზიანებულია და აღდგენა-რესტავრაციას საჭიროებს. იუნესკოს საერთაშორისო დოკუმენტური რეესტრი კი ძეგლების მოვლასა და აღდგენაზე ზრუნვასაც ითვალისწინებს.

„ვეფხისტყაოსნის“ დღემდე მოღწეული ხელნაწერებიდან უძველესი სრული ვერსია მამუკა თავაქალაშვილს ეკუთვნის და ის 1646 წლით თარიღდება. გარდა ამისა, XVII საუკუნის 60-იანი წლებით თარიღდება და ერთ-ერთი უძველესია იოსებ თბილელის მიერ გადაწერილი ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“.

კალიგრაფიულად და გაფორმებით ერთ-ერთი გამორჩეულია 1680 წელს ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტიროზაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ (ბეგთაბეგისეული ნუსხა). აღსანიშნავია ასევე პაპუნა ბებურიშვილისეული ხელნაწერი (გადამწერი უცნობია).

XVII საუკუნეშია შესრულებული თარხან მოურავისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დღეს ოქსფორდში ინახება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცულია ასევე სულხან-საბა ორბელიანის ხელით ნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ და XVIII საუკუნის ნუსხა, რომელიც წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ სახელწოდებითაა ცნობილი. წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ გამორჩეულია მინიატურების სიმრავლით.

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი შესრულებულია XIX საუკუნეშიც.

ნინო ჯაფარიძე

თინათინის გამეფების სცენა — მინიატურა წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნიდან“

„ვეფხისტყაოსანი“ — ბეგთაბეგისეული ნუსხა

„უმი ნაბლი“ ბელადის ყორღანიდან

უნიკალური აღმოჩენა ანანაურში და თაფლში ამოვლებული კენკროვნები

N3 ყორღანის ხით გადახურული კამერა

ქართველმა მეცნიერებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის მახლობლად, მდინარე ალაზნის ჭალაში, ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანს მიაკვლიეს. სხვა არტეფაქტებთან ერთად, სამარხში სამი დასაკრძალავი ურემი, კერამიკა და ქარვის მძივები აღმოჩნდა. სპეციალისტთა განმარტებით, ეს მთელ წინა აზიაში ქარვის მძივის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. საქართველოში ქარვა არ მოიპოვებოდა და ის, სავარაუდოდ, შემოტანილი უნდა იყოს.

სამარხში უხვად გვხვდება შალისა და თექის ფრაგმენტები. ამას გარდა, არქეოლოგებმა ყორღანში საღად შენახული თხილი და ნაბლი, ასევე თაფლში ამოვლებული კენკროვნები — ონტყოფა და კვრინჩხი იპოვეს. სპეციალისტთა თქმით, მოპოვებული მასალა მიცვალებულის პირის სიძლიერეს უსვამდა ხაზს, ვისთვისაც ყორღანი აშენდა.

რაც შეეხება ყორღანს, ასეთი მასშტაბის სამარხი საქართველოში ბოლო 40 წელიწადია არ შესწავლილა. იმის მიუხედავად, რომ სამარხი ორჯერ გაუძარცვავთ, რასაც ექსპედიციის წევრთა აზრით, ყორღანში გაყვანილი ორი გვირაბი მოწმობს, მიაკვლიეს 27 ნივთს, რომელთა შორის უმეტესად სამკაულის ნარჩენებია. ერთ-ერთი საკიდის ორნამენტები კი ძალიან ჰგავს წნორის ყორღანში აღმოჩენილი ლომის ქანდაკებისას.

წინასწარი ინფორმაციით, ანანაურის ახალგათხრილი ყორღანი №3, რომლის დიამეტრი 100, სიმაღლე კი 12 მეტრია, ტომის ბელადისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და მას, სავარაუდოდ, რამდენიმე ტომის მოსახლეობა აშენებდა. მშენებლობა ალბათ თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

არქეოლოგთა განმარტებით, საქმე იშვიათ შემთხვევასთან იმიტომაც გვაქვს, რომ ყორღანში, ერთის ნაცვლად, ბელადის სამი ურემი აღმოჩნდა მათზე დასვენებული ოთხი ცხედრით. ურმების ქვეშ კი სამი ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რაც სპეციალისტთა აზ-

დასაკრძალავი ეტლის ბორბლები

აღმოჩენილი არტეფაქტები

რით, მონების არსებობასა და გარდაცვლილისთვის მსხვერპლშეწირვის რიტუალზე უნდა მიანიშნებდეს.

სამარხში აღმოჩენილი შვიდი ცხედრიდან ჯერ მხოლოდ ორია შესწავლილი. მათი კვლევისას სპეციალისტებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი აღნუსხეს, თავის ქალები თაფლით არის დამუშავებული, რაც მეცნიერთა განმარტებით, მუმიფიცირების მეთოდი უნდა იყოს.

სპეციალისტთა ინტერესს ურმის ბორბლის სამაგრიც იწვევს, რომლის თავი სპილენძითაა დაფარული, თუმცა შიგთავსი დაუდგენელი მადნით არის დამზადებული. სამაგრი ლაბორატორიული შესწავლისთვის გერმანიაში გაიგზავნა.

ყორღანისა და მოპოვებული მასალის შესწავლა კვლავაც გრძელდება და საბოლოო დასკვნა მალე გახდება ცნობილი. მათ შორის ისიც, არსებობდა თუ არა ნათესაური კავშირი ურემზე დასვენებულ ოთხ გარდაცვლილს შორის და დადგინდება მათი სქესიც.

ექსპედიცია ანანაურის ყორღანში ოთხი თვის განმავლობაში, შარშან ივნისიდან ოქტომბრამდე მუშაობდა. თავდაპირველად გორაკის თავი ხეებისა და ბუჩქნარისგან გაიწმინდა, შემდეგ კი ყორღანის გათხრა დაიწყო. 12 მეტრი სიმაღლის მიწაყრილის ქვეშ 25 მეტრი სიგრძისა და 15 მეტრი სიგანის მოედანი გამოჩნდა.

მრგვალი, გორაკის ფორმის სამარხი გადახურული იყო რიყის ქვებით, რომლის ქვეშაც ფენა-ფენა ეყარა თიხა, ხოლო თიხის ქვეშ, მოწითალო-მოოქროსფრო ბუნებრივი საღებავი ოქრა (ჟანგმიწა) და ნაფოტები. ყორღანის ცენტრში კი მოთავსებული იყო ხის მორების ორი მწკრივისგან აგებული მიცვალებულის დასასვენებელი კამერა, რომელიც ჭილოფით იყო გადახურული.

ნივთების უმეტესობა სამკაულის ნარჩენებია
ეროვნული მუზეუმის ფოტოები

სპეციალისტთა განმარტებით, სავარაუდოდ, სწორედ დასასვენებელი კამერის ჭერის ჩამოშლის შედეგად შეიქმნა მიკროკლიმატი, რომელმაც სამარხში მოთავსებული ხილი შემოინახა. თანაც იმდენად კარგად, რომ შესწავლისას თაფლში ამოვლებულმა ონტყოფამ ლაბორატორიაში თაფლის არომატი დაატრიალა.

მეცნიერები ყორღანს ბედენური კულტურის ნიმუშს ამსგავსებენ, თუმცა დასკვნების გაკეთებასაც არ ჩქარობენ. ამჟამად აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია მიმდინარეობს და სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპედიციის მიერ მოკვლეული მასალების გამოფენაც იგეგმება.

„ისტორიანი“

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით
(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)
პალიტრა მედია გისმენთ!..
დარეკეთ: 219 60 13
მოგვწერეთ: contact@palitra.ge
ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)
საფოსტო ყუთების საშუალებით

რობერ „ბაქრა" საქართველოს ძველი ისტორია

„ისტორიანის" მკითხველებს უკვე ორჯერ მოვახსენებდი, როგორ მოხდა ჩვენი ისტორიის იგნორირება ორ თანამედროვე რუსულ გამოცემაში. ამჯერად კიდევ უფრო მეტად გამაოგნებელ ფაქტზე შევჩერდები. ამბავი ეხება ამერიკელი (აშშ) ისტორიკოსის, სიუზენ უაიზ ბაუერის წიგნს „ძველი მსოფლიოს ისტორია", რომელიც პირველად 2007 წელს გამოქვეყნდა, ხოლო რუსულად მოსკოვში 2011 წელს დაიბეჭდა.



სიუზენ უაიზ ბაუერის წიგნი „ძველი მსოფლიოს ისტორია"

წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი ფორმატის თითქმის ათასგვერდიან ნაშრომში საქართველოს, ქართველების ხსენებას ვერსად წააწყდებით. ვთქვათ, ტერმინები „საქართველო" და „ქართველები" შუა საუკუნეებში გაჩნდა და ეს პერიოდი ავტორის თხრობის არეალიდან გამოდის, მაგრამ „კოლხიდა" (კოლხეთი) და „იბერია" (ქართლი), შესაბამისად, „კოლხები" და „იბერიელები" ხომ არსებობდნენ! მაგრამ ფაქტია, რომ სხვა ვითარებაა ტექსტსა და თანდართულ რუკებზე.

491-ე გვერდზე მოთავსებული რუკის მიხედვით, საქართველო კიმერიელების (ინდოევროპული წარმომავლობის) ტერიტორიად არის ნაჩვენები. 541-ე გვერდზე არსებული რუკის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა სკვითების საცხოვრებელი გამხდარა. მეტიც, 627-ე გვერდზე მოთავსებული რუკის თანახმად, ჩვენს ტერიტორიას ასეთი ლეგენდა ახლავს: „სკვითების მიწა-წყალი, დაახლ. ძვ.წ. 700 წელი". რუკის ბოლოს კი ასეთი მინაწერია: „სკვითების წინარესამშობლო". ისრით ნაჩვენებია, როგორ განსახლებულან ისინი აქედან დუნაის ქვემო წელში ძვ.წ. 550 წლისთვის. რა თქმა უნდა, მსგავსი უაზრობების შემჩნევა რუს რედაქტორს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ შესაბამის რეაქციას ვერ ვხედავთ.

583-ე გვერდის მიხედვით, რომელზეც „კიროს დიდის იმპერიაა" ნაჩვენები, ჩვენი ქვეყანა არ არის შეტანილი ამ გაერთიანების შემადგენლობაში, მაგრამ 721-ე გვერდის მიხედვით, იგი „ალექსანდრეს იმპერიის" საზღვრებშია მოქცეული. რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში „საქართველო" (ანდა „კოლხიდა" და „იბერია") არ მოიხსენიება.

„ახალი სპარსეთის იმპერიის" ანუ სასანიანთა იმპერიის შემთხვევაში „ბედმა გაგვიღიმა" და არმენიაში ამოვყავით თავი. ასევე გახლავთ მანამდე პართიასთან დაკავშირებით. ამჯერადაც, ცხადია, ჩვენი ქვეყნის სახელწოდების მოუხსენიებლად.

რაც შეეხება მესხებს (ასირიული წყაროებით, მუშქებს), რომელთაც შეტაკება ჰქონდათ ასურეთის მეფე ტიგლაპალასასი I-თან (ძვ.წ. 1115-1077 წწ.), ისინი თურმე, სავსებით კატეგორიული მსჯელობით(!) ფრიგიელები, სომხური წარმომავლობის ხალხი ყოფილან.... ძნელი არ არის აღნიშნული შეხედულებისთვის ისტორიოგრაფიული საფუძვლის მოძებნა. ეს არის რუსი ისტორიკოსის, იგორ დიაკონოვის მოსაზრება, რომლის წიგნიც არაერთგზისაა მითითებული.

მიუხედავად ამ ისტორიკოსის შესახებ დღევანდელ რუსეთში გაბუქებული აზრისა, ჩემე-

ული მტკიცე შეხედულებით, იგი, ივანე ჯავახიშვილის ირონიული გამოთქმისა არ იყოს, „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მეთოდის“ ისტორიკოსია.

ჩნდება კითხვა: როგორ მოახერხა ამერიკელმა ავტორმა საქართველოს ისტორიის ამგვარად უგულებელყოფა? ხომ ცხადია, რომ საქართველო (კოლხიდა-იბერიის სახელწოდებებით) ჩართული იყო ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ისტორიულ სისტემებში და უთუოდ განიცდიდა შესაბამისი ქვეყნების ზემოქმედებებსაც.

ნუთუ ავტორი არ დაინტერესებულა არგონავტების მითით, ანდა იმით, თუ რომელ ტომებთან ჰქონდა კონფლიქტი ასურეთის აღნიშნულ მბრძანებელს ზემო ზღვამდე (შავ ზღვამდე) ძვ.წ. 1112 წლის ლაშქრობისას?

როგორ მოხდა, რომ მან გვერდი აუარა ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) ცნობას დღევანდელ საქართველოში კოლხებისა და სასპერების (ანუ იბერების) ცხოვრების შესახებ? ნუთუ ძვ.წ. 401 წლის ამბების თხრობისას, როცა ბერძენთა ათიათასიანმა ლაშქარმა გაიარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, იგი არ დაინტერესდა აქ მცხოვრები ხალხებით? ან პონტოს სამეფოს მოსახლეობით? ანდა, როცა იგი ძვ.წ. 65 წლის (წიგნში 66 წელია მითითებული) პომპეუსის ლაშქრობას შეეხო, რატომ არ შეეცადა იბერთა ეთნიკური ვინაობის გარკვევას, ამის თაობაზე ხომ თვითონ ბერძენ-რომაელი ავტორები მოგვითხრობენ?!

გაოცებას იწვევს ამერიკელი ისტორიკოსის წიგნში გაჩენილი „უფსკრული“, რომელშიც ჩვენი ძველი ისტორია „გაუჩინარდა“. თორემ საერთოდ სიუზენ უაიზ ბაუერის „ძველი მსოფლიოს ისტორია“ საინტერესოდ იკითხება. მასში მეცნიერული დონე ნაკლებია, მაგრამ პუბლიცისტური, ისტორიის პოპულარიზების თვალსაზრისით ნამდვილად მისაბაძია. კარგი იქნებოდა, ქართველი ისტორიკოსები ამ წიგნს გულდასმით გაცნობოდნენ.

რუკის ფრაგმენტი სიუზენ უაიზ ბაუერის ბლოგიდან

დასასრულ დავძენ, რომ ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი თავად ქართველებსაც კი ვერ გაგვირკვევია. იქნებ მის გადასაწყვეტად სათანადო ძალისხმევა გამოვიჩინოთ?

გურამ ყორანაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

talizi
თმის გადანერგვის ცენტრი
ტაშკენტის 27. ტელ: 2141515
WWW.TALIZI.GE

საგანგებოდ დამახინჯებული ტაძარი

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

„ხალხთა თაობების ისტორიული მეხსიერებით გაჟღენთილი ძეგლები დღემდე რჩება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ცოცხალ მოწმედ“, — ამ სიტყვებით იწყება თანამედროვე მსოფლიოს ძეგლთა დაცვის პრინციპების ფუძემდებლური დოქტრინა — „ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია“, იგივე „ვენეციის ქარტია“ (1964 წ.).

XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სწორედ რომ ქართველებისა და აფხაზების ისტორიული მეხსიერების მქონე უმნიშვნელოვანესი სალოცავია, რომელიც მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ცენტრიდან აღმოსავლეთით სამ კილომეტრზე.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით, „ზღვის კიდეზედ... არს ილორის ეკლესია წმინდა გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“.

ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, XI საუკუნის ქართული არქიტექ-

ილორის ტაძარი „რესტავრაციის“ შემდეგ

ტურისთვის დამახასიათებელი მოხდენილი პროპორციებით. მისი გეგმა ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა, რომლის ზომებია: სიგრძე — 11,3, სიგანე – 7, სიმაღლე — 10,5 მეტრი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ერთი სამხრეთიდან, ერთიც — დასავლეთიდან. დარბაზის სივრცე განათებულია ორ-ორი სარკმლით ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადიდან, თითო-თითო სარკმლით აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადიდან. საკურთხეველში, აღმოსავლეთის სარკმლის ორივე მხარეს, თითო მაღალი ნიშაა მოწყობილი. ეკლესიას სამი მხრიდან სხვადასხვა ეპოქის მინაშენი აქვს.

ეკლესიის კედლები ნაგებია თლილი ქვის წყობით კირდუღაბის ხსნარზე. ტაძრის ძირითადი კორპუსის ფასადები სადა ფორმისაა – თაღები ლილვების გარეშე. ტაძრის ძირითად სამკაულს შეადგენდა კარ-ფანჯრების გარშემო არსებული ჩუქურთმიანი არშიები. არშიები არის ნახევარწრიული ფორმის მცირე ზომის მხრებით, ისეთივე სახის, როგორიც ამ დროისა და ამ ტიპის სხვა ქართულ ტაძრებშია წარმოდგენილი. მაგალითისთვის დავასახელებთ, პატარა ონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას რაჭაში და ასევე მერევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ზემო იმერეთში.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილია ექვსი ლაპიდარული წარწერა, რომელიც ქართული დამწერლობის განვითარების სამივე ეტაპის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. წარწერებში მოხსენიებულია ტაძრის აღმშენებელი საერო და საეკლესიო ქტიტორები: ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენიძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი, მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, გალატოზები გიორგი და მიქაელი, ადგილობრივი მლოცველები. ექვსი წარწერიდან ერთ-ერთი საგულდაგულოდ წაშალეს XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როცა ჯერ კიდევ იკითხებოდა გიორგი გურგენიძისა და გიორგი ქოჩოლავას, ხოლო ფრაგმენტულად მთავარეპისკოპოსის, გალატოზებისა და მლოცველების წარწერები. აღნიშნულ წარწერებს მნიშვნელოვანი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვთ, რადგან ეს არის უტყუარი ფაქტი, რა ენაზე და რომელი დამწერლობით ახდენდა თვითიდენტიფიკაციას ადგილობრივი მოსახლეობა.

XVII საუკუნეში ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657) ინიციატივით ტაძარი შეკეთდა და მოიხატა. მისი კარი ვერცხლის ფირფიტებით მოიჭედა, სადაც გამოსახული იყო წმინდა გიორგის სასწაულები.

1736 წელს ილორის ტაძარი ოსმალებმა გადაწვეს. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს: „მოვიდნენ ოსმალნი ილორს. არამედ ხატნი, ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი“. მიუხედავად ამისა, ოდიშის მთავრების ძალისხმევით ტაძრის საფუძვლიანი აღდგენა მოხერხდა.



ილორის ტაძარი რუსების მიერ გადაკეთებამდე

ილორის ეკლესიის შესახებ ცნობები დაცულია კათოლიკე მისიონერების, ჟან შარდენის, ფრედერიკ დებუა დე მონპერეს, მარი ბროსეს, ანდრეი პავლინოვის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა თხზულებებში. „სამურზაყანოში... ძველი კოლხეთის ნაწილში, არსებობს უძველესი ტაძარი, რომლის სახელიც საოცარ ისტორიულ მოგონებებს უკავშირდება. მისი სახელი გახლავთ ილორი“ (ჟან შარდენი).

XIX საუკუნის დასაწყისში (1811 წ.) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმების შემდგომ, მეფის რუსეთის სასულიერო პირები (ეგზარქოსები) მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც მისიონერული საქმიანობის საფარქვეშ, არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციის საბაბით, ქართულ მონასტრებს (ბიჭვინთა, ახალი ათონი, დრანდა, მოქვი) მიზანმიმართულად ამახინჯებდნენ.

1835 წელს ისლამის დროშის ქვეშ რუსი

ილორის ტაძარი. XX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო

მმართველების წინააღმდეგ გამოსული სმიალა ჯოპუას პარტიზანული რაზმი თავს დაესხა ტაძარს. ეკლესიის კედლებს შიგნით გამაგრებულ რუს ჯარისკაცებთან შეტაკების შედეგად ტაძარი საგრძნობლად დაზიანდა. XIX საუკუნის 40-იან წლებში ტაძრის აღდგენა კვლავაც ოდიშის მთავრების ძალისხმევას უკავშირდება.

რუსეთ-თურქეთს შორის გამართული ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, ტაძარი თურქმა დამპყრობლებმა დააზიანეს. თავად მიხეილ შერვაშიძის ბრძანებით 1860 წელს ილორის ტაძარი შეკეთდა. თუმცა ტაძრის, როგორც შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლის მეცნიერულ დონეზე რესტავრირების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია... სამუშაოს შემსრულებელი გახლდათ ეროვნებით თურქი, ისლამის მიმდევარი.

XX საუკუნის დასაწყისში რუსმა ეგზარქოსებმა ილორის ტაძარი გადააკეთეს — დაამახინჯეს. მათ ტაძრის ტევადობის გაზრდის მიზნით გაანგრიეს ეკლესიის დასავლეთის კედელი (დაახლოებით 6-8 კვმ-ზე. ნგრევას შეეწირა დასავლეთის კარის ღიობი). დაშალეს დასავლეთი კედლის წინ მდგარი კარიბჭე და ამ მხრიდან ეკლესიას ახალი მოცულობა მიაშენეს, რომელიც ძირითად კორპუსს თაღოვანი გასასვლელით დაუკავშირდა. დაშლილი კარიბჭე ამ ახალი მინაშენის წინ გადმოიტანეს. სამხრეთის ფასადზე არსებული კარის ღიობი სამხრეთ მინაშენის ინტერიერში მოექცა და შეილესა. აქ კარის თავსართის ნახევარწრიული ფორმა და ტიმპანის ქვა აღარ იკითხება.

ამავე პერიოდში განხორციელდა ეკლესიის სარკმელთა გადაკეთება (მოიხსნა ჩუქურთმები. ერთადერთი ჩუქურთმიანი სარკმელი შემორჩენილია დასავლეთ ფასადზე) და ღიობების გაგანიერება (თაღოვანი ფორმა შეიცვალა სწორკუთხათი). ეკლესიის მთელ პერიმეტრზე მთლიანად გამოიცვალა კარნიზი. შეიცვალა კარნიზის ფორმა — წრეთარგის ფორმა სტალაქტიდურით.

ეკლესიის ინტერიერი, ფასადი შეილესა, კირხსნარით შეთეთრდა და მოიხატა. კრამიტის სახურავი თუნუქმა შეცვალა. სახურავის კეხზე მოეწყო მცირე ზომის ცრუ გუმბათი (უსარკმლო). იგი ქმნიდა ილუზიას თითქოს ტაძრის ინტერიერი გუმბათიდან ნათდებოდა. ამგვარად, ქართულმა ტაძარმა სახე იცვალა და უცხო სამოსელში აღმოჩნდა გახვეული.

1913 წელს რუს ეგზარქოსებს უნდოდათ, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რუსულ დედათა მონასტრად გადაეკეთებინათ. ხსენებულთან დაკავშირებით გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პუბლიცისტი, 1921-1927 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) აღნიშნავდა: „ილორის ტაძრის რუსულ მონასტრად გადაკეთებისას მის არქიტექტურას რესტავრაციის საბაბით დამახინჯების საფრთხე ელოდება, როგორც ეს მოხდა სხვა მონასტრებში და როგორც ამის შესახებ შეშფოთებით წერ-

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია)



ილორის ტაძარი რუსული გუმბათის გარეშე. XIX საუკუნის გრავიურა

ეკლესიას მისთვის არატრადიციული უცხო სხეული დაედგა. რუსული „მუზარადის ფორმის გუმბათი“ აბსოლუტურად არ შეესაბამება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების არც ერთ ეტაპს

და ქართული კულტურის თავდადებული მოამაგე გრაფინია პრასკოვია უვაროვა. გრაფინია უვაროვას სიტყვებით, სიმონ კანანელის სახელობის ფსირცხის ტაძარი (ახალი ათონის მონასტერი) ათონის ბერების მიერ იმდენად უხეშად და საქმის უცოდინრად არის რესტავრირებული, რომ მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა არა მარტო მეცნიერებისთვის, არამედ — ყოველგვარი სიძველის კვალიც კი... ტაძარს არ შემორჩა არც განსაკუთრებული საბჯენები, არც არქიტექტურული დეტალები, ფრიზები და სვეტის თავები. ყველაფერი შებათქაშებული და შეთეთრებულია.

დრანდის ტაძარი აღდგენილია ყველაზე ბარბაროსული (თითქოს მხოლოდ რუსებისთვის ხელმისაწვდომი) მეთოდით, რაც ჩვენზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს: ყველაფერი მოსუფთავებულია, შელესილი და მოჯღაბნილია ისე, რომ სუნთქვა შეგეკვრებათ. არ იცი, რა ინატრო ან რა არის უკეთესი: კავკასიის სიძველები დარჩენილიყო უცნობ ნაგებობად, თუ დრანდისა და ათონის ბერებისნაირ მზრუნველთა ხელში აღმოჩენილიყვნენ, რომლებმაც ქვეყნის უძვირფასესი ძეგლები გადააქციეს საზაზინო საავადმყოფოდ თუ ცირკად თავისი უსახური პილასტრებით და საბჯენი თაღებით. ისინი არ შეჩერებულან კამარის დანგრევის წინაშეც კი. ღმერთმა უწყის თუ რა მიზნით ანგრევდნენ მთელი თვე დასავლეთი კედლის ძველ კამარას და მიაშენეს ახალი, მომატებული ქორედი ძმებისთვის, მათთვის ქვემოთაც საკმარისი ადგილი იყო. აი, როგორ ეპყრობიან ძველი არქიტექტურის უძვირფასეს ნაშთებს. და ეს იმიტომ, რომ შეცდომით ითვლება, თითქოს ისინი არავის სჭირდება“.

წმინდა აღმსარებელი ამბროსი მიუთითებდა, რომ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გადაკეთების შედეგად დაკარგავდა თავის სულიერ, რელიგიურ მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის ისევე, როგორც ეს მოხდა სხვა ეკლესია-მონასტრების შემთხვევაში: „ის იბრწყინებს თავისი სიმდიდრით და კეთილმოწყობით, მოიზიდავს მომლოცველებს ჩრდილოეთიდან, მაგრამ ქვეყნის ძირძველი მოსახლეობა სინანულით აღივსება იმ სალოცავის დაკარგვის გამო, რომელიც საუკუნეებისა თუ თითქმის ათასწლეულის განმავლობაში იპყრობდა მართლმადიდებელი საქართველოსა და აფხაზეთის ყურადღებას. ასეთი გახლავთ ერის ფსიქოლოგია და ჩვენ არ ძალგვიძს მისი შეცვლა“.

დრანდის ტაძარი. XIX საუკუნის გრავიურა

ამბროსი ხელაია: „დრანდის ტაძარი აღდგენილია ყველაზე ბარბაროსული მეთოდით, რაც ჩვენზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს“

წმინდა აღმსარებელი ამბროსის, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სასულიერო პირების (პორფილე ხელაია, კონსტანტინე მაჯღანაძე) და გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების (აკაკი ჩხენკელის – სახელმწიფო სათათბიროს წევრის) ძალისხმევით რუსმა ეგზარქოსებმა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება ვერ მოახერხეს.

საბჭოთა კავშირის დროს, 1953 წელს ტაძარს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები არასათანადოდ ჩაუტარდა — კედლები შეიღება და მოიხატა. 1959 წელს აღადგინეს ეკლესიის გალავანი.

საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართ-

ველოში 1990 წელს განიხილეს ილორის ტაძრის საკითხი. გამოითქვა მოსაზრება გვიანდელი მინაშენის მოხსნისა და ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენის თაობაზე, თუმცა ცნობილი მოვლენების გამო განზრახვა ვერ შესრულდა.

სამწუხაროდ, 1993 წელს აფხაზეთის ოკუპაციის შედეგად ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა შეწყდა — მაშინ, როცა ეს თვით ბოლშევიკებმაც კი ვერ მოახერხეს.

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, 1997 წლის ივნისში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) იმყოფებოდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) ექსპერტთა მისია. ექსპერტებმა აფხაზეთში დაათვალიერეს და აღწერეს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაწილი, მათ შორის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

უახლოეს წარსულში (2005-2010) რუსმა ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა ძეგლზე ჩაიდინეს ვანდალური აქტი. ტაძრის რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებულ ჩარევას, სამწუხაროდ, არ შეიძლება ვუწოდოთ ძეგლის აღდგენა-გამაგრებითი ღონისძიება. გამოყენებული მეთოდი უკიდურესად აგრესიულია, იწვევს ძეგლის ავთენტიკური ქსოვილის განადგურებასა და იერსახის შეცვლას.

მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს ზემოაღნიშნული ვანდალური აქტის ამსახველ ფოტომასალას.

შედეგად, სრულიად დაირღვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის ავთენტიკურობა. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი არის ორი ერის ერთობლივი ისტორიულ-კულტურული მეხსიერების წაშლის უხეში მცდელობა, რომელიც არღვევს ეკლესიის კანონებსა და საზოგადოდ მიღებულ ნორმებს.

განხორციელებული სამუშაოები სრულიად ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებს: „ჩვენი ვალდებულებაა, ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტიკურობის მთელი სიმდიდრით გადავცეთ მომავალ თაობებს“ (ვენეციის ქარტია).

აღმოსავლეთ ფასადი, სადაც ქართული ლაპიდარული წარწერების ნიმუშები იყო წარმოდგენილი, დაფარულია (შეთეთრებულია)

ეკლესიის ფასადი მთლიანად შეთეთრდა, დეკორატიული არშიები კი წითელი ფერით შეიღება

ძეგლზე წარმართული სამუშაოები პირდაპირ არღვევენ ქარტიის მე-5 მუხლს:

— ძეგლის კონსერვაცია ხელს უწყობს მისი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გამოყენებასაც. ე.ი. ასეთი გამოყენება დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავამახინჯოთ (შევცვალოთ) შენობის აგებულება ანდა დეკორი.

და მთლიანად ეწინააღმდეგება ქარტიის მე-6 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს:

— ძეგლის კონსერვაცია ძეგლთან დაკავშირებულ გარემოსაც გულისხმობს. თუ არსებობს ტრადიციული გარემო, იგი უნდა შევინარჩუნოთ და ყოველგვარი ახალი მშენებლობა, ყოველგვარი დაშლა და გადაკეთება, რამაც შეიძლება დაამახინჯოს ძეგლის სახე (მოცულობათა ან ფერთა ურთიერთთანაფარდობა), აკრძალულია.

ხსენებული ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მხატვრული სახის მიზანმიმართული შეცვლა მიზნად ისახავს ისტორიისა და ძირძველი სოციალურ-კულტურული იდენტობის ფალსიფიკაციას.

ადრეულ ეტაპზე ჩვენ მიერ გამოთქმული საფუძვლიანი ეჭვი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესი მასობრივ ხასიათს მიიღებდა, სამწუხაროდ, გამართლდა. საქართველოს მთავრობის, აკადემიური წრეების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა არაერთმა მცდელობამ, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით შეგვეჩერებინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების იერსახის მიზანმიმართული შეცვლა და ისტორიის, ძირძველი სოციალურ-კულტურული იდენტობის ფალსიფიკაცია, შედეგი ვერ გამოიღო.

„კაცობრიობა უფრო და უფრო მეტად რწმუნდება ადამიანთა მოდგმის ფასეულობათა უნივერსალობაში და ისტორიულ ძეგლებს საერთო მემკვიდრეობად განიხილავს. ამ მემკვიდრეობის დაცვა, მომავალი თაობებისთვის გადაცემა აღიარებულია საერთო ვალდებულებად“ (ვენეციის ქარტია).

შერმადინ შარია,

ფსიქოლოგი, აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე

გურული ტყვეები ავსტრია-უნგრეთში

ქართველი ტყვეები და პირველი მსოფლიო ომი

ამ ცოტა ხნის წინ გაეროს ტრიბუნიდან პლანეტის ულამაზესმა მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ ისაუბრა საომარ ზონებში ადამიანთა გაუპატიურების შესახებ. ტყვეებისადმი სასტიკი მოპყრობა და წამება ჩვენთვის უცნობი თემა არ არის, კარგად გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომში ტყვედ ჩავარდნილი და ნაწამები ქართველი ჯარისკაცები; ისტორიის ფურცლებიდან ვეცნობით უსასტიკეს დამოკიდებულებას მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილებისადმი, რასაც ვერ ვიტყვით პირველ მსოფლიო ომზე, როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ბევრად უფრო ლმობიერად ექცეოდნენ.

ტყვეების ცხოვრება დალხენილი, ცხადია, მაინც არ ყოფილა. ამაში თავად დარწმუნდებით, როცა პირველ მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი ქართველების ბედსა და მათ წერილებზე მოგითხრობთ. ამ ტყვეთა დიდი ნაწილი ომის დამთავრების შემდეგაც წლების განმავლობაში ვერ დაბრუნდა სამშობლოში.

პირველი მსოფლიო ომი რუსეთის იმპერიის მოქალაქეებს, მათ შორის ქართველებსაც შეეხო. სხვადასხვა მონაცემებით, ბრძოლის ველზე 200-დან 300 ათასამდე ქართველი გაიწვიეს. ტყვეობა კი ომების შემადგენელი ნაწილია და ქართველებიც არ წარმოადგენდნენ გამონაკლისს. მით უმეტეს, პირველ მსოფლიო ომში ყველაზე დიდი რაოდენობით რუსული არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები ჩაცვივდნენ ტყვედ. მათი რიცხვი 3 მილიონს აღემატებოდა. ტყვეთა შორის ბუნებრივია, იყვნენ ქართველებიც, რომელთაც წლების განმავლობაში მოუწიათ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ყოფნამ. ზუსტი სტატისტიკა ქართველი ტყვეებისა არ არსებობს, სხვადასხვა წყაროთი მათი რაოდენობა მხოლოდ ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში რამდენიმე ათასეულიდან 15 ათას კაცამდე ადის. ქართველთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა ცოსენის ტყვეთა ბანაკი, სადაც 1915 წლის აგვისტოსთვის 1617 ქართველი ტყვე იყო და ეგერის ტყვეთა ბანაკი, სადაც 900-დან 1000-მდე ქართველი ტყვე იყო დაბინავებული.

როგორი იყო მათი ყოფა ტყვეობაში? პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ პირველ მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილთა მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეთა ბანაკებში არსებული სასტიკი მოპყრობისგან. ტყვეებისთვის არსებობდა სპეციალური ბიბლიოთეკები, მათთვის გაზეთები გამოიცემოდა ექვს ენაზე, მათ შორის ქართულზეც. ბანაკებში ასევე იყო სახელოსნოები, სადაც ამა თუ იმ ხელობას ასწავლიდნენ დატყვეებულებს, ყურადღება ექცეოდა სპორტს. ტყვეთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამსუბუქებდა მიმოწერის უფლება, რასაც უზრუნველყოფდა სამხედრო ტყვეების ცენტრალურ ცნობათა ბიურო, რომელიც წითელი ჯვართან არსებობდა. ქართველი ტყვეები ძირითადად ბანაკებს გარეთ, სასოფლო და სატყეო სამუშაოებზე დაჰყავდათ, რაც მძიმე ფიზიკურ სამუშაოს წარმოადგენდა. ქართველ ტყვეთა სიმღერებსაც კი იწერდნენ გერმანელები, ზოგიერთი ჩანაწერი დღესდღეობით ინტერნეტშია განთავსებული და ქართველ ტყვეთა უნიკალური ხმების მოსმენა ყველას შეუძლია. ტყვეებს ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები, რომლებიც მათ გერმანელთა მხარეზე მებრძოლ ქართულ ლეგიონში სამსახურს სთავაზობდნენ, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ ამისგან თავი შორს დაიჭირა, რის გამოც ზოგიერთი მათგანი უფრო მკაცრი რეჟიმის ბანაკში გადაჰყავდათ. მიუხედავად ტყვეთა ბანაკების კვალობაზე იქ არსებული შედარებით ნორმალური მდგომარეობისა, ყველას საკუთარი ქვეყნისა და ოჯახისკენ მიეჩქაროდა და ომის დასრულებას მოუთმენლად ელოდა. შედარებით მძიმე ვითარებაში უწევდათ ყოფნა კავკასიის ფრონტზე ოსმალური არმიის მიერ დატყვევებულ ქართველ მებრძოლებს.

ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნება პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე დაიწყო. როცა საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ორი დღის შემდეგ გერმანიის იმპერიასთან, რომელიც ახალშექმნილი ქართული სახელმწიფოს მოკავშირე უნდა ყოფილიყო, ქალაქ ფოთში დაიდო შეთანხმება და ხელი მოეწერა რამდენიმე კონვენციას, რომლებიც ტყვეთა გაცვლის საკითხსაც აგვარებდა. ქართველ ტყვეთა პირველი ნაკადი გერმანიიდან ივლისში ჩამოვიდა, რის შემდეგაც რეგულარულად, თვეში თითო ეშელონი ჩამოდიოდა. თუმცა მალევე პირველი მსოფლიო ომიც დასრულდა და გერმანელებსა და მის მოკავშირეებს ქართველი ტყვეების ბედი ნაკლებად აღელვებდათ. იმ დროისთვის ევროპაში ქართველ ტყვეთა ყველაზე დიდი ნაწილი გერმანიაში რჩებოდა (2000-2200 კაცი). ქართველ ტყვეთა ნაწილი იყო საფრანგეთშიც, რომლებიც იქ ორი გზით მოხვდნენ. ერთნი გერმანიიდან საფრანგეთში გაიქცნენ, ხოლო მეორენი საფრანგეთში ფრანგების მხარდამხარ მებრძოლ რუსულ შენაერთებში ირიცხებოდნენ და 1917 რუსული რევოლუციების შემდეგ უარი განაცხადეს ბრძოლის გაგრძელებაზე. გარდა ამისა, ქართველები გაბნეული იყვნენ ავსტრია-უნგრეთში, ევროპის სხვა სახელმწიფოებში და ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეგვიპტეშიც კი.

სხვადასხვა ქვეყანაში წარგზავნილი ქართული დიპლომატიური მისიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქართველ ტყვეთა მოძებნა და სამშობლოში დაბრუნება, რაც ტექნიკური, ფინანსური თუ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულად მოსახერხებელი იყო. ყველაზე მრავალრიცხოვანი ტყვეთა გერმანული ნაწილის ჩამოყვანა საქართველოში მხოლოდ 1919 წლის შემოდგომაზე გახდა შესაძლებე-

პირველ მსოფლიო ომში ტყვეებს ლმობიერად ექცეოდნენ (რუსი ჯარისკაცები გერმანელ ტყვეს ცეკვას ასწავლიან)

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის არმიის მილიონობით ჯარისკაცი ჩავარდა ტყვედ

ლი. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ დაიქირავა შვედური გემი „კრისტიან ნებე“, რომელმაც ჰამბურგიდან ფოთამდე დიდი წვალებით ჩამოაღწია. ამ საქმეს ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

საფრანგეთში მყოფი ყოფილი ტყვეების მდგომარეობა კარგად ჩანს მათ მიერ პარიზში საქართველოს დელეგაციისადმი მიწერილ წერილებში. ტყვეები წერდნენ, რომ „სალდათის პალაჟენიაზე“ არც მშივრები იყვნენ, მაგრამ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გული სწყდებოდათ, ამის მეტი ჩვენი ქვეყნის შესახებ არაფერი ვიცით და ასევე ვერაფრით ვეხმარებით სამშობლოსო. აინტერესებდათ, დიდმა სახელმწიფოებმა თუ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობაო. ითხოვდნენ ქართულ გაზეთებსა და წიგნებს. ზოგიერთ ფრანგულ ბანაკში მყოფისთვის მიმოწერაც კი აკრძალული იყო, მაგრამ ჯარისკაცი იოსებ კუდავა მაინც ახერხებდა წერილის გაგზავნას იტალიელი ფოსტის მოხელის მოქრთამვით. ტყვეები ასევე წერდნენ, რომ მათ ყველა რუსებად მიიჩნევდა, საქართველოს შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა და რაც ყველაზე მეტად აწუხებდათ, ეს იყო მათი შესაძლო გაგზავნა ნოვოროსიისკის პორტში დენიკინთან, რომელიც მათ ხელში იარაღს მისცემდა და ისევ ომში უკრავდა თავს. ერთი ტყვე, არამ ტალგაუმოვი თავის წერილში იხსენებდა

ცოსენის ტყვეთა ბანაკის საერთო ხედი. 1915 წელს აქ 1617 ქართველი ტყვე იყო

საცხოვრებელი ბარაკი ცოსენის ბანაკში. ფრანგი ტყვეები

ტყვეთა ბანაკებში ყურადღება ვარჯიშსაც კი ექცეოდა

ფაქტს, როცა მის თვალწინ რუსი ტყვეები გაგზავნეს ნოვოროსიისკში დენიკინთან, ისინი ტიროდნენ და გაიძახოდნენ, სიკვდილი მოგვიახლოვდაო. ქართველთა ეს შიში ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული და რომ არა ქართველთა დელეგაციისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურობა, ფრანგული გენშტაბი მათ მართლაც დენიკინთან გაგზავნიდა, როგორც რუსული არმიის ჯარისკაცებს. ტყვეთა ნაწილი დელეგაციას სთხოვდა, ოღონდ კი წასვლა მოგვიხერხეთ და მგზავრობის ხარჯებს ჩვენვე ვიკისრებთო, ზოგი კი ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო, დელეგაციისგან ითხოვდა ფულს, რათა ჩამოძონძილი ტანისამოსით არ ევლო.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტყვეთა ორიოდე წერილის გაცნობა.

„ქართველნი ბევრნი არიან ფრანციაში, მხოლოდ არ აჩენენ, რუსის პრავიტელსტვას არ უნდა, რომ შინ წავიდნენ. ყველგან საქმე გაიფუჭეს რუსებმა და ისევ სხვას ემდურებიან. ეჯავრებათ ქართველები. ეხლა რას გთხოვთ, ერთი ქართული ბეჭდური გამამიგზავნეთ თუ შაიძლებოდეს, ხუთი წელიწადი არ წამიკითხავს ჩვენ მხარეს რა ამბავია, გწერთ საქართველოს შვილი სიმონ ბურნაძე კახელი“. (სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.142. ფურც.98-99).

„ძვირფასო თანამემამულენ, ჩვენ ვართ მოწყვეტილი სანატრელ სამშობლოს, მშობლებს და ყოველივე უფლებას. სამშობლო ჩვენი კი ტანჯ-

ქალაქი პრივა საფრანგეთში, სადაც რამდენიმე ათეულ ქართველ ტყვეს მოუყარეს ომის შემდგომ თავი

ტყვეობაში გარდაცვლილ ქართველ ჯარისკაცთა ძეგლი (ავსტრია-უნგრეთი, ეგერის ტყვეთა ბანაკი)

ვას განიცდის შინაური და სხვა გარეგანი მტრე-ბიდან. დროა ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა რო-ცა სამშობლო ცდილობს თავის ერისთვინ წმინ-და საქმეს. ჩვენც ვგრძნობთ, რომ საქართველოს ჩვენც ვეკუთვნით და ჩვენც მისი შვილები ვართ. მაშ, გაუმარჯოს მის ხელმძღვანელებს. გაუმარ-ჯოს ქართველი ერის თავისუფლებას და დემოკ-რატიულ მმართველობას, „ძირს რეაქცია". ჩვენ ვიცით, რომ საქართველომ 26 მაისს 1918 წ. აღი-არა დამოუკიდებლობა. საუბედუროდ, მეტი არა-ფერი არ ვიცით, რადგანაც ქართულ გაზეთებს არ ვღებულობთ. გთხოვთ უმორჩილესად, ბატო-ნო, გამოგვიგზავნოთ ქართული გაზეთები. პო-ლიტიკური და ლიტერატურული ქართული წიგ-ნები. ჩვენ ვართ აქ სამი ქართველი. თბილისის გუბერნიიდან და ქუთაისის გუბერნიიდან. პა-ტივისცემით 1. უნტერ-ოფიცერი ალექსანდრე დარჯანია. 2. კაპიტანი გადელი და 3. სანდრო ჩიკვაიშვილი. 16.07.1919. — გთხოვთ კიდევ შეგ-ვატყობინოთ, დიდმა სახელმწიფოებმა (ინგლი-სი, საფრანგეთი და სხვა) დაამტკიცეს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?" (სცსა. ფონ-დი 1864. აღწერა.2. საქმე.142. ფურც. 51-52).

გურჯაანელი სამხედრო ტყვის, ლევან ნაცვლაშვილის წერილი



Natsvalichvili Levan av 13 camarade

საქართველოში ევროპიდან ტყვეთა ჩამოყ-ვანის პროცესი 1920 წლის შემოდგომისთვის თითქმის დასრულდა, თუმცა 1921 წლის დასაწყი-სისთვის, როცა დამოუკიდებელი საქართველო თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა, ავ-სტრიას, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში კიდევ იმყოფებოდა პირველ მსოფლიო ომში ტყვედ ჩა-ვარდნილი 71 ქართველი სამხედრო...

დიმიტრი სილაძაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ფშავ-ხევსურეთის გაფიცვის სისხლიანი დასასრული

ფშავ-ხევსურები ვაჟას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ...

ვაჟა-ფშაველა

1905 წელს რევოლუციური მოძრაობა არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ საქართველოს მოედო, მათ შორის, მაღალმთიან რაიონებსაც. გაზაფხულიდანვე პირველი გამოსვლები ფშავ-ხევსურეთშიც გაიმართა. ამ მოვლენებს ასახავს უშიშროების საბჭოს არქივში დაცული თვითმხილველისა და უშუალო მონაწილის, სოფელ ბარისახოს სკოლის მასწავლებლის, თელავში, ჯუღაშვილის ქ. №33-ში მცხოვრები მიხეილ შამანაურის წერილობითი ჩვენება, რომელიც 1935 წლის 12 დეკემბრითაა დათარიღებული:

„პირველი გაფიცვა ფშავ-ხევსურეთში ვაჟა-ფშაველამ მოაწყო. ფშავ-ხევსურეთში ბატონყმობა არასოდეს ყოფილა. მთელ ხეობაში ერთი მემამულეც არ ცხოვრობდა, რეგიონი მხოლოდ გლეხებით იყო დასახლებული, შესაბამისად, მთელი მიწა-წყალიც მათ ხელში იყო. ამიტომ გამოსვლებს აგრარული ხასიათი არ ჰქონია და მიმართული იყო არა მემამულეთა, არამედ ზოგადად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მის დასამხობად და საქართველოში დემოკრატიული წყობის დასამყარებლად.

ხევსურები

ფშავლები

ვაჟა-ფშაველა. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო, გადაღებულია თბილისში

ვაჟა-ფშაველა პირდაპირ ჩემთან ამოვიდა სოფელ ბარისახოში და მთელი ხევსურეთის კრება იქ მოიწვია. რევოლუციური მოწოდება ვაჟამ შეადგინა. მე მაშინ ბარისახოში სკოლის მასწავლებლად ვმუშაობდი და ვაჟას დაწერილი მოწოდება სკოლის უფროსკლასელებს გადავწერინე ძალიან ბევრ პირად. გადამრავლებული მოწოდებები მოხალისე შიკრიკების საშუალებით ფშავ-ხევსურეთის ყველა სოფელში დავაგზავნეთ. მაისის დასაწყისში, დანიშნულ დღეს, მიტინგზე დაახლოებით 800-900 კაცი მოვიდა. ყველა თავით ფეხამდე იყო შეიარაღებული. მშვენიერი სანახავი იყო ამდენი თავისუფლებას მოწყურებული მთის არწივი იარაღით ხელში. მიტინგზე ხევსური ბავშვებიც კი იყვნენ მშვილდებით შეიარაღებულნი, რადგანაც ჯერ თოფ-იარაღის ტარება არ შეეძლოთ".

ვაჟამ მიტინგი გახსნა და ძალიან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდა. ხევსურებმა ფიცი დადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისთვის. ჩვენ იარაღს ჟანგი და ობი მოეკიდა, გაპრიალება სჭირდება და სად უნდა გავაპრიალოთ, თუ არა თავისუფლებისთვის ბრძოლაშიო, — ამბობდნენ ხევსურები. მიტინგზე გამომსვლელები აპროტესტებდნენ აგრეთვე სამხედრო ბეგარას, რომელიც გულისხმობდა ხევსურების წაყვანას საქართველოდან შორეულ მხარეებში სალდათებად ხანგრძლივი დროით, საიდანაც ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები დასნეულებული ბრუნდებოდნენ. ფშავ-ხევსურები ვაჟას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. საბოლოოდ გადაწყდა: დალოდებოდნენ ნიშანს, როცა ხელსაყრელი დრო დადგებოდა, ანუ რუსეთში მდგომარეობას რევოლუცია საბოლოოდ არევდა და საქართველოში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იარაღით დაიწყებოდა, მაშინ ფშაველებისა და ხევსურების ჯარი ორწყალში შეერთდებოდა, თბილისისკენ დაიძრებოდა და ბარში თავისუფლებისთვის ბრძოლას შეუერთდებოდა.

„...ერთხელ ჩემთან მოვიდა ჩემი მეგობარი ხევსურები – სადარა არაბული და მამუკა გოგოჭური, ორივე თოფებით იყვნენ შეიარაღებული და მითხრეს, რომ მთელ კახეთს, საიდანაც მოდიოდნენ, აჯანყება მოედო. ისინი თიანეთში, მეფის სასახლეში მისულან, რომელსაც რუსი ჯარისკაცები იცავდნენ, ჯარისკაცებთან კონფლიქტი მოსვლიათ, ხანჯლებით დაუხოციათ, იარაღი წამოუღიათ და გამოქცეულან. თიანეთის მაზრის უფროსმა გაიგო, ვინ დახოცა ჯარისკაცები, მით უმეტეს, რომ სადარა და მამუკა თვითმპყრობელობის დამხობის მოლოდინში თავიანთ დანაშაულს არც მალავდნენ. ხელისუფლებამ მათზე ძებნა გამოაცხადა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ დიდი რეპრესიები დაიწყო, მაგრამ ხევსურეთმა მაინც შეიფარა სადარა და მამუკა და არ გასცა. 1910 წელს სადარა თვითონ ჩაბარდა ხელისუფლებას – სოფელს და სანათესავოს ნუ მიწიოკებთო. იგი თბილისში გადააგზავნეს და ჩამოახრჩეს.

1905 წლის შემოდგომაზე თიანეთში გადავედი მასწავლებლად. რევოლუციური მუშაობა თიანეთშიც მიმდინარეობდა. ძირითადად ორი პარტია მუშაობდა: მენშევიკები და ფედერალისტები. მენშევიკებს მეთაურობდა ლადო ბაკურაძე და ერთი მეცხვარე, რომელიც თავის ვინაობას ასაიდუმლოვებდა, ხოლო ფედერალისტებს მეთაურობდა ნიკო ტლაშაძე. მას საკუთარი რაზმიც ჰყავდა. ორივე პარტი-

ის მეთაურს ჰქონდათ ჩემთან მიმოსვლა. ჩვენი ამოცანა იყო იარაღის შოვნა, ამიტომ ასე მოვილაპარაკეთ: გვეშოვნა იარაღის კარგი ოსტატი. ტყეში, მიუვალ ადგილზე გაგვეხსნა სახელოსნო, სადაც ძველ, უმოქმედო და მწყობრიდან გამოსულ თოფებს, რომელიც მაზრაში ბლომად მოიპოვებოდა, გადავაკეთებდით, აღვადგენდით და საბრძოლო მდგომარეობაში მოვიყვანდით. პატრონებსაც ჩამოვასხამდით და იარაღიც გაგვიჩნდებოდა.

ამ ხანებში ვაჟა-ფშაველა თიანეთში ხშირად ჩამოდიოდა და ჩვენი საქმიანობის საქმის კურსშიც იყო. ჩვენი თხოვნით მან ქართული მარსელიოზაც კი დაწერა, რომელსაც ვმღეროდით ხოლმე. ტექსტი დღემდე არ შემორჩენილა, მაგრამ მახსოვს ასე იწყებოდა:

დღეს ხსნის დღე არის, ვით მოვითმინოთ,
აიკლეს ჩვენი ცხოვრება, ბინა,
გავსწიოთ ძმანო, გავსწიოთ წინა!..

მახსოვს ასეთი შემთხვევა: მაზრის უფროსის თანაშემწემ, გერასიმოვმა მოუხშირა ჩვენთან სიარულს. ის თავის თავს წითელს ეძახდა, მაზრის უფროსს, ლეონტიევს აგინებდა და გვეუბნებოდა: მაზრის უფროსად ამირჩიეთ და გეშველებათო. ის გრძნობდა ვაჟას გავლენას ხალხზე, ამიტომ სადილად დაპატიჟა, მაგრამ ვაჟა არ ენდობოდა და არ მივიდა. ჩვენ კი დაუფარავად გვეუბნებოდა, — ეგ გერასიმოვი ძალიან დიდი მამაძაღლი ვინმე ჩანს, ფრთხილად იყავით, არ ენდოთო. ვაჟა მართალი აღმოჩნდა. იმ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ გერასიმოვი მატანში ეგზეკუციის ჩაყენებას ითხოვსო. ჩვენ გერასიმოვს პასუხი მოვთხოვეთ. მან თავი იმართლა და ეგზეკუციის გამოთხოვნა კიკო ჩოლოყაშვილს დააბრალა. ჩოლოყაშვილმა ამ საკითხზე სამედიატორო სასამართლოს გამართვა მოითხოვა, რომელზეც გერასიმოვს დაუმტკიცდა ეგზეკუციის ჩაყენება. შეშინებული გერასიმოვი იმ ღამესვე ცოლშვილიანად თიანეთიდან გაიხიზნა. ასე გამართლდა ვაჟა-ფშაველას ვარაუდი.

მალე ხელისუფლების მხრიდან ამბოხებული მოსახლეობისადმი რეაქციამ და რეპრესიებმა უკიდურესი სახე მიიღო. ერწოში, უიარაღოდ შეკრებილ, მშვიდობიან მიტინგს ალყა შემოარტყა მაზრის უფროსმა ლეონტიევმა და პრისტავმა არშაკა ტერ მარტირუზოვმა, რომლებსაც ახლდა შეიარაღებული ყაზახების რაზმი. დაერივნენ უიარაღო ხალხს, ბევრი აჩეხეს ხმლით. გარდაცვლილთა შორის იყო ყველასთვის საყვარელი ვაჟკაცი ჩხუბია

ფშავი. 1905 წ.

ვაჟა-ფშაველა

ყორიაული. ამ მხეცური საქციელის გამო მე წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ „ივერიაში“ „დაღონებულის“ ფსევდონიმით, რადგან ვინაობის გამხელა რეაქციის მძვინვარების გამო სახიფათო იყო.

ასეთი მეთოდებით ჩაახშეს გამოსვლები. რეპრესიებს ბევრი ხევსური ვაჟკაცი შეეწირა. საბედნიეროდ, ვაჟა-ფშაველა გადაურჩა რეპრესიებს“.

თვითონ ვაჟა-ფშაველა კი 1906 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ამ მოვლენებს ასე აღწერს:

„ჩვენს გაზეთებში ფშავ-ხევსურეთიდან ძალიან ცოტა ცნობები იბეჭდება. საიდან მოვა ცნობები, როცა აქაური ცხოვრება მეუდროდ და მშვიდობიანად მიმდინარეობს. ერთხანად ჩვენი ცხოვრებაც შეთოთქორდა, სიცოცხლე დაეტყო. განცხოველდა განახლების მოლოდინით. მაგრამ მალე ისევ თვალები მილულა: წინ გადადგმული ნაბიჯი უკანვე გადმოდგა და გაჩერდა ერთ წერტილზე.

შარშან, 1905 წლის მარტში, აქაც გაფიცვები დაიწყო. ხალხმა თავისი მოთხოვნილებანი წარმოსთქვა და ქაღალდზედაც აღნიშნა:

1. ტყით თავისუფლად სარგებლობა;

2. სალდათობის მაგივრად მილიციის შემოღება;

3. მიუცემლობა ხარჯისა (სახელმწიფო გადასახადი) იმ დრომდე, ვიდრე არ გამოირკვეოდა კომლეურად წლიური შემოსავალი;

4. სოფლის სკოლებში სწავლება დედა-ენაზე მთელის კურსის განმავლობაში;

5. სოლიდარობის დამყარება ყველა კავკასიის ერებთან;

6. სპობდნენ კავშირს მთავრობის დაწესებულებებთან, გადააყენეს მოხელენი და სხვ“.

სხვათა შორის, ამ „დეკლარაციაში“ ისიც კი იყო მოხსენებული, რომ სალიანში მოისპოს თევზის საჭერი მანქანები, რადგანაც მანქანებმა დააცოტავეს წყალში თევზი, უფრო კი ორაგული, რომელმაც სახელწოდება მიიღო არაგვიდან, – დღეს კი არაგვში წამლადაც აღარ მოიპოვება, რის გამოც არაგველებს მოგვესპო ცხოვრების საღსარიო და სხვ.

იყო აგრეთვე ამავე „დეკლარაციაში“ აღნიშნული საჭიროება იარაღის შეძენისა. ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, უნდა შეიარაღებულიყო. ეს მოთხოვნილება დასაბუთებული იყო იმ გარემოებით, რომ გარშემო გვახვევია ისეთი ხალხი, რომელთაც შეიძლება ძმობა არ გაგვიწიონ, ისარგებლონ არეულობით და დაიწყონ ჩვენზე თარეშობაო და ამისთანები.

„აქეთ ეცა ხალხი, იქით ეცა, მაგრამ არ იქნა, იარაღი მაინც ხელთ ვერ იგდო. დარჩა ხალხი იმედგაცრუებული და, აბა, კიდეც ეს გახდა მიზეზი, რომ ხალხმა უკან-უკან დაიხია, – იმის წინ აღიმართა სცილა და ქარიბდა, რომელთაც იმსხვერპლეს აფრაგაშლილი გემი სახალხო გაფიცვისა და მოძრაობისა, ხალხმა გაფიცვას უერთგულა მხოლოდ სამი თვე და ეს გაფიცვა მის ზნეობას, რომ იტყვიან, წყლულს მალამოდ დაედვაო, სწორედ

ისე მოუხდა: მთელი სამი თვის განმავლობაში ფშავ-ხევსურეთში არ გაიგონებოდა არავითარი ცუდი ამბავი ქურდობისა, კაცის კვლისა და სხვ.

ბოლოს,...დიაღ ბოლოს, მაგრამ საზიზღრობაა ამ „ბოლოს“ მოგონება: ნელ-ნელა ჩვენს ხეობაში შემოჰყვეს ცხვირი ბოქაულსტრაჟნიკებმა. ბოქაული, თითქოს, ძმადაც კი გაეფიცა ხალხს. მოუწონა გაფიცვის მუხლები და მოთხოვნილებანი, ექცეოდა ხალხს თავდაბლად, როგორც ტოლი ტოლს, რაიც მის ზნეობრივს კარაბადინში არცა სწერია და არცა წერებულა. ასე და ამგვარად შემოიარა მთელი ფშავ-ხევსურეთი და შემდეგ დაბრუნდა თავის რეზიდენციას, დაბა თიანეთში. ის დღე იყო და დაიწყო კიდევაც ავმა ქარმა ქროლვა; შიგდაშიგ კაცებმაც იწყეს სიარული თიანეთში ბოქაულთან, მაზრის უფროსთან და სხვა მოხელეებთან. აირია მონასტერი; პატრონი ძაღლს ვეღარა სცნობდა, ძაღლი პატრონს. ხდებოდა ისეთი ამბები, რომლის მსგავსი მთელის საუკუნის განმავლობაში არავის გაუგონია: და ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა ქვემორე ამისა აღნიშნული ამბები ხდებოდა სოფელ ჩარგლის მიდამოებში, რომელიც მოძრაობის და გაფიცვების მიზეზად იქნა ცნობილი.

პირველად, თავის დუქანში ჯერ მოჰკლეს და მერე დასწვეს მოვაჭრე ვართან აღაბეგოვი. აღაბეგოვის მკვლელი ფშაველი გამოდგა, ოცი წლის ჭაბუკი, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული პოლიციის წინაშე, მაგრამ დღესაც თავისუფლად დაბრძანდება. სამი კვირის შემდეგ პირველ მკვლელობისა, ხევსურებმა მოჰკლეს ჩარგლის მცხოვრები, გლეხი გიორგი გორზამაული, რომელიც ღამე ცხენებს ჰყარაულობდა: წაასხეს ცხენები და წავიდნენ. არ გაუვლია დიდხანს, რომ იქვე ჩარგლის ჭალაში იპოვეს ხევსურის გვამი, ღარიბის, საწყალის კაცისა. მოკვლა ამ ხევსურისა ჰბრალდება აღაბეგოვის მკვლელს ღონიერ წოწკურაულს, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს გიორგი გორზამაულთან, რომ მკვლელობა შურისძიებას დაჰბრალდეს, ან სხვა რამ ინტერესს. მკვლელი ხევსური არ არის გიორგი გორზამაულის მკვლელების თემისა. არც სოფლისა. წელს, იანვრის 8-ში, როშკის მამასახლისმა (ხევსურმა) თათარა არაბულმა მოჰკლა ხევსურა ქისტაური (ფშაველი), ჩამოხსნა ბერდანი და წაიღო. იქნება გაკვირვებით იკითხოთ: რა არის მერე, რომ ფშაველი ხევსურმა მოჰკლას, ან თუ ფშაველმა ხევსურიო? საკვირველი ის არის, რომ წინად ეს ამბები არ მომხდარა არასდროს. ეს ერთი. მეორე, თემთა შორის ითესება სისხლისძიების ღვარძლი. ჯერ მთის ხალხში ჩვეულება სისხლის აღებისა, სისხლით სისხლის დაზღვევისა როდი აღმოფხვრილა. ამიტომ ერთმა ფშაველმა რომ ხევსური მოჰკლას, ან ხევსურმა ფშაველი, საკმაო საბუთია მთელი ფშავი ხევსურეთს დაემტეროს. ჩვენთვის ეს არის კიდეც სატირალი და სავალალო, ხოლო ჯადოქრებისთვის სასიხარულო. საგულისხმო ისაა, რომ ეს

ვაჟას სამუშაო მაგიდა (ჩარგლის სახლ-მუზეუმში)

მკვლელობები გარკვეულის გეგმით ხდება, – თვითეულ ფშავლის საზოგადოების დაპირდაპირებით ხევსურეთის საზოგადოებებთან, რათა ერთს მეორესთან ჰქონდეს საბუთი დაჯახებისა. ბოქაულ-სტრაჟნიკების მოსვლის შემდეგ ხევსურებმა დაიწყეს ფშავში თარეშობა, იმათ ფეხის ხმას აჰყვნენ ქისტები, ან რად უნდათ ხევსურების მაგალითი, როცა ისინი მუდამ მზად არიან სათარეშოდ და ყოველ წელს მაგალითს ვხედავთ ქისტების ქურდბა-ცაცობისას.

ხალხმა საბუთად მაინც ეს იხმარა და მიესია იმას, ვისაც გაფიცვის მიზეზად სთვლიდა: „მოიტა იარაღი! სად არის იარაღი!“ — აგვიკლეს ქისტებმა, ლამის ცოლ-შვილით ქისტეთში გადაგვრეკონო. შემოგვამდურე მთავრობას და ისიც ყურს აღარ გვიგდებს. „ერთობა“ დაგეხმარებათო, გვიპასუხეს. ქისტი კი არა, შენა ხარ ჩვენი მტერიო“ და ათასი სხვა ამისთანები. ამ ბრალდებაზე „გაფიცვის“ ფურცლის დამწერისგან სათანადო პასუხი ესმოდათ. ამას ამბობდნენ და იმას როდიღა ფიქრობდნენ, რომ მთავრობამ ქისტებთან და ყაჩაღებთან საბრძოლველად თოფები კი არ მისცა, კიდევაც ართმევდა, ვისაც იარაღი ჰქონდა. ერთის სიტყვით, ყველა ის ჩირთიფურთუბი იმით დასრულდა, რომ მოიწვიეს ქისტების ასალაგმავად, რაიც არც მთავრობამ იუარა და კიდევაც ესიამოვნა. გაფიცვას რაღა დაემართა? ეჭვი არ არის, ხალხს ყველა მუხლი ისევ ისე სწამს, ხოლო მათ ასრულებას ვერ ჰბედავს და არც ამ რწმენას ამჟღავნებს სხვადასხვა მოსაზრების გამო.

ჩვენში აგიტატორებს ვერაფერი კაი თვალით უცქერიან, არც მადლიერნი კახელები არიან, ყველგან ერთი და იგივე სამდურავი ისმის აგიტატორებზე: სხვადასხვას გვიქადაგებენ, ერთს წრეზე არ დაგვაყენეს, ერთნი ერთს ამბობენ, მეორენი მეორეს, აგვრივ-დაგვრიესო; შეგვიყვანეს აზღვავებულ მდინარეში და გაგვანებეს თავი, არც გაღმა გვყეკართ, არც გამოღმაო. აი, ეს გახლავთ ერის აზრი ახალს მოძრაობაზე, ახალს სოციალურ სწავლის და იმის მოძღვრების შესახებ.

მართლაცდა, რა გზას უნდა დაადგეს ის გლეხი, რომელსაც პირველად ესმის სიტყვა „ფედერაცია“, და ამასთან ერთად „გაპროლეტარების თეორია“, ვითარცა სამოთხის კარები, ე.ი. შესავალი სოციალიზმის სამეუფოში, – ჩამონაჭრების მოძღვრება და საერთო მიწისმფლობელობა. ერი ამას დაასკვნის: „ჯერ თქვენ, ნასწავლები, ვერ შეერთებულხართ, ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ, ჩვენ, უსწავლელებმა, როგორ ვიწამოთ თქვენი აზრები, თქვენი დარიგებაო? ერი თხოულობს ერთს გარკვეულს მოძღვრებას საეროს, საქვეყნოს, საზოგადოს, ისე გამორკვეულს, რომ არაგზით კრიტიკის ბრჭყალები არ ეკიდებოდეს, – ისეთ აზრს, რომელიც ერის უმრავლესობისათვის უნდა იყოს ხელსაყრელი.

სტყუის ერი? პასუხს თქვენგან ველი“.

მოამზადა ანდრო ჩაჩანიძემ

მიტინგი თიანეთში. 1905 წ.

დინოზავრები ბრუნდებიან?!

მეცნიერთა ნაწილი დინოზავრების ერის დაბრუნებას არ გამორიცხავს. ახალი თეორია გლობალურ დათბობას უკავშირდება. სპეციალისტთა აზრით, კლიმატურმა ცვლილებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს სრულიად ახალი სახეობების წარმოშობას და ასევე ქვეწარმავლების: ნიანგის, ხვლიკისა და კუს სხეულის ზომის საგრძნობ ზრდას.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარი პატრისია ჰილარდი ამბობს, რომ თუ გლობალური დათბობა ვერ შეჩერდება, დედამიწას გიგანტური რეპტილიების მორიგი შემოსევა ელის. მათი სხეულის ზომა კი კლიმატის ხასიათზეა დამოკიდებული.

კვლევის შედეგები ხვლიკის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ Barbaturex morrisoni-ის (წვერიანი მორისონი) შესწავლას ეყრდნობა. სხეულის გიგანტური ზომის გარდა, ის ხვლიკის თანამედროვე სახეობებისგან არაფრით განსხვავდება. რეპტილიის სიგრძე, რომელიც 40 მილიონი წლის წინ, პალეოგენურ პერიოდში ცხოვრობდა, ორ მეტრს აღწევდა. ამასთან, ძუძუმწოვრების თავბრუდამხვევი განვითარება მას არსებობაში სულაც არ უშლიდა ხელს.

თუმცა პალეოგენური პერიოდი გაცილებით თბილი კლიმატით ხასიათდებოდა და ცივსისხლიანი რეპტილიებისთვის სულაც არ იყო აუცილებელი, უზარმაზარი სხეულის ნორმალური არსებობისთვის საჭირო დიდი ენერგია საკვებიდან მიეღოთ.

ნებრასკის უნივერსიტეტის მკვლევარი ჯეისონ ჰედი აღნიშნავს, რომ გარემოში, სადაც თბილი კლიმატია, ძუძუმწოვრები რეპტილიებთან შედარებით საკუთარ უპირატესობას კარგავენ — რადგანაც სხეულის ტემპერატურის რეგულირების უნარი იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის. ამასთან, ცივსისხლიან ცხოველებს გაცილებით ნაკლები საკვები სჭირდებათ, რაც ცხელი კლიმატის სასტიკ პირობებში მათი გადარჩენის შანსს ზრდის.

მომზადებულია
GlobalScience-ის მიხედვით

ბერია ხელისუფლების მწვერვალზე

ლავრენტი ბერია სიტყვით გამოსვლისას (ეროვნული არქივი)

ბერია თანამედროვეთა თვალით

(II ნაწილი. დასაწყისი იხ. №27)

სიმონ ყაუხჩიშვილის თვალით

გამოჩენილი ფილოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981) იმ ინტელექტუალთა შორის გახლდათ, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს საბჭოური რეპრესიების სუსხი. მიუხედავად იმისა,

სიმონ ყაუხჩიშვილი

რომ დიდი მეცნიერი მაქსიმალურად ერიდებოდა თავისი პატიმრობის პერიპეტიებზე მსჯელობას, შვილიშვილთან, პროფესორ გია გელაშვილთან (დაბ. 1937 წ.) საუბრისას მან გაიხსენა ერთი ეპიზოდი, რომელიც ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ბერიას პირადი თვისებების წარმოსაჩენად (ეს მოგონება ჩაწერილია ჩვენ მიერ და ქვეყნდება პირველად):

„1939 წელს, როდესაც მოსკოვში, პატიმრობაში ვიმყოფებოდი, დაკითხვის მიზნით ლავრენტი ბერიასთან წარმადგინეს. დაკითხვისას ბერია დროდადრო ისე შემომხედავდა ხოლმე, თითქოს რენტგენში მატარებდა და სურდა გაეგო, რამდენად გულწრფელად ვპასუხობდი.

საერთოდ, იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ „ბერიას ჰქონდა გამორჩეულად გამჭოლი მზერა, რომელსაც თვალს ვერავინ უსწორებდა“. რასაკვირველია, ამ მზერის უკან იდგა მისი შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელსაც ყველა უფრთხოდა...

დაკითხვის პროცესში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბერიამ წინ დამიდო ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყავი შენ, გადაღებული ორიოდე წლის ასაკში, შემომხე-

და გამანადგურებელი მზერით და ისეთი ვერაგული კითხვა დამისვა, რაც გველის წასისინებას უფრო ჰგავდა: „არ გინდა მისი ნახვა?“

ბერიას მოქმედება ორაზროვნად მივიჩნიე. ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ეს აშკარად ნიშნავდა გაფრთხილებასა და დაშინებას. ამიტომ მისთვის პასუხის გაცემა ზედმეტად მივიჩნიე და მხოლოდ სიმწრით ჩამეღიმა. აბა, რომელი პაპა იტყოდა უარს დიდი ხნის უნახავ, საყვარელ შვილიშვილთან შეხვედრაზე...

ყოველივე ამის შემდეგ, ბერიამ ფოტოსურათი თავისი საწერი მაგიდის უჯრაში დააბრუნა და ჩემი დაკითხვა განაგრძო“.

ამრიგად, ლავრენტი ბერიას შესახებ ცნობა შემონახულია სიმონ ყაუხჩიშვილის მოგონებაშიც, რაც ადასტურებს ობიექტურობას გრიგოლ რობაქიძისეული შეფასებისა.

კანდიდ ჩარკვიანის შეფასებით

საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1938-1952 წლებში ხელმძღვანელობდა. მან ამ პოსტზე ლავრენტი ბერია შეცვალა.

კანდიდ ჩარკვიანმა თავის ვრცელ მემუარებში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ლავრენტი ბერიას შესახებ მსჯელობას. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „1937 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოულოდნელად ცეკაში გამომიძახეს. ლავრენტი ბერიამ დანიშნულ დროზე მიმიღო. ხელი არ ჩამოურთმევია, სავარძლიდანაც არ წამომდგარა, მხოლოდ მანიშნა — დაჯექითო. შემდეგ თვალებში შემომხედა და რამდენიმე კითხვა მომცა: პარტიაში რომელი წლიდან ხართ, კომკავშირელი თუ იყავით, პრესაში რამდენი ხანია მუშაობთ, ახლობლებიდან დაპატიმრებული ან ემიგრანტი ხომ არავინ გყავთო. კითხვებზე პასუხი გავეცი.

— დაგაწინაურებთ, „კომუნისტის“ რედაქტორად დაგნიშნავთ ან ცენტრალურ კომიტეტში წამოგიყვანთ, ხომ თანახმა ხართ?“ — შემეკითხა დასასრულ ბერია. უარი, ცხადია, არ მითქვამს“.

იმავე თვის 23 რიცხვში კანდიდ ჩარკვიანი დანიშნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგედ. პარტიულ სარბიელზე დაწინაურების შემდეგ იგი მოწმე შეიქნა, როგორ დაუნდობლად უსწორდებოდა ლავრენტი ბერია მისთვის არასასურველ პირებს, განურჩევლად ამ უკანასკნელთა დამსახურებისა. ყოველივე ამის შედეგად საქართველომ დაკარგა სხვადასხვა დარგის არაერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელნიც იმდროინდელი ინტელიგენციის ჭეშმარიტ ნაღებს წარმოადგენდნენ. აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებას, კულტურასა და ხელოვნებას.

ტაშის დაკვრა საბჭოთა მუშაკების საქმიანობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა (ცენტრში — კანდიდ ჩარკვიანი და ფილიპე მახარაძე

კანდიდ ჩარკვიანი (ეროვნული არქივი)

კანდიდ ჩარკვიანი იგონებდა: „ცენტრალური კომიტეტის აპარატში მისვლისთანავე მწვავედ ვიგრძენი დროის სუსხი. ბერიას მიერ წამოწყებული დაპატიმრებები ჩემთვის, ჯერ კიდევ რიგითი კომუნისტისთვის, ცნობილი იყო, მაგრამ არც მათ მასშტაბებზე, არც კონკრეტულ მიზეზებზე წარმოდგენა არ მქონდა... რეპრესიებმა საქართველოში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. დღე ისე არ გავიდოდა, ცენტრალური კომიტეტის აპარატიდანაც ვინმე არ დაეჭირათ... ბერია ამ უაზრო დამსჯელი პოლიტიკით მეტწილად ანგარიშს უსწორებდა თავის პირად მოწინააღმდეგეებს და მისთვის საერთოდ არასასურველ ადამიანებს...

ხელოვნების დარგების, კინემატოგრაფიის, მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი თუ მოჩვენებითი მიღწევები ბერიას საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად სჭირდებოდა და მათ მდგომარეობას თავისებურ ყურადღებას არ აკლებდა... „ყურადღების“ შედეგად, ქართული კულტურის ფრონტი საკმაოდ შეთხელებულიყო. მას გამოჰკლებოდნენ დრამატული და საოპერო თეატრების დიდი მოღვაწეები. მხატვრული ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა რეპრესირებამ შეურყია მას ხვალინდელი დღის რწმენა და მოუდუნა შემოქმედებითი ენერგია“.

თავის მემუარებში კანდიდ ჩარკვიანმა გადმოსცა, რა მიზეზით დაეძაბა მას ურთიერთობა ლავრენტი ბერიასთან. მოგონებებში ვკითხულობთ: „პირველ ხანებში ის ნდობით მეპყრობოდა, ცენტრალური კომიტეტის ბიურო ჩემს შეტანილ პროექტებს მცირე შესწორებებით იღებდა, მაგრამ არ გასულა დიდი დრო და შევამჩნიე, რომ ბერია ტყუილ-უბრალოდ მიხირდება. საილუსტრაციოდ მოვიტან ორ დამახასიათებელ შემთხვევას...

ერთ დღეს ბერიამ თავისთან მიხმო და კითხვით მომმართა: — შეარჩიეთ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი?

— ჯერჯერობით შესაფერი კანდიდატი ვერ გამოვძებნეთ, მაგრამ ვეძებთ და მოკლე დროში წარმოგიდგენთ.

— ბენო გოგუას ხომ იცნობთ? დიდი ხანია ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს. სამმართველოს უფროსად უთუოდ გამოდგება.

გოგუას კარგად ვიცნობდი. მარქსიზმ-ლენინიზმის რიგითი ლექტორი იყო. ფართო ერუდიციაზე პრეტენზიებს არ აცხადებდა. ხელოვნებასთან, ჩემი დაკვირვებით, საერთო არაფერი ჰქონდა. მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე გოგუას კანდიდატურისთვის აცილება მიმეცა. უნდა გენახათ, როგორ იფეთქა ბერიამ ამის გაგონებაზე. ის მაშინვე შენობით მომართვაზე გადავიდა:

„მაშინ ხელოვნება მარტო მე და შენ გვცოდნია, — იქუხა მან, — სხვა არავინ ამ საქმისთვის არ გამოდგება. ღმერთმა უწყის, სად რა გისწავლია. თვითონ არავის არჩევ, სხვის შერჩეულს კი იწუნებ“ და სხვ.

მე აქ ვერ მოვიტან იმ უხეშ, შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რომლებითაც ამ თავშეუკავებელი კაცის ლექსიკონი მსგავს შემთხვევებში უხვად იყო შეზავებული. მოულოდნელობისგან გაოგნებული ვიდექი. მინდოდა თავი დამეცვა, მაგრამ სიტყვის შებრუნება კიდევ მეტ რისხვას გამოიწვევდა. ამის მოწმე ცენტრალურ კომიტეტში არაერთხელ ვყოფილვარ. უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამოც, რომ კაბინეტში, ჩვენ გარდა, კიდევ ორი კაცი იყო — კომკავშირის მუშაკები — აკაკი მგელაძე და ალექსანდრე მირცხულავა.

ბენო გოგუა ხელოვნების საქმეთა სამმარ-

თველოს უფროსად დაინიშნა. მე კი ასეთი მოპყრობით თავს დიდად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი და მაშინდელ ვითარებაში რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სამუშაოს უთუოდ დავტოვებდი.

მეორე შემთხვევა, რომელიც ჩემთვის ასეთივე უსიამოვნებით დამთავრდა, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს მზადებასთან იყო დაკავშირებული. ვფიქრობდი და პრაქტიკაც ამას მოწმობდა, საიუბილეო დღეების დასასრულისთვის უნდა შემდგარიყო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული საზეიმო სხდომა. ეს იქნებოდა დღესასწაულის კულმინაციური პუნქტი და დასკვნითი ღონისძიება. შევიმუშავე ასეთი სხდომის მომზადების ღონისძიებები და წარვუდგინე ბიუროს განსახილველად.

ჩემი მოკლე ინფორმაციის შემდეგ ბერიამ პროექტი გადაათვალიერა, მაგიდაზე დააგდო და იჭვნეულად შემომხედა:

— ვისთან ერთად მოიფიქრეთ ასეთი სხდომის მოწვევა? ეს პროექტი წაიღეთ და თქვენი ოჯახის წევრებს წაუკითხეთ! დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს იუბილე თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომით დავამთავროთ. თქვენ კი, ღმერთმა იცის, რას გვთავაზობთ.

— იუბილე ხომ საერთო-სახალხოა. ვფიქრობდი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების საზეიმო სხდომით დამთავრება აჯობებდა.

— ეტყობა, თქვენ საერთოდ ბევრს ფიქრობთ, იმაზედაც, რაც თქვენი საქმე არ არის. გააკეთეთ პროექტი, ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა უნდა შედგეს.

ბიუროს წევრები ბერიას წინადადებას დაეთანხმნენ. როცა სხდომის შემდეგ კაბინეტში დავბრუნდი და პროექტის შესწორებას შევუდექი, მხოლოდ მაშინ მივხვდი ბერიას განრისხების მიზეზს. იმ დროისთვის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა დიდი ნაწილი რეპრესირებული ან ცენტრალური ორგანოების შემადგენლობიდან გარიცხული იყო. რასაკვირველია, ასეთი გაერთიანებული სხდომის მოწვევა ბერიას დამღუპველი პოლიტიკის თვალნათლივი დემონსტრაცია იქნებო-

კანდიდ ჩარკვიანი და თბილისში სტუმრად ჩამოსული მიხეილ კალინინი

ბერიამ იტვირთა სტალინის დედის, ეკატერინე გელაძის დაკრძალვის ორგანიზება

და. იმავე დროს, თბილისის საბჭოს დეპუტატთა მრავალრიცხოვან შემადგენლობას დანაკლისი არ შეემჩნეოდა და საზეიმო სხდომაც უფრო სოლიდურ, წარმომადგენლობით ხასიათს მიიღებდა. ასე ნიღბავდა ბერია საბჭოთა საზოგადოების წინაშე თავისი პოლიტიკის მძიმე შედეგებს.

შემდეგაც უმართებულო შენიშვნები არ მომკლებია. მთავარი კი ის იყო, რომ ბერიამ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების ყველა ძველი და ახალი გამგეები — მერკულოვი, მამულოვი, შარია, შეროზია, თოფურიძე — საბჭოთა კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელებინა; არ დაგვასახელეს მარტო მე და რაფიელ კვირკველია. ამ ფაქტიდან ჩანდა, რომ ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ დიდი ხნით მუშაობა არ გვეწერა“.

კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებში აღნიშნულია, როგორ მოულოდნელად განიმუხტა მისი დაძაბული ურთიერთობა ლავრენტი ბერიასთან.

მემუარებში ვკითხულობთ: „1938 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიმართა. ბერიას სესიიდან დაბრუნებისთანავე შევამჩნიე, რომ მისი დამოკიდებულება ჩემდამი შეიცვალა: არავითარი უხეშობა, ხშირად სახელითა და მამის სახელით მომმართავს, დარეკვისთანავე მღებულობს. გაკვირვებული ვიყავი, მაგრამ მიზეზს ხომ არ ვკითხავდი.

მალე ჩემთვის ყველაფერი გაირკვა. სესიაზე ვასო ეგნატაშვილიც იყო. მოსკოვში ყოველი ჩასვლისას ის იოსებ სტალინს უსათუოდ ინახულებდა. როცა დაბრუნდა, ვასო ჩემთან მოვიდა და მითხრა:

„იცით, სტალინთან რომ ვიყავი, თქვენ გიკითხათ — გორელი ჩარკვიანებიდან ხომ არ არისო“.

„გორიდან არ არის, მაგრამ იმერლობის არაფერი სცხია, ქცევითაც და ლაპარაკითაც ქართლელივით დინჯია-მეთქი“, — ვუპასუხე.

გასაგები მიზეზით, მე აღარ ჩავეძიე იმას, თუ კიდევ რა ითქვა სტალინთან ჩემ შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვასო მხოლოდ კარგად დამახასიათებდა: მაშინდელი ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო, რომ გადააჭარბებდა კიდევაც ჩემს ქებაში. სტალინი კი... დაუინტერესებელ პირთაგან მიღებულ ცნობებს უფრო უჯერებდა, ვიდრე ოფიციალურ ინფორმაციას.

სტალინთან საუბარში ბერიას ლექსიკონი მოკლე იყო: — „არის, ამხანაგო სტალინ. სწორია, ამხანაგო სტალინ“. ამაში დავრწმუნდი მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სტალინის სახლში ფეხი შევდგი. უეჭველია, ასეთივე შაბლონად ქცეული ლაკონიური პასუხი წარმოითქვა იმ დღეებში კრემლის დიდ კაბინეტში ან კუნცევოს აგარაკზე, როცა სტალინი ჩემ გამო ბერიას ელაპარაკებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. 1938 წლის 10 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ცეკას მესამე მდივნად ამირჩია... 31 აგვისტოს პარტიამ ახალი და მეტად მძიმე მოვალეობები დამაკისრა: საკავშირო კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს რეკომენდაციით საქართველოს კპ (ბ) პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩია... ამ პოსტზე 13 წელიწადი და 7 თვე დავყავი“.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ „გო-

რელ ჩარკვიანებში“ სტალინი გულისხმობდა მღვდელ ქრისტეფორე ჩარკვიანის ოჯახს. კერძოდ, მისი ვაჟი — კოტე ჩარკვიანი, სასულიერო სასწავლებელში სწავლისას, თავის უმცროს და-ძმასთან ერთად, ყმაწვილ იოსებ ჯუღაშვილსაც ამეცადინებდა ხოლმე. აქვე უნდა ითქვას, რომ თავის თანატოლებში ნიჭიერებით გამორჩეული იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სასწავლებელში სწორედ ქრისტეფორეს დახმარებით ჩაირიცხა. რაც შეეხება ზემოხსენებულ ვასილ ეგნატაშვილს, იგი იყო საბჭოთა კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი 1938 წლიდან, უმცროსი ძმა სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილისა (1887-1948). მათი მამა იაკობი იყო სტალინის მშობლების მეჯვარე.

ასე რომ, ლავრენტი ბერიას მიერ ათვალწუნებული კანდიდ ჩარკვიანის გადარჩენა და მისი სწრაფი კარიერული წინსვლა გარკვეულწილად განაპირობა სტალინის ბავშვობის დროინდელმა სიმპათიამ ჩარკვიანთა გვარისადმი.

კანდიდ ჩარკვიანი საყურადღებო ცნობას გვაწვდის, როდის შენიშნა მან სტალინის ეჭვი და უნდობლობა ლავრენტი ბერიასადმი, რომელიც მანამდე მის ერთგულ ფავორიტად ითვლებოდა.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩემი დაკვირვებით, სტალინის დამოკიდებულება ბერიასადმი 1950-1951 წლებისთვის საგრძნობლად შეიცვალა. ეს მჟღავნდებოდა საქმიან შეხვედრებში და სტალინის აგარაკზე გაშლილ სასადილო სუფრასთანაც, რომლის მონაწილე ჩვეულებრივად პოლიტბიუროს წევრები იყვნენ. აშკარა იყო, სტალინს ბერიას ერთგულებასა და პოლიტიკურ პატიოსნებაში უკვე ეჭვი ეპარებოდა. ამას, ალბათ, ბევრი მიზეზი ჰქონდა...

რეპრესიების განხორციელებისას ბერია, აშკარად, სტალინის წაყრუებისა და მხარდაჭერის იმედით, სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ის იმდენად გათამამებული იყო, რომ ზოგჯერ სტალინის მეგობრებსა და ნაცნობებსაც არ ინდობდა. საილუსტრაციოდ მოვიტან შემდეგ ფაქტს. ერთი შეხვედრისას, რომელსაც პოლიტბიუროს წევრებიც ესწრებოდნენ, სტალინი შემეკითხა, — დავით ონიაშვილს თუ იცნობდითო.

— პირადად არა, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ვიცნობდი, როგორც „კაპიტალის“ პირველი ქართული თარგმანის ავტორს.

სტალინთან საუბრისას ბერიას ლექსიკონი მოკლე იყო: — „არის, ამხანაგო სტალინ. სწორია, ამხანაგო სტალინ“...

— იქნებ ბერიამ გვითხრას, რისთვის დაიღუპა ეს ნიჭიერი, ხალხისთვის მეტად საჭირო კაცი?

ბერია შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა: — ჟორდანიასთან, ემიგრანტ მენშევიკებთან ჰქონდა კავშირი, ამხანაგო სტალინ, ტყუილად როგორ დავაპატიმრებდით.

— მიხეილ ჯავახიშვილიც ჯაშუშად მონათლეთ, არა? თუ მოინდომებდით, ყველაფერს გააკეთებდით.

— მიხეილ ჯავახიშვილი პოლონეთის საელჩომ მოისყიდა, თვითონ აღიარა.

— და თქვენ ეს გჯერათ? მეტი დაფიქრება იყო საჭირო. ბრალიც რომ ჰქონოდათ, უნდა დაგეძახათ, გაგეფრთხილებინათ. საქმის გამოძიებაც, ალბათ, რიგით გამომძიებელს ჩაა-

ბარეთ, კონტროლსაც არ უწევდით. იცოდეთ, მარტო ამ ორი მოღვაწის განუკითხავად დაღუპვით თქვენ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ ქართველი ხალხის წინაშე.

მთელი ამ დიალოგის დროს ბერია ფერწასული იდგა და, ალბათ, მეტ წყრომას მოელოდა, მაგრამ მსუბუქი დატუქსვით გადარჩა".

ვფიქრობთ, საყურადღებოა ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით მოქმედ სამინისტროში მომსახურეთა კანდიდ ჩარკვიანისეული შეფასება, რომელშიც ვკითხულობთ: „ბერიას სკოლის ჩეკისტთა უმრავლესობას მაღალი მორალი არ მოეკითხებოდა. ისინი, როგორც წესი, ყველაფერს საკუთარი კარიერის თვალსაზრისით წონიდნენ. ჩემთვის მოულოდნელად, საბოლოოდ ასეთი აღმოჩნდა ნიკოლოზ რუხაძეც. დროდადრო მას რამე ბოროტი აზრი აეკვიატებოდა და ჩემთან წინადადებით გამოცხადდებოდა. მაგალითად, 1951 წლის ზაფხულში მან დამიყენა საკითხი საქართველოდან ყოფილი მენშევიკების ოჯახთა გადასახლების შესახებ...

— რა მიზანი აქვს ამ ღონისძიებას? — შევეკითხე.

— ქართულ ემიგრაციას რესპუბლიკაში ბაზა გამოეცლება, — მიპასუხა.

— მაშ, თქვენთვის მუშაობის გასაადვილებლად ათიათასობით უდანაშაულო ქართველი კაცი ყაზახეთში უნდა გადავასახლოთ?

— რა უშავთ, მათთვის სულ ერთი არ არის, აქ იქნებიან თუ ყაზახეთში?

ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავიდოდა".

ზემოხსენებული ნიკოლოზ რუხაძე (1905-1955) იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი 1948-1952 წლებში, გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც 1952 წელს დაატიმრეს და პატიმრობაში გარდაიცვალა.

როგორც ვხედავთ, კანდიდ ჩარკვიანმა თავის ვრცელ მემუარებში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ლავრენტი ბერიას საქმიანობაზე, პიროვნულ თვისებებსა და მის მიერ გამოზრდილ ჩეკისტებზე მსჯელობას.

ნიკო ჯავახიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის პროფესორი

(მარცხნიდან) ანასტას მიქოიანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, იოსებ სტალინი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია და ვიაჩესლავ მოლოტოვი მოსკოვის ქუჩებში


მინდა შაბათი
წიგნის დღედ
დავანესო...
ყოველ შაბათს!
„ბიბლუსში“!
განსაკუთრებული
სიურპრიზები!
ბიბლუსი
Books
წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები!

ნოვარის პროვინციაში მიმდინარე ბრძოლებში ქართველმა პარტიზანებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

„პერ ბატალია, ჯორჯანი პარტიჯანი!“

ფორე მოსულიშვილი და ქართველ პარტიზანთა გმირობა

მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში 5000 ქართველი მონაწილეობდა. ოფიციალური წყაროებით, მათ შორის 425 დაიღუპა და ჩრდილოეთ იტალიაში განისვენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოვარას პროვინციაში მებრძოლი 300 ქართველი პარტიზანი, რომლებიც არაერთ წარმატებულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

ფორე მოსულიშვილი (ეროვნული არქივი)

ისტორიას მრავალი შემთხვევა ახსოვს, როცა ქართველები უცხო ქვეყნის სამსახურში დგებოდნენ და თავს სწირავდნენ მის თავისუფლებას. ისეც ხდებოდა, რომ სხვა ქვეყნის სამსახურში მყოფ ქართველებს თავიანთი სამშობლო არც ახსოვდათ და სიყრმიდანვე შეემეცნებინათ პასუხისმგებლობა იმ ქვეყნის წინაშე, რომლისთვისაც იბრძოდნენ. ისტორიას ისეთი შემთხვევებიც ახსოვს, როცა დიდ ქვეყნებს ქართველები სახელისა და მდგომარეობის მოსახვეჭად მიაშურებდნენ და მიზანსაც აღწევდნენ. თუმცა გვხვდება სხვა მაგალითებიც. ზოგჯერ ქართველები გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო ხდებოდნენ უცხო ქვეყნის ჯარისკაცები, შეიძლება ითქვას, შემთხვევითობის წყალობით. ასეთ დროს ისინი გრძნობდნენ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ იმ ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო მათთვის უპირველესი ვალი, რომლის მიწაზეც ისი-

ნი განგებამ მოახვედრა. ამის ნათელი დადასტურებაა მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველ პარტიზანთა თავდადება ევროპის მრავალ ქვეყანაში, რომელთა შორის გამოირჩევა ქართველთა ბრძოლა იტალიის ეროვნული თავისუფლებისთვის.

იტალიაში ქართველ პარტიზანებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ფორე მოსულიშვილს. ის 1919 წლის 20 მაისს დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. წითელ არმიაში გაწვევამდე მისი ბიოგრაფია არაფრით გამოირჩეოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნე გახდა, შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1939 წელს ფორე მოსულიშვილი წითელ არმიაში გაიწვიეს. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში სამხედრო სამსახურს ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში გადიოდა. სწორედ ამ ქალაქიდან მიიღო ოჯახმა მისი უკანასკნელი წერილი 1941 წლის მაისში. ამის შემდეგ ფორე ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად ის თავდაპირველად პოლონეთში მოხვდა, მოგვიანებით კი საფრანგეთში გადაიყვანეს. მისი ბანაკის კომენდანტი სიმკაცრით ცნობილი ობერშტურმფიურერი ჰანს ფონ ფალკენშტაინი იყო. როგორც მისი თანამდროვენი გადმოგვცემენ, ერთ-ერთი შემოვლისას კომენდანტს ფორესთვის დაჩოქება უბრძანებია, მან კი თურმე ბრძანებას წაუყრუა. გაბრაზებულ ფალკენშტაინს მისთვის მათრახი მოუღერებია, რის სანაცვლოდაც მოსულიშვილმა მუშტი გაარტყა სახეში. რამდენიმე წამის შემდეგ გონზე მოსულ კომენდანტს, რომელსაც ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა, ჯიბიდან პარაბელუმი ამოუღია, ჯარიკაცებისთვის უკან დახევა უბრძანებია და იქაურობას გასცლია. ფორე მოხიბლული დარჩა კომენდანტის საქციელით და თავის მეგობარ ისაკ ძამნაშვილს უთხრა თურმე, — ეს კაცი ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილაო!

1944 წელს ტყვეთა ნაწილი და მათ შორის ფორე მოსულიშვილიც საფრანგეთიდან იტალიის ქალაქ სტრეზაში გადაიყვანეს (ნოვარას პროვინცია). ერთ საღამოს, როცა გერმანელები დათვრნენ და სამეთვალყურეოდ ერთადერთი ჯარისკაცი დატოვეს, ფორემ მისი განიარაღება მოახერხა და ბანაკიდან მეგობრებთან ერთად გაიქცა. როგორც ამბობენ, გაქცევისას ქართველებმა თან ტყვეებიც გაიყოლეს. მოსულიშვილი 70 ქართველთან ერთად ტყეში გავარდნილ იტალიელ პარტიზანთა რაზმს შეუერთდა, რომელსაც ედო დელგატო მეთაურობდა. ეს რაზმი აქტიურად მოქმედებდა ვერმახტის ძალების წინააღმდეგ. ქართვე-

ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი იტალიელი პარტიზანები

ქალაქი სტრეზა, სადაც გერმანელთა ფორმაში გადაცმულმა მოსულიშვილმა ლუდხანაში ვერმახტის ოფიცერი აიყვანა ტყვედ

ლებმა პირველ ოპერაციაში მონაწილეობა 1944 წლის 14 სექტემბერს მიიღეს, როცა დაბა ომენიის ჰოსპიტლიდან გამოიხსნეს ჯენეზიის მახლობლად ტყვედ ჩავარდნილი ძმები გოგიშვილები და ედო დელგატო. ამ შეტაკებისას მოსულიშვილმა უხმაუროდ მოახერხა დაცვის ნეიტრალიზება, რამაც მის თანამებრძოლებს შენობის სწრაფად აღების საშუალება მისცა. ამის შემდეგ ფორეს დიდი რაზმის მეთაურობა შესთავაზეს, მაგრამ ორი მიზეზით განაცხადა უარი, — იტალიური არ ვიცი და ადგილობრივებს არ ვიცნობო. მხოლოდ ქართველ პარტიზანთა მეთაურად დარჩენილიც, დიდი სარგებლობის მოტანას ახერხებდა იტალიისთვის. 1944 წლის სექტემბრის ბოლოსთვის რაზმი დაბა დომოდოსოლოს რაიონში იბრძოდა. ამ შეტაკებების დროს მოსულიშვილმა გუშაგის თვალწინ ააფეთქა ხიდი, რომელიც რაიონს ნოვარასთან აკავშირებდა. იმავე პერიოდში გერმანელთა ფორმაში გადაცმულმა მოსულიშვილმა სტრეზას ლუდხანაში ტყვედ აიყვანა ვერმახტის ოფიცერი, რომლისგანაც იტალიელ პარტიზანებს საჭირო ინფორმაციის მიღება სურდათ.

მოსულიშვილისა და მისი თანამებრძოლების ქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა იტალიაში მყოფ გერმანულ ნაწილებს. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ გერმანელებმა ფართომასშტაბიანი შეტევის მოწყობა გადაწყვიტეს რემო სერვადეის 181-ე ბრიგადაზე, რომლის ერთ-ერთ ბატალიონ პეპინოში იბრძოდა ფორე მოსულიშვილი 27 ქართველთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ბრძოლების დასაწყისში მოსულიშვილს 70 ქართველი ჰყავდა. 1944 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე 43 ქართველი დაიღუპა მხოლოდ ერთი ბატალიონის რიგებში.

1944 წლის 3 დეკემბერს სოფელ კოლონინის მისადგომებთან პარტიზანთა რაზმი, რომელიც ქალაქ რონადან ეშელონის აფეთქების შემდეგ შინ ბრუნდებოდა, გერმანელთა ალყაში აღმოჩნდა. ალყაში მოქცეული ჯგუფი 16-კაციანი იყო. მათ შორის იყო შვიდი ქართველი: ფორე მოსულიშვილი, მიხეილ საყვარელიძე, ბაგრატ ესართია, შალვა კვირიკაშვილი, შოთა ბექაია, ვლადიმერ ბეჟია და ზაქარია თომაშვილი.

ხანგრძლივმა სისხლიანმა შეტაკებამ მრავალი გერმანელის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა პარტიზანთა რიგებში ბევრი დაიჭრა და ტყვია-წამლის ამოწურვის საშიშროებაც ახლოვდებოდა. გერმანელებმა მეთაურის დანებების სანაცვლოდ დანარჩენებისთვის სიცოცხლის შენარჩუნების პირობა დადეს. სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა მოსულიშვილის უდიდესი ვაჟკაცობა. მისი თანამებრძოლი მარიო ძინონი იგონებს, რომ ვერც ერთმა მებრძოლმა, მათ შორის ვერც მეთაურმა ედო დელგატომ ვერ გაბედა გარეთ გასვლა. მხოლოდ გასისხლიანებულმა ფორე მოსულიშვილმა გააღო კარი და გერმანელებს დაუყვირა: „მეთაური მე ვარ, თქვენთვის დანებებას სიკვდილი მირჩევნია! გაუმარჯოს პარტიზანებს! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ამ სიტყვების შემდეგ მოსულიშვილმა თავი მოიკლა. მისმა ასეთმა საქციელმა 15 პარტიზანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ფორე მოსულიშვილის მიერ იტალიაში გამოჩენილი მამაცობა და გაღებული მსხვერპლი 1970 წელს გაიხსენეს, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატიმ ხელი მოაწერა მის დაჯილდოებას ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი. ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილს გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ გადაეცა იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო „ოქროს მედალი მხედრული მამაცობისთვის“. ამ მედლის კავალერი იტალიის ეროვნულ გმირად მიიჩნევა და ნებისმიერი, გენერალიც კი ვალდებულია, მის მფლობელს პირველ რიგში მიესალმოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მედალი ცოცხალ გმირებს იშვიათად გადაეცემათ. ფორე მოსულიშვილი მეორე უცხოელია ფიოდორ პოლეტაევთან ერთად, ვისთვისაც იტალიის რესპუბლიკამ ეს უაღრესად საპატიო წოდება გაიმეტა. 1990 წელს მოსულიშვილი საბჭოთა კავშირის გმირადაც აღიარეს. ის დაკრძალულია იტალიის ქალაქ არონაში.

თუმცა ფორე მოსულიშვილი ერთადერთი ქართველი როდია, ვინც იტალიის თავისუფლებას თავი შესწირა. საბედნიეროდ, ისტორიამ მრავალი ქართველი პარტიზანის სახელი და მათი გმირობის მაგალითები შემოგვინახა.

იტალიელ პარტიზანთა 42-ე ბრიგადაში შედიოდა ქართველთა 50-კაციანი რაზმი ვლადიმერ გაბისონიას მეთაურობით. სოფელ სტიმასთან გამართულ ბრძოლაში ამ რაზმმა დამოუკიდებლად ჩაიგდო ტყვედ ვერმახტის 180 ჯარისკაცი. საპასუხო შეტაკებაში გაბისონიას რაზმი ბალმაფოლის მთაზე გამაგრდა და გერმანელთა ყველა შეტევა წარმატებით მოიგერია. გაბისონიას რაზმი საუკეთესოდ ითვლებოდა გარიბალდელთა მე-3 დივიზიაში.

სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქ გრაველინოსთვის გამართულ ბრძოლაში ქართული პარტიზანული რაზმი ბელტრამისა და სერვადეის ქვედანაყოფების გვერდით იბრძოდა. იტალიელმა პარტიზანებმა გრაველინოს გარეუბნის დაკავება მოახერხეს. კონტრშეტევაზე წამოსული გერმანული ჯავშანტრანსპორტიორი უცნობმა ქართველმა პარტიზანმა ხელყუმბარით ააფეთქა, რამაც ბრძოლის ბედი საბოლოოდ იტალიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. გერმანელთა 300-კაციანი გარნიზონი მთლიანად განადგურდა, ბრძოლაში დაიღუპა რამდენიმე ქართველიც.

1945 წლის 16 მარტს ქალაქ ბორგოსეზიაში დაიღუპა ქართველი პარტიზანი მეგონა

ფორე მოსულიშვილის დედა (ფოტო ეროვნული არქივიდან)

1970 წლის 28 თებერვალს ფორე მოსულიშვილს მიენიჭა იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისთვის“

ფორე მოსულიშვილის საფლავი არონაში (ეროვნული არქივი)

ბრძოლაში დაღუპული ქართველი პარტიზანების მემორიალი ვერბანიაში, მშვიდობის პარკში (გიორგი ჯაფარიძე, 1978)

1971 წლის 25 იანვარს გიორგი ვარაზაშვილს, (კაპიტან მონტის) მიენიჭა იტალიის სამხედრო ჯილდო — ბრინჯაოს მედალი „მხედრული მამაცობისთვის“

ღურწკაია. გერმანელთა მხრიდან პარტიზანთა შეტევის მოგერიების შემდეგ ის მარტო შევარდა სახლში, რომელშიც მოწინააღმდეგე იყო გამაგრებული და გმირულად დაიღუპა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი ქართველი პარტიზანი. ვერმახტის ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში, რამდენიმე იტალიელ თანამებრძოლთან ერთად, გმირულად დაიღუპა გიორგი ვარაზაშვილი, იგივე კაპიტანი მონტი. მისმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დიდი ხნის განმავლობაში შეძლო მტრის შეტევის მოგერიება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტყვია-წამალი გამოელია, ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. განსაკუთრებით ამაღელვებელია ეპიტაფია კაპიტან მონტის საფლავის ქვაზე: „გამვლელო, გაჩერდი, ამ ადგილას განისვენებს პატრიოტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი გათავისუფლებისთვის. მან შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა“.

თავისუფალი იტალიისთვის კიდევ მრავალმა ქართველმა გასწირა სიცოცხლე. მრავალი მათგანის სახელი ისტორიას არც შემოუნახავს. მართალია, გმირები არასოდეს ითხოვენ დაფასებას, მაგრამ ყოველი საზოგადოება ვალდებულია, ახსოვდეს თავისი გმირები. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული ქართველები იტალიის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, ისინი გმირები არიან საქართველოსთვისაც და მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვისაც, რადგან იმ კონკრეტულ მომენტსა და კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში სწორედ იტალიის თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო ბრძოლა კაცობრიობის თავისუფლებისთვის.

დავით ბრაგვაძე,

თსუ-ს ისტორიის დოქტორანტი

ქალაქი ბელჯირატე, სადაც ერთ-ერთ ქუჩას ფორე მოსულიშვილის სახელი ეწოდება

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲯᲝᲑᲓᲜᲔᲜ

ისრაელში ყვავილებით შემკულ უძველეს საფლავებს მიაკვლიეს. მათი ასაკი დაახლოებით 12 ათასი წელია. ისინი ნატუფიანის კულტურას განეკუთვნებიან, ანუ პერიოდს, როდესაც ადამიანებმა ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის განვითარებამდე მიატოვეს მომთაბარე ცხოვრება და სოფლებში მუდმივად დასახლება დაიწყეს. კარბონული დათარიღების მეთოდმა აჩვენა, რომ საფლავების ასაკი 11,7-13,7 ათას წლებს შორის მერყეობს.

სამარხებს აყვავებული მცენარეების ანაბეჭდებით, კარმელის მთასთან ახლოს მიაკვლიეს. ისინი ძველი საფლავის ტალახმა აღბეჭდა. მცენარეთა შორის არის პიტნა და აბზინდა.

„მანამდე ნატუფიანის პერიოდის სამარხებში ყვავილები არ აღმოჩენილა. ადამიანები ყვავილებს საფლავის შესამკობად შესაძლოა მთელი პერიოდის განმავლობაში იყენებდნენ, მაგრამ ამ ყვავილების მოძებნა ახლა რთულია, რადგან ისინი მალე ლპება“, — ამბობს ჰაიფას უნივერსიტეტის არქეოლოგი დანიელ ნადელი.

ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ მიცვალებულის დაკრძალვისთვის მიწას თხრიდნენ, შემდეგ ტალახს ასხამდნენ და ფსკერს სხეულამდე ყვავილებით ფარავდნენ, მცენარეებს კი არომატისა და სილამაზის მიხედვით არჩევდნენ.

მომზადებულია „ევრონიუსის“ მიხედვით

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲝᲞᲝᲢᲐᲛᲘᲣᲠᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘᲐ

არქეოლოგებმა შოტლანდიაში, აბერდინის ოლქში უძველესი მთვარის კალენდარი აღმოაჩინეს. კალენდარი მეზოლითის ხანას განეკუთვნება და როგორც სპეციალისტები აცხადებენ, რამდენიმე ათასი წლით ძველია, ვიდრე მესოპოტამიური დროის საზომი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია 12 ორმო, რომელიც მთვარის ფაზებსა და მის მდებარეობას თვეების მიხედვით იმეორებს. ორმოთა მწკრივი ასევე ემთხვევა ზამთრის შუა პერიოდის მზის ამოსვლას, რაც ბირმინჰემის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის ვარაუდით, მონადირე-შემგროვებელ საზოგადოებას სეზონთა ცვლის დადგენის საშუალებას აძლევდა. სპეციალისტთა აზრით, უძველესი მონუმენტი დაახლოებით 10 ათასი წლის წინ შეიქმნა. კვლევის შედეგები ჟურნალ Internet Archaeology-ში გამოქვეყნდა.

უჩვეულო ორმოებს ვარენის მდელოზე პირველად 2004 წელს ძეგლებისა და შოტლანდიის ისტორიის სამეფო კომისიის მიერ წარმართული აეროფოტოგადაღებებისას მიაგნეს. სწორედ ამ გადაღებებისას აღინუსხა უჩვეულო, მიწის ზედაპირზე შეუმჩნეველი ჩაღრმავებები მოედანზე, რომელიც უძველესი კალენდრის ნაშთები აღმოჩნდა.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით



ბაღების კუნძული — ორთაჭალა

ძველი თბილისის ხედი. მარცხნივ — ორთაჭალის ბაღები

ორთაჭალა ძველი თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბანია. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ორთაჭალის ბაღებს ძალიან საინტერესო და დიდი ხნის ისტორია აქვს. სანამ XX საუკუნეში მტკვრის სანაპიროები გამაგრდებოდა და მდინარის კალაპოტი კედლებს შორის მოექცეოდა, თბილისსა და მის შემოგარენში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული არსებობდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო და დიდხანს იარსება კუნძულმა ორთაჭალამ, რომელიც მდებარეობდა თბილისის სამხრეთით, იქ, სადაც ვიწრო კალაპოტიდან გათავისუფლებული მტკვარი იტოტებოდა და კუნძულს ქმნიდა. ორთაჭალის კუნძული სიგრძით 800, ხოლო სიგანით 600 მეტრზე მეტი იყო. კუნძული მდებარეობდა სეიდაბადის (შემდგომ ხარფუხის) ქვევით.

ვახუშტი ბაგრატიონს ორთაჭალა თბილისის 1735 წლის გეგმაზე აღნიშნული აქვს, როგორც კრწანისის ბაღი. ალბათ იმიტომ, რომ ორთაჭალა სოფელ კრწანისს ეკუთვნოდა. იგი მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის იყო მოქცეული. სახელწოდებაც მდებარეობით უნდა აიხსნას — ორთა (წყალს) შორის მდებარე ჭალა. პირველად „ორთაჭალა“ კუნძულის სახელად 1735 წლის საბუთში გვხვდება. იგი ორნაწილადი სიტყვაა — „ორთა“ და „ჭალა“, ე.ი. „შუა ჭალა“.

ორთაჭალის კუნძული ლამაზად მოწყობილი ბაღებით იყო დაფარული, ბაღები კი ერთმანეთისგან პატარ-პატარა, ვიწრო ქუჩებით გამიჯნული, რომელთაც ასეთი სახელები ერქვა: ბოსტნის, ხილის, ბაღჩის, ყურის, ორთაჭალის სანაპირო, სანაპიროს ჩიხი, ორთაჭალის ჩიხი...

კრწანისისა და ორთაჭალის ზვრები, ბაღჩა-ბოსტნები, ბაღები ირწყვებოდა რუებით,

ჩარხის წყლით, საგანგებოდ მოწყობილ საგუბრებში ჩამდგარი თუ დაგროვილი წყლით.

ორთაჭალის კუნძული მარჯვენა ნაპირს ხის საცალფეხო ხიდით უკავშირდებოდა. აქაური ბოსტნეული, ყოველ სისხამ დილით, გოდორაკიდებული ვირებით მიჰქონდათ ქალაქის ბაზრებში და რადგან ჭირნახული ხიდზე სახედრებს გადაჰქონდათ, „ვირის ხიდს“ უწოდებენ. ბოსტნეულთან ერთად ორთაჭალაში დაჭერილი და „ორთაჭალურად“ დამზადებული თევზიც მიჰქონდათ.

ქალაქიდან ორთაჭალაში გადასვლა ნავითაც ხდებოდა, რომელსაც საგანგებოდ მიჩენილი მენავე ემსახურებოდა. ორთაჭალის მენავის პირდაპირი მოვალეობა იყო მებაღეების, ბაღის მეპატრონეებისა და სხვათა გადაყვანა.

ორთაჭალის ბაღები მეფის ოჯახს, თავადაზნაურობას და ქალაქის მაღალ საზოგადოებას ჰქონდა გაყოფილი. ხოლო კერძო მესაკუთრეები, ძირითადად ვაჭრები, ბაღებს XIX საუკუნეში დაეუფლნენ.

გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) გარდაცვალების და ტახტის მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების შემდეგ, მათი კუთვნილი ბაღები ქართველ სასულიერო მოღვაწეს, დოსითეოს ფიცხელაურს გადაეცა. მოგვიანებით ბაღები თბილისელმა ვაჭრებმა შეიძინეს.

ორთაჭალის ბაღებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ქალაქის ქუჩებში თაკარა სიცხე ჩამოწვებოდა ხოლმე, ამ ბაღებში თბილისელები მეგობრებთან ერთად, ზოგი ეტლით, ზოგიერთი კიდევ ფეხით, თოკშებმული ცხვრითა და კახური ღვინით სავსე ტიკით, ორთაჭალის ბაღებს მიაშურებდნენ. იმართებოდა დარბაისლური, ქალაქური პურმარილი, ისმოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სადღეგრძელოები... მეზობელ სუფრასთან მსხდომთ მორიდებითა და პატივისცემით ექცეოდნენ და თავიანთ სუფრაზე თავაზიანად იწვევდნენ...

ორთაჭალის ბაღებში დუდუკის ხმაზე გაისმოდა ქალაქელ აშუღთა: საიათნოვას, ბეჩარას, ჰაზირას, გივიშვილის, სკანდაროვასა და იეთიმ გურჯის ლექსები...

ორთაჭალის ხშირი სტუმარი ყოფილა პოეტი გრიგოლ ორბელიანი, იგი თავის „მუხამბაზში“ ორთაჭალის პურმარილის ეშხსა და ლაზათზე მოგვითხრობს.

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა, „ძვირფასი ხარ!“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

გაზეთი „დროება“ 1869 წლის 19 ივნისის პუბლიკაციაში („თბილისში გასეირნება“) წერდა: „აბა რა შეედრება ამ პოეტიკურ არეულდარეულობას, უსწორმასწორობას, ვაზის თალარს, მაღალ კაკლის წენგოთი დატვირთული ხის საამურ სუნსა, თვალის შესაქცევარ და პირში წყლის მომგვრელ სხვადასხვა ხილს და ბოლოს ყურის გამაღვიძებელ ჩარხის ხრიალ-ჭრიალსა. ახლა სიმღერა, ახლა დუდუკი, დაირა, ცივ-ცივი თუთა, ბალი... აბა როგორ შეედრება ამას ზემოთ ხსენებული ბაღები თავის თანასწორეთ გადამრგვლილი ხეებით და დანაყილი აგურით დატკეპნილი ხე-

ორთაჭალის კუნძული მარჯვენა ნაპირთან ხის საცალფეხო ხიდით („ვირის ხიდით“) იყო დაკავშირებული

ნიკო ფიროსმანი „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“

ივნებით, ერთი ხალიჩა რომ გინდოდეთ, ერთი მუთაქა, იქ ვერ იშოვით, რომ ორიოდე წამით წამოწვეთ ან მუხლი მოიკეცოთ“.

XX საუკუნის 20-30 წლებში ორთაჭალამ ახალი ფუნქციაც შეითავსა — მწერლების ცხარე ლიტერატურული შემოქმედებითი დავა-პაექრობის მასპინძლობა. იქ ჯერ კიდევ მოქმედებდა ჩოფურიშვილის ათასგვარად შეღებილ-მოხატული დუქანი და ორთაჭალელთა ბაღები. მებაღეები და ყარაჩოღელები უყურებდნენ და უსმენდნენ პოეტების საუბარს.

აყვავებულ და ლამაზად მოვლილ ბაღებში

თბილისელი მოქეიფეები

ქართველი მწერლების ცხარე კამათი დაუსრულებლად გრძელდებოდა. ძირითადად დაპირისპირებული იყვნენ ცისფერყანწელები და პროლეტარული მწერლები. ცისფერყანწელებს თავიანთი განსწავლულობით, ცოდნითა და განათლებით ვერ უმკლავდებოდნენ შედარებით უფრო პროლეტარული მწერლები და ხშირად ეს გაუგებრობას იწვევდა ლიტერატურული კამათის დროს.

ამ დავა-კამათებში აქტიურად მონაწილეობდა გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, სანდრო ყანჩელი... ისინი ორთაჭალაში მაკალათიების, ძაგანიების, ძიძიგურების, ელიავებისა და სხვების ლამაზად მოვლილი ბაღების ხშირი სტუმრები იყვნენ.

ორთაჭალა-კრწანისის ხშირი სტუმარი იყო ტერენტი გრანელი, რომელსაც უყვარდა ტკბილად მოსაუბრე მებაღეებთან საუბარ-მასლაათი. უკვე ღრმად მოხუცებული მებაღეები პოეტს საქართველოს ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს უამბობდნენ. ზოგიერთი მებაღის პაპა 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების მომსწრეც კი ყოფილა.

ორთაჭალა-კრწანისის ბაღებს ხშირად სტუმრობდა ლადო გუდიაშვილიც. მას თურმე კინტო-ყარაჩოღელებთან ცეკვა-თამაში ჰყვარებია. ლადო ცალ ხელს ასწევდა, მეორე ხელით კი წელზე დოინჯს შემოიყრიდა და ისე ლამაზად ცეკვავდა, არაფერი სჯობდა მის ყუ-

რებას. შემდეგ ლადო და ყარაჩოღელები ერთმანეთს გადაეხვეოდნენ. „ყველაფერი ეს დღეს ისე მახსოვს, თითქოს ახლაც ვუყურებდე ლადოსა და საშა ყარაჩოღელის ცეკვას“, – იხსენებდა მოგვიანებით ალექსანდრე სიგუა.

* * *

ტიციან ტაბიძე და სანდრო ყანჩელი უცებ გამონახავდნენ ყარაჩოღელებთან საერთო ენას. რა მიმზიდველი და წარმტაცი იყო მათი ჟარგონული საუბარი, თვალწინ მთელი ეგზოტიკური თბილისი წარმოგიდგებოდათ.

– აბა, სანდრო, წაიკითხე ის ლექსი, შენ რომ წუხელ წამიკითხე.

და სანდრო ყანჩელიც ყარაჩოღელების, მებაღეებისა და კინტოების წინაშე ლამაზად კითხულობდა თავის ლექსებს თბილისზე. მის ლექსს „თბილისი“ პოპულარობა სწორედ მისივე, როგორც ავტორის, დიდი განცდითა და ემოციით წაკითხვამ მოუპოვა. პოეტს ტაშისა და შეძახილების ფონზე ხშირად ამეორებინებდნენ საკუთარ ქმნილებას.

„ჩემს ძველ თბილისსა, ფეროვანსა,
კვლავ ვუბრუნდები,
მიყვარს მტკვრის პირი, დახლართული
ვიწრო ქუჩები,
ხშირად სიმღერა გამომითქვამს
შაითან-ბაზარზე,
შევჩერებულვარ გაოცებით ნანგრევის კარზე.
ორი თბილისი. ერთი არის ღია წერილი;
მღერის ოპერა, ათამაშებს ბავშვებს პერინი,
მთაწმინდის გულსა ჰჭრის რელსებით
ფუნიკულიორი,
და მოსკოვის ხმას ჩუმად ისმენს რადიო-ყური.
„სასიკვდილოა!“ ავჭალიდან ღმუის „ზაჰესი“,
წითელი ჯოხით დაცულია ქუჩების წესი,
შოთას პროსპექტზე წინ და უკან გარბის
პროფელი,
ქალებს ატყუებს ძველი ძონძით ამერიკელი.
აფთიაქივით გაწმენდილნი დგანან ბაღები,
ზარით და ზურნით იყიდება რძე და ნაღები,
რკინა-ბეტონით იმოსება „ცის
დამფხვრაჭნელი“,
ჰოლანდიელად იხედება ყველა რაჭველი...
ძველი თბილისი, ოქრომჭედლის
ძველი დუქანი,
ყურანის სიტყვით კურთხეული
ძველი ხანჯალი,

„ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა: მდაბიო ხალხისთვის – ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის – მუშტაიდი, ამიტომ ეს დღეობებიც ყარაჩოღელთათვის ერთი იმ გასართობთაგანი იყო, სადაც ჯანსაღ ბუნების წიაღში დაგუბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ“.

იოსებ გრიშაშვილი

„ცისფერყანწელები“ — ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი

ელენე ახვლედიანი და ლადო გუდიაშვილი (1925 წ.)

ორთაჭალის ბაღები

და მარგალიტი საოცნებო ხილის მარცვალი.
ყაზახის ნოხზე ყალიონს სწევს ბრძენი
სპარსელი!
ფერმკრთალ ხელებში იგრიხება
ჩიბუხის გველი.
მისთვის ერთია: რიზა-საჰი თუ კომისარი.
დიდი სპარსეთი, თუ თბილისის
შაითან-ბაზარი.
სადღაც სარდაფში ქეიფია ყარაჩოღული.
ხელადით ღვინო, ბატკნის მწვადი
და კარგი გული.
თამადა ბრძანებს: „გაუმარჯოს ლამაზ
ჩიტუნას“,
რომელიც რომა შეიყვარებს ჩემ ძმა ჩიტუას“.
საღამო არის, ანჩისხატში ზარებს რეკავენ.
და დაქანცული ხელოსნები დუქნებს ჰკეტავენ.
აგერ ფანჯრიდან გამოშუქდა მკრთალი
ლამპარი,
და ძველ თბილისსა მოეფინა ძველი ზღაპარი“.

ტერენტი
გრანელი

ორთაჭალა-კრწანისში გამართულ ლიტერატურულ დავა-კამათებში ძველი თბილისის მოტრფიალე პოეტი, იოსებ გრიშაშვილიც მონაწილეობდა. იგი იქვე ახლოს, ხარფუხში ცხოვრობდა.

ვის არ ნახავდით ორთაჭალა-კრწანისის ამ უმშვენიერეს, ეგზოტიკურ კუთხეში. აქ მოდიოდა მწერალი თუ მხატვარი, კომპოზიტორი თუ რეჟისორი, მსახიობი თუ ექიმი. იქვე, ნადიკვრის ქუჩაზე ანდრია ძიძიგურის მეზობელ მებაღე ილიკო ელიავასთან ცხოვრობდა პოეტი გედეონ გუგუნავა. მასთან თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ქუჩიშვილი, ლადო მაჭავარიანი, გობრონ ციცქიშვილი და სხვები. პოეტები ორთაჭალა-კრწანისში ხშირად იმიტომ მიდიოდნენ, რომ იქ უფრო გამოკვეთით ჩანდა თბილისის წარმტაცი და მომხიბლავი ეგზოტიკა თავისი ყარაჩოღელებით, კინტოებით, მოზუზუნე ბაზრებით, ჩაიხანებით, ზურნითა და გაუთავებელი ქეიფით. ორთაჭალის სასადილოებსა და დუქნებს ნიკო ფიროსმანიც სტუმრობდა ხშირად...

ბერია და ორთაჭალის ბაღები

ტერენტი გრანელის მოგონებებიდან: „ერთხელ ორთაჭალაში მივდიოდი ჩემს ნაცნობ მებაღე ილიკო ელიავასთან. გზაზე ბამბის საპენტავ ფაბრიკასთან ვიღაცამ მანქანა გააჩერა, შევცბუნდი, შევხედე – ლავრენტი ბერია იყო. მკითხა, საით გაგიწევიაო. მებაღეებთან მივდივარ, ბატონო ჩემო-მეთქი. ჰო, ეს კარგია! ხელი ჩამომართვა და გზა განაგრძო. მე კი ვინახულე ჩემი ნაცნობი მებაღე ილიკო ელიავა, რომელსაც ვუამბე ბერიასთან ჩემი შეხვედრის ამბავი. მან გაიცინა და მითხრა, –

ბერია ხშირად ხვდება და საუბრობს ორთაჭალა-კრწანისის მებაღეებთანო“.

ერთ-ერთი მებაღე მიხეილ ძიძიგური ორთაჭალელი მებაღის, ანდრია ძიძიგურის შვილი იყო. ის განაგებდა და უვლიდა ბერიას ბაღს ორთაჭალაში.

მოგვიანებით მიხეილ ძიძიგური იხსენებდა: „ერთ დღეს, ბაღში შემოვიდნენ ლავრენტი ბერია და მისი მეუღლე ნინო გეგეჭკორი. ბერიამ ბაღში ორი შუშა კიტრი მოწყვიტა და შემდეგ ცოლ-ქმარი ჩემკენ გამოემართა. ორივე მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა მოეტანა სკამი, დანა, თეფში და მარილი. მე მათ ვთხოვე, შინ შემოსულიყვნენ, მაგრამ ბერიამ სიცილით მითხრა: მე კაბინეტში ჯდომა არ მაკლია, ცის ქვეშ ყოფნა უფრო მსიამოვნებსო. თხოვნა შევუსრულე. შემდეგ მკითხა, როგორ გეპყრობიან ჩემი თანამშრომლები, ხომ არ გავიწროებენო. – არა, ბატონო, ყველაფერი კეთდება მებაღეების სასარგებლოდ-მეთქი, – ვუპასუხე. შემდეგ მთხოვა, რომ ბაღებში და მის მიდამოებში დარგული არც ერთი ხე არავინ მოჭრასო.

როდესაც კრწანისი მთავრობის რეზიდენციის ადგილი გახდა, დაიწყეს ქუჩების გაფართოება-გაგანიერება, რამდენიმე ხის მოჭრა გახდა საჭირო. მე გზის გამყვანი ინჟინერი გავფრთხილე, ბერიამ დამავალა, ბაღის მიდამოებში არც ერთი ხე არ მოიჭრას-მეთქი. მეორე დილით მოვიდა ბერია მეუღლითურთ და რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით დაათვალიერეს ეს ადგილი, სადაც ხეები უნდა მოჭრილიყო. გზის გამყვანთ ბერიამ ჰკითხა, იქნებ ხეები გადავარჩინოთ და არ მოვჭრათო?! – ეს შესაძლებელია, – უთხრა ინჟინერმა, – მაგრამ ცოტა ძნელი იქნება და ამავე დროს გზა უფრო დაიკლაკნება და სილამაზესაც დაკარგავსო. მაშინ ბერიამ თქვა, ხეები მოჭერით, მაგრამ იქვე ახლოს დარგეთ კაკლის ხეო. დღეს ეს ხე ამშვენებს და ალამაზებს მიდამოს, რომელსაც კრწანისელი მებაღეები ბერიას ხეს ეძახიან. ბერია და მისი მეუღლე ნინო დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. ნინო იყო ლამაზი და ტკბილმოსაუბრე, მასში არ იგრძნობოდა მეუღლის ავტორიტეტით გამოწვეული მაღალი და აწეული ტონით საუბარი. კრწანისელი მებაღეები მას იცნობდნენ, როგორც კეთილსა და ყველას შემწეს“.

ბერიას მოსკოვში გადასვლის შემდეგ კრწანისელი მებაღეების მდგომარეობა უკან წასულა. ცეკას ახალი მდივნები და ნომენკლატურის თანამშრომლები უაღრესად ცუდად ეპყრობოდნენ მებაღეებს და ავიწროებდნენ მათ. გოგირდის აბანოებიდანაც კი წყალი თავიანთ ბინებში გადაიყვანეს, რითაც თბილისელებს მოუსპეს ბუნებრივი ცხელი წყლით სარგებლობის უფლება. საბოლოოდ კი ორთაჭალის ბაღები მაინც გაიჩეხა და მათ ადგილას მრავალსართულიანი სახლები აშენდა.

ორთაჭალის რომანტიკა დღეს უკვე ისტორიაა. XX საუკუნეში აშენდა ორთაჭალჰესი, შემდეგ მოეწყო სანაპიროები, მტკვრის ტოტი მოისპო და კუნძულმაც არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა.

ალექსანდრე ბოშიშვილი,

ისტორიის დოქტორი, თსუ-ის პროფესორი

ლავრენტი ბერია

ნინო გეგეჭკორი

ᲜᲐᲪᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲝᲕᲜᲘᲐ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲡ, ᲐᲚᲤᲠᲔᲓ ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ. ᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲪᲜᲔᲡ ᲓᲐ 1946 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲡ ჩანაწერები 1936-1944 წლებს მოიცავს და მასში დაცულია აქამდე უცნობი ცნობები მესამე რაიხის პოლიტიკის შესახებ. ასევე ცნობები საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმასა და ჰიტლერის რეჟიმის შიგნით არსებულ პოლიტიკურ უთანხმოებებზე. „ეს დღიური ისტორიკოსებისთვის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ერთი მხრივ ავსებს და მეორე მხრივ ეწინააღმდეგება ცნობებს, რომელიც უკვე შესწავლილ დოკუმენტებშია დაცული“, — წერენ სამეცნიერო დასკვნაში ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმის თანამშრომლები.

ალფრედ როზენბერგის ეს დღიური ნიურნბერგის პროცესზე მტკიცებულებად გამოიყენებოდა, შემდეგ კი დაიკარგა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, პროცესზე ბრალდების მხარის წარმომადგენელმა, ამერიკელმა რობერტ კემპნერმა ის ქვეყნიდან გაიტანა. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში, 1993 წელს კემპნერის მემკვიდრეები დათანხმდნენ, დღიური ჰოლოკოსტის მუზეუმისთვის გადაეცათ, თუმცა გარდაცვლილის დოკუმენტებსა და საბუთებში მას ვერ მიაკვლიეს.

ალფრედ როზენბერგი 1939 წლიდან გერმანიის მშრომელთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1941 წელს, ოკუპირებული აღმოსავლეთ ტერიტორიების რაიხსმინისტრად დაინიშნა. ის ასევე ნაციზმის ერთ-ერთ იდეოლოგად და ებრაელთა გენოციდის თეორიის ავტორად მიიჩნევა. ხელმძღვანელობდა საგანგებო სამსახურს, რომლის დანიშნულებასაც დაპყრობილ ტერიტორიებზე კულტურული საგანძურის მიტაცება წარმოადგენდა.

როზენბერგის ჩანაწერები მუზეუმს გადაეცემა. აშშ-ის ფედერალური უწყების წარმომადგენლები დღიურის ძებნის, აღმოჩენისა და შინაარსის შესახებ ოფიციალურ ცნობებს საზოგადოებას მალე უფრო ვრცლად მიაწვდიან.

მომზადებულია Reuters-ის და Itar-Tass-ის მიხედვით



ახლად აღმოჩენილი ალფრედ როზენბერგის ეს დღიური ნიურნბერგის პროცესზე მტკიცებულებად გამოიყენებოდა, შემდეგ კი მისი კვალი დიდი ხნით დაიკარგა

ბაგრატი, ძე ბივრატისა — ბაბილონთა ნახმამავლობა

„...ჰაიკმა შვა ძე თვისი ბაბილონს, სახელად არამანეაკ, არამანეაკმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი — არამაის. არამაისმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი — ამასია... ამ ხალხმა შექმნა მოდგმა ბაბილონს, მათვე განვლეს არარატის მიწის ჩრდილო მხარეები. ჰაიკმა ხომ დატოვა ბაბილონი ცოლ-შვილთან და მთელ სახლეულობასთან ერთად...

და მბრძანებლობდა მათზე ზარეჰ, არამანეაკის შვილიშვილი, კაცი ძლიერი და კარგი მოისარი; შემდგომ — არმონგ; შემდგომ — სარჰანგ; შემდგომ — შავაშ; შემდგომ — ფარნავაზ.

ამ უკანასკნელმა შვა ბაგამ და ბაგარატ, ბაგარატმა — ბიურატ, ბიურატმა ასპატ, ბაგარატის შვილებს მემკვიდრეობით ერგოთ დასავლეთის მიწები...

ამავე დროს არშაკმა (პართიის მეფემ. — თ. დ.) ძე თვისი, არშაკ მცირედ წოდებული, გაამეფა ქალაქ მწურნსა და სომხეთს, დაუდგინა რა საზღვრად არუასტანი ტაჯიკთა მიწა-წყლის მახლობლად, სირია და კაბადოკია კილიკიასთან დასავლეთის დიდ ზღვამდე, კავკასიონის დიდი მთა ჩრდილოეთით...

მან (არშაკმა. — თ. დ.) შვილი მწურნიდან დასავლეთისკენ გაგზავნა დიდი ლაშქრით... ასევე დიდი ლაშქრით მას (ე. ი. უფლისწულს. — თ. დ.) შეეგება ბაგარატ ფარაზეანი, არამანეაკის ჩამომავალი და დიდი დიდებული. მან მიართვა მას (ე. ი. უფლისწულს. — თ. დ.) ოქროსა და ვერცხლის საჩუქრები. მორთო კვართით და კაბით, თავს დაადგა საგვარეულო გვირგვინი. დასვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ოქროს ტახტზე, ცოლად შერთო ასული თვისი.

მეფე არშაკმა ბაგარატს ასპეტობა უბოძა სომხეთში, რაც ნიშნავს მთავრობას და ჯარის უმაღლეს სარდლობას; უწოდა მამა და ძმა და გადასცა აღნიშნული რწმუნებები“.

აქ წარმოდგენილია უჩვეულოდ აღრეული პასაჟი სომხური „ადრეული ისტორიიდან“. მაგრამ სხვა ისტორიული წყაროების შეჯერებით, ეს ამბები ასე დალაგდება: ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთის მამასახლისის ძმისშვილმა ფარნავაზმა სამხრეთ-ქართული პოლიტიკური ერთეულის, არიან-ქართლის (იმავე ირანის ქართლის, ცენტრით კლარჯეთ-

ში) უფალი აზო დაამარცხა. ფარნავაზთან გამართულ ბრძოლაში აზო დაიღუპა.

ამის შემდეგ ფარნავაზმა ქართლი გააერთიანა, აზოს ჩამომავლები იშვილა, და მათ კლარჯეთის ერისთავობაც უბოძა. ბაგრატ (ბაგადატ) ფარნავაზიანი, ბივრატი (ბიურატ) და სუმბატი (სმბატ) ბაგრატიონთა სახლის პირველი მამასახლისები იყვნენ. მოგვიანებით, სუმბატი მცხეთის ტახტს აუჯანყდა, სუმბატს მხარი დიდი არმენიის მეფე არტაშეს I-მა (ძვ.წ. 189-160 წწ.) დაუჭირა, მისი დახმარებით შეიქმნა გუგარქის საპიტიახშო, რომელსაც სუმბატი ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ, სუმბატ ბივრიტიანის შთამომავლები (ბაგრატიონ/ბაგრატუნები) მემკვიდრეობით ფლობდნენ გუგარქს. გუგარქის საპიტიახშო ქართულ მიწებს (კლარჯეთი, ჯავახეთის ნაწილი, ქვემო ქართლი) მოიცავდა, ხოლო გუგარქის პიტიახში დიდი არმენიის მეფის ვასალი იყო.

წარმოდგენილ გენეალოგიას ავსებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს ნუმიზმატიკური მასალა, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი, ბაგადატის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები, რომელთაც შეცდომით ირანულ პროვინცია პერსიდას მიაწერდნენ.

პერსიდის სამონეტო პროდუქცია (ძვ.წ. 250 წლიდან სასანიდების აღზევებამდე) ვერცხლის ტეტრადრაქმებს, დრაქმებსა და მცირე ნომინალებს მოიცავს. მასზე მოთავსებული არამეული ლეგენდები თანდათან ფალაურით შეიცვალა. ჯერ კიდევ მაღალმხატვრული დონის მონეტებზე არსებული დამახინჯებული წარწერები კი იმის მაჩვენებელია, რომ ფული ბერძენ ხელოსნებს მოუჭრიათ, რომელთაც ენა არ სცოდნიათ.

ბაგადატის ტეტრადრაქმა (№1)

ვერცხლი.

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება (მარჯვნივ), წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ტახტზე მჯდომი ბაგადატი (მარცხნივ). სატრაპის თავსაბურავით, აგრეთვე გრძელი მოსასხამით ცრუ-სახელოებითა და სამკლავეებით. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრა უჭირავს, მარცხენაში — ყვავილი(?). მის წინ შტანდარტია დეკორით ※ და ფოჩებით — dirēfš-i Kavian. ლეგენდები — მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ, და მარცხნივ, ქვემოდან ზემოთ. წერტილოვანი რკალი.

წონა: 16,58 გრ.

დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (The British Museum — №1854,0405.19)

ერთი და იმავე თავის გამოსახულებიან მონეტებზე შემდეგი წარწერებია:

№1. BaGaDat FRaTaRaKA ZI ALaHIA
№2. BIURaT FRaTaRa ZI...
№3. BIURAT BaGaDat...
№4. BaGaDat FRaTaRaKA ZI ALaHIA

Fratakara — ცეცხლის დამნთები (?), Frataraka — მამასახლისი; Zi ALaHIA — ღვთაებრივი).

მიიჩნევენ, რომ ყველა ამ მონეტაზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული. წარწერებიდან ჩანს, რომ ეს ბაგადატია, ბიურატი კი მამამისია.

ფაქტურის ანალიზითა და სხვა სტილისტიკური მონაცემებით, ბაგადატის სახელით მოჭრილი ფულის ემისია სირიის სელევკიდი მეფის, ანტიოქოს III-ის (ძვ.წ. 223-187 წწ.) ზეობაზე მცირე ხნით ადრე უნდა განხორციელებულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით წყაროებში პერსიდის სატრაპი ბაგადატი არსად იხსენიება, ამიტომ მისი ირანელობა უკვე ერთგვარ ეჭვს იწვევს. თუმცა მონეტაზე (№2) გამოსახული ცეცხლის ტაძრის ტიპოლოგია წმინდა სპარსულია. ანტიკური პერიოდის ავტორი პოლიენი (II ს.) პერსიდის სატრაპ Ὀβορζος (ობორძოს) ასახელებს, რომელიც ვაჰუბერძი უნდა იყოს, მის მონეტაზე კი სწორედ ცეცხლის ტაძარია გამოსახული. ეს გამოსახულება პერსიდის მომდევნო მმართველებმაც შეინარჩუნეს.

ასეთ პირობებში, ამ ემისიების განცალკევება ძალიან რთული იქნებოდა. თუმცა მონეტებზე გამოსახული არც ერთი სპარსელი ტახ-

ბაგადატის ტეტრადრაქმა №2

ვერცხლი.

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერ-ულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ცეცხლის ტაძარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებითა და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულებაა სატრაპის თავსაბურავსა და გრძელ სამოსელში. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. ლეგენდები — მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, ქვემოთ და მარცხნივ (თუკი, საერთოდ არსებობდა), სამონეტო არეს მიღმა. წერტილოვანი რკალი

წონა: 16. 89 გრ.

დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (The British Museum — №1872,1202.2)

ტზე არ ზის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი №1 მონეტა კონკრეტულ სამონეტო ჯგუფში არ ჯდება, და ის უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებულია პერსიდის სხვა ფულისგან.

ზემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროებისა და ნუმიზმატიკური მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. III საუკუნის II ნახევარში კლარჯეთის ერისთავმა ბაგრატ ფარნავაზიანმა მოჭრა მონეტები ამაყი ლეგენდით — „ბაგადატი, ძე ბივრატისა, ღვთაებრივი მამასახლისი“ (BaGaDaT FRaTaRaKa BIURat ZI ALaHIA)“. №1 ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, ხოლო ცეცხლის ტაძარი ნასესხებია სპარსელი ვაჰუბერძის ვერცხლის ფულიდან.

სასაფეთქლეები, ოქრო. სიგრძე 9 სმ. შიდა ქართლი, ახალგორის განძი. ძვ.წ. IV ს. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

ქამრის ბალთა, ბრინჯაო. ძვ.წ. IV ს. (მეტროპოლიტენ მუზეუმი, აშშ)

იმ დროს არც სპარსელი სატრაპის სამოსელი და არც ცეცხლის ტაძარი იბერებისთვის უცხო არ იყო, იბერები თაყვანს სცემდნენ არმაზ-აჰურა მაზდას, და სტრაბონის (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.) მიხედვით, ირანულ ყაიდაზეც იცვამდნენ.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია, ალბათ, ასე გამოიყურება:

აზო

↓

ბივრატი (ბიურატი)

↓

ბაგრატი (ბაგადატი)

↓

ბივრატი

↓

სუმბატ (სმბატ) ბივრიტიანი, გუგარქის პიტიახში

↓

ბაგრატიონები/ბაგრატუნები

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეორე მეფეს, საურმაგს საკუთარი ერისთავები აუჯანყდნენ. ბაგრატიც მათ შორის ხომ არ იყო?! ხომ არ აქცია მან საერისთავო „სამთავროდ“, ხომ არ არის მამასახლისი გვიანდელი მთავრის შესატყვისი?! ზუსტი სურათის რეკონსტრუქციისთვის ალბათ დამატებითი მასალაა საჭირო. ერთი რამ ცხადია: თვით ბაგრატის მონეტები, ამ ფულის ტიპოლოგიური ნატურალიზმი უახლეს ელინურ პოლისზე მიუთითებს, როგორც ზარაფხანაზე. ემისიები, სავარაუდოდ, ან ფაზისს, ან ტრაპეზუნტს შეუკვეთეს.

თეიმურ დუნდუა,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნიკოლოზ II ოჯახთან ერთად, 1914 წ.

იმპერატორის ოჯახის აღსასრული

დანაშაული, რომელიც უხერხულობას ბოლშევიკებსაც კი უქმნიდა

1918 წლის 17 ივლისს, ქალაქ ეკატერინბურგში, გასამართლებისა და გამოძიების გარეშე მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ურალის საოლქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მხეცურად დახოცეს ე.წ. „საგანგებო დანიშნულების სახლის“ მობინადრეები. სულ დახვრიტეს 11 ადამიანი: რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე ალექსანდრა თეოდორეს ასული, მათი ქალიშვილები: ოლგა, მარია, ტატიანა და ანასტასია, უფლისწული — 14 წლის ალექსი, ექიმი ე. ს. ბოტკინი, აგრეთვე საკუთარი სურვილით მათთან დარჩენილი ერთგული მსახურები, რომლებმაც მძიმე დღეებში არ მიატოვეს რომანოვების ოჯახი: მსახური ა. ე. ტრუპი, ფრეილინა ა. ს. დემიდოვა და მზარეული ი. მ. ხარიტონოვი. ეს მკვლელობა იყო ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ბოლშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი დანაშაული.

მეფის ოჯახის დახვრეტის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, ამიტომ მრავალი ალტერნატიული ვერსია წარმოიშვა. რუსეთსა და საზღვარგარეთ, ამ ტრაგიკული პერიოდიდან მოყოლებული, არაერთხელ გამოჩენილან თვითმარქვია ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებდნენ სასწაულებრივად გადარჩენილ მეფის ქალიშვილს ან უფლისწულს. 1993 წლის ოქტომბერში ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის ამოხოცვის საქმეზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა სპეციალური კომისია. ამ კომისიამ მოიძია და შეისწავლა მკვლელობასთან დაკავშირებული მასალები, გაკეთ-

იმპერატორისა და მისი ოჯახის დაპატიმრება. ნიკოლოზის II-ის ქალიშვილები და ვაჟი ალექსეი ცარსკოე სელოში. 1917 წლის მაისი

და შესაბამისი კვლევითი დასკვნები მკვლელობის გარემოებათა შესახებ, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამ შემზარავი, სისხლიანი ანგარიშსწორების საზოგადოებისთვის მანამდე სრულიად უცნობ დეტალებს.

სამეფო ტახტიდან გადადგომის შემდეგ, 1917 წლის 7 მარტს, დროებითმა მთავრობამ მიიღო დადგენილება ნიკოლოზ II-ისა და მისი მეუღლის დაპატიმრების შესახებ. 8 მარტს კი პეტროგრადის საბჭოს აღმასკომმა დაადგინა მეფის მთელი ოჯახის დაპატიმრება. უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრების შესახებ ამ დადგენილებებს არ გააჩნდათ არავითარი იურიდიული საფუძველი, რადგანაც მათ წინ არ უსწრებდა არანაირი გამოძიება. 9 მარტს ნიკოლოზ II, ოჯახის წევრებთან ერთად, პატიმრობაში აიყვანეს. დაპატიმრებულნი იმყოფებოდნენ ცარსკოე სელოში, ალექსანდრეს სასახლეში მკაცრი დაცვის ქვეშ. ისინი ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ და თავიანთი ახალი მდგომარეობა მიიღეს, როგორც ღმერთის მიერ მოვლენილი განსაცდელი. ნიკოლოზ II-ის, აწ უკვე პოლკოვნიკ რომანოვის, მთავარი თხოვნა იყო, არ გაეძევებინათ რუსეთიდან. „მომეცით უფლება, ჩემს ოჯახთან ერთად ვიცხოვრო, როგორც უბრალო გლეხმა, რომელიც საკუთარი შრომით მოიპოვებს თავის საარსებო პურს. გაგვგზავნეთ თუნდაც ყველაზე მივარდნილ კუთხეში, ოღონდ დამტოვეთ რუსეთში“, — მიმართავდა იგი მთავრობას.

დაპატიმრებიდან მალევე დროებითმა მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია ნიკოლოზ II-ისა და მისი მეუღლისადმი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით საქმის აღძვრისთვის მასალების მოსაძიებლად. კომისია ამაოდ ცდილობდა მაკომპრომეტირებელი დოკუმენტებისა და ჩვენებების მოპოვებას. ვერანაირი კონკრეტული ფაქტი სახელმწიფო ღალატში მათი მონაწილეობის დასამტკიცებლად ვერ იპოვეს. ნაცვლად იმისა, რომ გამოეცხადებინათ მათი უდანაშაულობა და გაეთავისუფლებინათ, 6 აგვისტოს, სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვის საბაბით, ისინი ქალაქ ტობოლსკში გადაიყვანეს. რომანოვების ოჯახის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა 1917 წლის 25 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ისინი გადაიყვანეს ჯარისკაცის ულუფაზე, გაძლიერდა დაცვა და მკაცრად აეკრძალათ თავისუფალი გადაადგილება. 1918 წლის იანვრის ბოლოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ნიკოლოზ მეორის — ამ „გვირგვინოსანი ჯალათის“ დედაქალაქში გადაყვანისა და გასამართლების შესახებ. ეს იდეა ეკუთვნოდა ვლადიმირ ილიჩ ლენინს. მისივე წინადადებით, სასამართლო პროცესზე ბრალ-

მდებელი უნდა ყოფილიყო ლევ ტროცკი. მაგრამ მეფე არც პეტროგრადში გადაუყვანიათ და არც საქმე აღძრულა მის მიმართ, რადგან მალე დაასკვნეს, რომ არავითარი რეალური საფუძველი მეფისა და მისი ოჯახის დასადანაშაულებლად არ არსებობდა. ფაქტი იყო, რომ მათ არც დროებითი და არც ბოლშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებიათ. შეუძლებელი იყო ნიკოლოზ II-ის დადანაშაულება მხოლოდ იმის გამო, რომ დაიბადა ტახტის მემკვიდრედ ან ალექსანდრა თეოდორეს ასულის დადანაშაულება იმის გამო, რომ რუსეთის დედოფალი იყო. ამასთანავე, ეს სასამართლო პროცესი უნდა ყოფილიყო ღია და მასზე დასწრება უნდა შესძლებოდათ საზოგადოების წარმომადგენლებს.

ქვეყნის „ახალმოვლენილი მმართველები“ მალე მიხვდნენ ასეთი გასამართლების უაზრობას და გადაიფიქრეს. სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1918 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით, რომანოვების ოჯახი, მათ თანმხლებ პირებთან ერთად, გადაიყვანეს ქალაქ ეკატერინბურგში. მათ გამოუყვეს ხუთი ოთახი სახლში, რომელიც ადრე ეკუთვნოდა სამთო ინჟინერ იპატიევს. აქ ისინი იმყოფებოდნენ ნახევრად ციხის რეჟიმში 78 დღე-ღამის განმავლობაში, 1918 წლის 28 აპრილიდან დახვრეტამდე, ე.ი. 17 ივლისამდე. იმდროინდელ დოკუმენტებში სახლი მოიხსენიება, როგორც „საგანგებო დანიშნულების სახლი“. აქ, ოჯახის წევრებთან ერთად, აღსასრულამდე დაახლოებით ორი თვით ადრე, ნიკოლოზ II-მ დაბადების 50 წლისთავი აღნიშნა.

მეფისა და მისი ოჯახის შემდგომ ბედზე ურალის საბჭოსთან მოლაპარაკება დაეკისრა იაკობ სვერდლოვს. ამ მიზნით, 1918 წლის ივლისის დასაწყისში მოსკოვში გამოიძახეს ურალის ოლქის სამხედრო კომისარი და საბჭოების აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ისაი გოლოშჩეკინი (პარტიული სახელი ფილიპი). ვარაუდობენ, რომ ამ შეხვედრისას გადაწყდა შექმნილიყო ლეგენდა, თითქოს დახვრეტის გადაწყვეტილების მიღება და მისი აღსრულება მოხდა ეკატერინბურგის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამოუკიდებლად, ცენტრიდან მითითების გარეშე, თეთრების შემოტევის გამო. შეხვედრიდან მალე, 12 ივლისს ურალის საოლქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება მიიღო მეფისა და მისი ოჯახის წევრთა დახვრეტისა და მათი გვამების განადგურების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მათ 16 ივლისს პირდაპირი ხაზით აცნობეს ქალაქ პეტროგრადში გ. ე. ზინოვიევს. საუბრის დამთავრების შემდეგ ზინოვიევმა მოსკოვში გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ი. სვერდლოვს, ასლი ვ. ი. ლენინს. ეკატერინბურგიდან პირდაპირი ხაზით გადმოგვცეს შემდეგი: შეატყობინეთ მოსკოვს, რომ საომარი ვითარების გამო ფილიპთან (ე.ი. გოლოშჩეკინთან. — გ. თ.) დათქმული გასამართლება შეუძლებელია გადაიდოს. ლოდინი არ შეგვიძლია, თუ თქვენი აზრი საწინააღმდეგოა, შეგვატყობინეთ. გოლოშჩეკინი, საფაროვი“. დეპეშა მიღებულია 16 ივლისს 21:22 საათზე. ვარაუდობენ, რომ დეპეშაში ნახსენები „ფილიპთან დათქმული გასამართლება“ გაშიფრული სახით აღნიშნავდა ნიკოლოზ II-ისა და, შესაძლებელია, რომანოვების მთელი ოჯახის დახვრეტას. ამ კოდური აღნიშვნის შესახებ შეთანხმდნენ გოლოშჩეკინის დედაქალაქში ყოფნის დროს. საპასუხო დეპეშა ან ტელეფონოგრამა არ არსებობს. თუმცა იაკოვ იუროვსკი თავის მოგონებაში აღნიშნავს ასეთი დეპეშის არსებობას.

იმპერატორისა და მისი ოჯახის დაპატიმრება. ნიკოლოზ II და მისი ქალიშვილი ტატიანა ალექსანდრეს პარკში. ცარსკოე სელო, 1917 წლის მაისი

ინჟინერ იპატიევის სახლი ეკატერინბურგში, სადაც სამეფო ოჯახი იყო გამომწყვდეული

ურალის საბჭოების პრეზიდიუმის მიერ დახვრეტის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „საგანგებო დანიშნულების სახლის“ კომენდანტ იაკოვ იუროვსკის დახვრეტის ორგანიზება დაევალა, ხოლო პ. ერმაკოვს — გვამების განადგურება ან საიმედო ადგილას დამარხვა. ამასთანავე, მოწვეულ ურალის ჩეკას თანამშრომლებთან ერთად დაზუსტდა დახვრეტის გეგმა და დეტალები. შეიქმნა დამხვრეტთა რაზმი 12 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ სახლის კომენდანტი ი. იუროვსკი, მისი მოადგილე გ. ნიკულინი, ჩეკისტი გ. მედვედევი (კუდრინი), პ. ერმოლოვი და სხვ. მათ დახვრეტის წინ გადაეცათ ნაგანის ტიპის რევოლვერები. თითოეულ მათგანს მხოლოდ მისთვის მიკუთვნებული დასახვრეტისთვის უნდა ესროლა და გულის მიდამოში დაემიზნებინა. დასახვრეტად შეირჩა ნახევრად სარდაფის ტიპის ოთახი შენობის პირველ სართულზე, რადგანაც ამ ოთახის ერთ-ერთი, კირხსნარით შელესილი კედელი ხისა იყო, რაც ტყვიის ასხლეტას გამორიცხავდა. სატვირთო მანქანა გვამების გასატანად უნდა მოსულიყო ღამის 12 საათზე, მაგრამ მოვიდა მხოლოდ 1:30-ზე, რამაც გადაწყვეტილების აღსრულება დააყოვნა. რომანოვების ოჯახის წევრთა დახვრეტისა და გვამების დამარხვის შესახებ ძირითადი წყაროა ამ აქციის უშუალო მონაწილეთა მოგონებები, რომლებიც ჩაიწერა სხვადასხვა დროს.

ესენია: 1. „საგანგებო დანიშნულების სახლის“ კომენდანტ ი. იუროვსკის სამი მოგონება, ჩაწერილი 1920, 1922 და 1933 წლებში; 2. იუროვსკის მოადგილის, გ. პ. ნიკულინის მოგონება, ჩაწერილი რადიოკომიტეტში 1964 წელს; 3. გ. ა. მედვედევის (კუდრინის) მოგონება, რომელიც ჩაიწერა 1964 წელს, სიკვდილის წინ ნ. ს. ხრუშჩოვისთვის გადასაცემად. იგი გადაეცა ა. ილიჩევს; 4. პ. ს. ერმაკოვის მოგონებები. 5. დაცვის წევრ ა. ა. სუხორუკოვის მოგონებები.

ამ მოგონებებს საბჭოთა პერიოდში გრიფი „საიდუმლოდ“ ედო. მათში მოყვანილი ფაქტები, გარდა ცალკეულ დეტალებში უმნიშვნელო განსხვავებისა, ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ამ საზარელი მკვლელობის ზუსტი სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევიან.

როცა მანქანა მოვიდა, ყველას ეძინა. გაღვიძეს ექიმი ბოტკინი, რომელიც შესასვლელთან ახლოს, პირველივე ოთახში იყო. მას

გამოუცხადეს, რომ ქალაქში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო აუცილებელი იყო მათი სხვა ადგილას გადაყვანა. ბოტკინმა დანარჩენები გააღვიძა. კომენდანტმა ისინი ჩაიყვანა დასახვრეტად შერჩეულ ოთახში, სადაც თითქოს მანქანის მოსვლას უნდა დალოდებოდნენ. ნიკოლოზ II-ს ალექსი ხელში აყვანილი მოჰყავდა, რადგანაც წინა დღით ფეხი იტკინა და სიარული უჭირდა. ცარიელ ოთახში შესვლისას ალექსანდრამ უკმაყოფილოდ იკითხა: „რა, სკამიც კი არ არის? დაჯდომაც კი არ შეიძლება?“ კომენდანტის ბრძანებით ორი სკამი შემოიტანეს. ერთზე ალექსანდრა დაჯდა, მეორეზე კი ნიკოლოზმა ალექსი დასვა და გვერდით დადგა. დანარჩენებს კომენდანტმა უბრძანა, კედელთან რიგზე დამდგარიყვნენ. რომანოვები იყვნენ აბსოლუტურად მშვიდად და არც ერთ მათგანს არ უეჭვია მოსალოდნელი უბედურება. წინასწარ ჩართეს მანქანის ძრავა, რათა მის ხმაურს სროლის ხმა დაეხშო.

იაკოვ სვერდლოვი

კომენდანტმა დამხვრეტთა რაზმი გამოიძახა, რომელიც გვერდით ოთახში იმყოფებოდა და მიმართა რომანოვებს: რადგანაც თქვენი ნათესავები და ახლობლები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, თქვენს გათავისუფლებას ცდილობენ, ურალის დეპუტატთა საბჭომ თქვენი დახვრეტა გადაწყვიტა. „რა? რა?“ — იკითხა გაკვირვებულმა ნიკოლოზმა. კომენდანტმა ნათქვამი მოკლედ გაიმეორა და რაზმს გადაწყვეტილების შესრულება უბრძანა. ქალებმა მოულოდნელობისგან მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული სიტყვების წამოძახება მოასწრეს. სროლა ორ-სამ წუთს გაგრძელდა. როცა მიწყდა ქალების წივილის, კვნესისა და ყვირილის ხმა, იუროვსკიმ სროლის შეწყვეტა ბრძანა. ოთახში კვამლისა და მტვრის გაფანტვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბოტკინი, ფრეილინა, ალექსი და მისი სამი და ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ისევ ატყდა სროლა. ქალიშვილების მკერდიდან ტყვია სხლტებოდა, როგორც შემდეგში გამოირკვა, ბრილიანტებით შემკული გულსაკიდების გამო. კუთხიდან ყვირილით წამოხტა ფრეილინა. დამხვრეტთა რაზმის ორმა ლატვიელმა წევრმა, რადგანაც ყველა პატრონა დახარჯული ჰქონდათ, იგი შაშხანის ხიშტებით მოკლეს. მოგვყავს ფრაგმენტი ერთ-ერთი ჯა-

იაკოვ იუროვსკი

ისაი (ფილიპ) გოლოშჩეკინი

ოთახი იპატიევის სახლის ქვედა ნაწილში. კედელს ეტყობა ხიშტების დარტყმების კვალი

ლათის, გ. მედვედევის მოგონებიდან: „ფრეილინას ყვირილზე გონს მოვიდა ალექსი, რომელიც გაქვავებული იჯდა სკამზე. მას იუროვსკიმ ზედიზედ დაახალა ნაგანში დარჩენილი სამი ტყვია. გვამი ნელ-ნელა ჩამოცურდა სკამიდან და მამის ფეხებთან დაეცა. ჩემი კოლტიდან და ერმოლოვის ნაგანიდან ვახლით ტყვიებს ჯერ კიდევ ცოცხალ ტატიანას და ანასტასიას. უკვე ყველა უსულოა“.

დახვრეტილთა გვამებით დატვირთული მანქანა ეზოდან დაახლოებით ღამის 4 საათზე გავიდა. შიშველი გვამები დროებით ჩაყარეს განინა იამას რაიონში, ერთ-ერთ შახტში, ეკატერინბურგიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ურალის საბჭოს ხელმძღვანელობასთან მოთათბირების შემდეგ, გვამების დაწვა და შემდგომ გოგირდმჟავით დამუშავება გადაწყდა, რათა აღმოჩენის შემთხვევაში მათი ამოცნობა შეუძლებელი ყოფილიყო. ამ მიზნისთვის გამოიყო 10-12 ფუთი (160-180 ლიტრი) ნავთი და 170 ლიტრი გოგირდმჟავა. გვამები დამარხეს სოფელ კოპტიაკოვისკენ მიმავალ გზაზე. ი. იუროვსკი იგონებს: „დავწვით... შემდეგ ჩავწყვეთ ორმოში, სახეზე და მთელ ტანზე ვასხით გოგირდმჟავა, სანამ შეუძლებელი არ გახდებოდა ამოცნობა. დამარხვა სრულიად საიდუმლოდ მოხდა. თეთრებმა ადგილი ვერ იპოვეს“. 17 ივლისს ეკატერინბურგიდან მოსკოვში გაიგზავნა შემდეგი შინაარსის დაშიფრული დეპეშა ურალის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ა. ბელობოროდოვის ხელმოწერით: „სახკომსაბჭოს მდივანს გორბუნოვს. გადაეცით სვერდლოვს, რომ მთელ ოჯახს ეწია იგივე ბედი, რაც ოჯახის ხელმძღვანელს. ოფიციალურად ოჯახი განადგურდება ევაკუაციის დროს“. დეპეშის ასლი ინახებოდა ეკატერინბურგის სატელეგრაფო კანტორაში და ევაკუაციის დროს ბოლშევიკებმა მისი განადგურება ვერ მოასწრეს.

ნიკოლოზ II-ის დახვრეტის შესახებ სიტყვიერი განცხადება გაკეთდა ი. გოლოშჩეკინის მიერ ქალაქის თეატრში გამართულ მიტინგზე. 22 ივლისს ქალაქში გამოიკრა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ყოფილი იმპერატორი სიკვდილით დაისაჯა ურალის საოლქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად. ამ განცხადებაში მეფის ოჯახზე ნათქვამი არაფერი იყო. 19 ივლისს სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე ი. სვერდლოვმა მოიწონა ურალის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ყოფილი იმპერატორის დახვრეტის შესახებ. ამასთანავე აღნიშნა, რომ „მეფის მეუღლე და შვილები გადაყვანილია საიმედო ადგილას“. საბჭოთა გაზეთებში დაიბეჭდა ასევე სიცრუე, რომ ურალის საბჭოს გადაწყვეტილებით დახ-

ვრიტეს მხოლოდ ნიკოლოზ II. ბოლშევიკებმა, რომელთაც ტერორი ჩვეულებრივ მეთოდად მიაჩნდათ და არაფერს ერიდებოდნენ, ვერ გაბედეს, ბოლომდე ეთქვათ სიმართლე მეფის ოჯახის შესახებ.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნიკოლოზ II-ის დახვრეტის სანქციის არსებობა დადგენილ ფაქტად მიიჩნევა, ხოლო მეფის ოჯახის წევრთა დახვრეტაზე ასეთი სანქციის არსებობა დღემდე საკამათოა. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მეფის ოჯახთან ანგარიშსწორება მოხდა ასევე „კრემლის ბელადთა" თანხმობით ან შესაძლებელია, პირდაპირი მითითებითაც. ამგვარ დასკვნას გააჩნია რეალური საფუძველი. საყოველთაოდაა ცნობილი ქვეყანაში მასობრივი ტერორის მთავარი ორგანიზატორის, ლენინის დამოკიდებულება სამეფო დინასტიისადმი. რუსეთის პირველი რევოლუციიდან მოყოლებული, ლენინის გამოსვლებსა თუ სტატიებში ხშირია პირდაპირი მოწოდებები სამეფო დინასტიის წევრთა ფიზიკურ განადგურებისკენ. ეკატერინბურგის ტრაგედიის შემდეგ იგი იწონებდა ამ აქციას. სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისთვის" ლენინი ადანაშაულებს დროებით მთავრობას რომანოვებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში და სიამაყით ხაზს უსვამს ბოლშევიკთა დამსახურებას მეფის ოჯახის განადგურებაში. იგი წერს: „ეს მშიშრები, მოლაყბეები... მონარქიაც კი ვერ გაანადგურეს. ჩვენ გადავაგდეთ მთელი მონარქიული უწმინდურობა ისე, როგორც არავინ, ისე როგორც არასდროს". ნ. კ. კრუპსკაია ლენინზე თავის მოგონებაში წერს, რომ ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის დახვრეტაზე ლენინთან ერთად პასუხისმგებელია ისიც და ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი გახდა თეთრების მოახლოების გამო. ლ. ტროცკი თავის დღიურში უარყოფს იმ აზრს, რომ ურალის საბჭოს აღმასკომმა დამოუკიდებლად მიიღო მეფისა და მისი ოჯახის დახვრეტის გადაწყვეტილება. მას მოჰყავს ი. სვერდლოვის სიტყვები: „ჩვენ აქ გადავწყვიტეთ. ილიჩი მიიჩნევდა, რომ შეუძლებელია ისინი დარჩნენ ცოცხალ დროშებად, განსაკუთრებულ ახლანდელ მძიმე პირობებში".

1918 წლის 25 ივლისს ეკატერინბურგში თეთრგვარდიელთა რაზმები შევიდნენ. ქალაქში ახალი ხელისუფლება დამყარდა. კოლჩაკის უშუალო მითითებით დაიწყო მეფის ოჯახის დაღუპვის გარემოებათა გამოძიება. დააკავეს დახვრეტის უშუალო მონაწილე, სახლის დაცვის წევრი პ. ს. მედვედევი. გამომძიებელ ნ. ა. სოკოლოვს ხელთ ჰქონდა ყველა მასალა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებდნენ მეფის ოჯახის დახვრეტაზე. გამოძიება შეწყდა 1919 წლის 17 ივლისს, წითელი არმიის ნაწილების მოახლოების გამო.

1991 წლის 11 ივლისს ეკატერინბურგ-სტარაია კოპტიაკოვსკაიას გზაზე აღმოაჩინეს დახვრეტილთა ჯგუფური დასაფლავების ადგილი. აქ აღმოჩნდა ცხრა ადამიანის ჩონჩხად

რომანოვების ნეშტებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა



„ტაძარი სისხლზე“. 2007 წ.

ქცეული ნეშტი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით მიყენებულ დაზიანებათა კვლებით. ყოფილი იმპერატორის ნეშტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი გახდა ძვლების ნიმუშებიდან გამოყოფილი დნმ-ის შედარება ნიკოლოზ II-ის დისშვილის, კანადაში მცხოვრები ტიხონ ნიკოლოზის ძე კულიკოვსკ-რომანოვის სისხლის დნმ-თან. გენეტიკური ანალიზით დამტკიცდა, რომ ნაპოვნი ნეშტები ეკუთვნით რომანოვების ოჯახის წევრებს და მათ თანმხლებ პირებს. 1998 წლის 17 ივლისს ისინი დაკრძალეს სანქტ-პეტერბურგში, წმინდა პეტრეს ტაძარში. ამავე გზაზე, 2007 წლის 29 ივლისს, იპოვეს ორი ადამიანის ჩონჩხი, სულ ძვლების 49 ფრაგმენტი, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული კვალი ეტყობოდათ. აშშ-ის ფედერალური საექსპერტო ბიუროს დასკვნით, ისინი ეკუთვნის უფლისწულ ალექსისა და მეფის ქალიშვილს მარია რომანოვას. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა დასკვნით, ორივეგან ნაპოვნი ძვლების ზოგიერთ ფრაგმენტს აშკარად ეტყობოდა დაჩეხვის ნიშნები.

კომუნისტურ მთავრობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდ უხერხულობას უქმნიდა მათი გაუგონარი სისასტიკის უკანასკნელი პირუთვნელი მოწმე — იპატიევის სახლი. იგი 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე იდგა ქალაქის ცენტრში. ამ სახლისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქალაქში ჩამოსული საბჭოთა და უცხოელი ტურისტები. ამასთანავე, ახლოვდებოდა 1978 წელი — ნიკოლოზ II-ის დახვრეტიდან 60 და დაბადებიდან 110 წლისთავი, რის გამოც ეს სახლი შეიძლებოდა გამხდარიყო საზღვარგარეთული პრესისა და რადიოსადგურების წარმომადგენელთა გამოკვეთილი ყურადღების ობიექტი. ამიტომ, 1976 წლის 26 ივლისს, სკკპ ცკ-ის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება იპატიევის სახლის აღების შესახებ. 2003 წელს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით მის ადგილზე აშენდა ტაძარი, ე.წ. „ტაძარი სისხლზე“.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 2008 წლის 1-ელ ოქტომბერს ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ცნო და მათი რეაბილიტაცია მოახდინა. ისინი ბოლშევიკების მიერ დაწყებული წითელი ტერორის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდნენ. ეს სასტიკი ანგარიშსწორება მოხდა არა მათი რამე კონკრეტული დანაშაულის, არამედ ლ. ტროცკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი „სიკვდილის აუცილებლობის“ გამო. ამ ტრაგიკულ ამბავთან დაკავშირებით ისტორიკოსი რიჩარდ პაიპსი წერდა: „სიკვდილით დასჯა ეკატერინბურგში მთელი კაცობრიობისთვის ნიშნავდა ახალ მორალურ ეპოქაში შესვლას, როცა მთავრობა თავის თავს აძლევს ადამიანთა დახოცვის უფლებას არა კონკრეტული კანონის საფუძველზე, არამედ გამომდინარეობს მთავრობისვე ტერმინიდან „მიზანშეწონილება“, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ადამიანური ცივილიზაციის მიერ შექმნილ ჰუმანურ ღირებულებათა მთელი სისტემის უარყოფას“.

გოგი თოდუა

უსმინეთ „ისტორიანს“ რადიო პალიტრის ეთერში

საქართველოსა
და მსოფლიოს
ისტორიის ნაცნობი
და უცნობი ფაქტები,
პიროვნებები,
მოვლენები–ახალი
კუთხით!

თოქშოუს
ავტორი და წამყვანი
ჯაბა სამუშია

ჩვენთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს!

ყოველ სამშაბათს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე

როკმუსიკის გრიგალი

ბიტლომანია

როკის ისტორიას, ტრადიციულად, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყებენ. პირველი როკ-ენ-როლ ბენდი 1952 წელს გამოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს იყო „ბილ ჰეილი ანდ ზე კომეტსი“ (Bill Haley and the Comets). მაგრამ როკის სამშობლოდ მაინც დიდი ბრიტანეთი მიიჩნევა. საინტერესოა, რამ განაპირობა ბრიტანეთის პირველობა, თანაც მაშინ, როცა საკმაო არგუმენტი არსებობს იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ როკის სამშობლოდ ამერიკა მივიჩნიოთ.

როკმუსიკის გენეზისის დასადგენად აფრიკაში უნდა გადავინაცვლოთ და ორიოდე სიტყვა იქაურ კულტურაზეც ვთქვათ. აფრიკის ადგილობრივი მუსიკისთვის დამახასიათებელია დასარტყამი ინსტრუმენტები, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ რიტუალში გამოიყენება, მაგალითად, სულებთან დასაკავშირებლად და სხვ. დასარტყამი ინსტრუმენტი დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, მეტიც, იწვევს ჰალუცინოგენურ მოქმედებასაც. ადამიანი ოდითგანვე მიილტვოდა არამიწიერი განცდებისკენ, რაც კარგად გამოიხატა სხვადასხვა კულტურის ხელოვნებაში, ისტორიასა თუ მითოლოგიაში. აფრიკელები მონებით მოვაჭრეებს XVII საუკუნის დასაწყისიდან ამერიკის კონტინენტზე გადმოჰყავდათ. იძულებით გადასახლებულებმა არათუ არ დაივიწყეს საკუთარი კულტურული ტრადიციები, საკმაოდ კარგი გასაქანიც მისცეს მას ჯაზის სახით, XIX საუკუნის დასასრულისთვის. ამერიკულ საროსკიპოებში ჩასახულმა ჯაზმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა და მისგან ბლუზი, ახალი და შედარებით მარტივად მოსასმენი მუსიკა ჩამოყალიბდა, ბლუზმა ბიძგი მისცა უფრო ფართო ექსპერიმენტებს მუსიკაში, რასაც, თავის მხრივ, ახალი საუკუნის ტექნიკურმა მიღწევებმა შეუწყო ხელი. მუსიკაც უფრო დამძიმდა და არც ახალ ინსტრუმენტებსა და ექსპერიმენტებს ერიდებოდა. თავის დროზე ეშმაკის მუსიკად შერაცხულ ჯაზს, რა თქმა

უნდა, არც იმ დროისთვის ექსტრავაგანტული როკ-ენ-როლი ჩამორჩებოდა. პირველივე აკორდებიდან შეამჩნია საზოგადოებამ ამ მუსიკის დამატყვევებელი მუხტი, რომლისგან თავის დაღწევა XX და აგერ უკვე XXI საუკუნესაც გაუჭირდება.

როკმუსიკის საფუძვლები ჯერ კიდევ 1951-1952 წლებში გაჩნდა ამერიკაში, როცა ლიტლ რიჩარდმა ზანგურ რიტმ-ენდ-ბლუზში ცვლილებების შეტანა დაიწყო. მუსიკა უფრო დამძიმდა და „ახმაურდა". თავად ტერმინი როკ-ენ-როლი 1955 წელს ქალაქ კლივლენდის დისკოთეკის დისკ-ჟოკეიმ მოიგონა. ეს გამოთქმა სექსუალურ აქტსაც გამოხატავდა. ის ამერიკული შავი გეტოების ჟარგონიდანაა ნასესხები.

ლიტლ რიჩარდსის შემდეგ ექსპერიმენტი ბილ ჰეილიმაც გაბედა და აქამდე ცნობილი ბლუზჯგუფი ახალ ტალღაზე გადაიყვანა, მაგრამ ეს მაინც არ ყოფილა დასაწყისი. ამ ჯგუფებს შესაძლოა გაუმჯობესებული ბლუზი ვუწოდოთ, მაგრამ არა როკ-ენ-როლი, რამდენადაც იგი მზად არ იყო იმ იდეური დატვირთვისთვის, რასაც მომავალში ელვის პრესლიმ თუ „როლინგ სტოუნზმა" შეასხეს ხორცი.

ელვის პრესლი 1954-55 წლებში გამოვიდა ასპარეზზე. აი, ეს კი ნამდვილი რევოლუცია იყო. ცხადი გახდა, რომ მუსიკა მხოლოდ ინსტრუმენტებით არ შემოიფარგლებოდა და მისი იდეური მხარე სწორედ ელვისის გამოჩენის შემდეგ ხდება ნათელი. მისი სასცენო მანერა, სიმღერის სტილი და ტექსტები ახალ თავისუფლებას უქადაგებს მსმენელს. მთავარი მესიჯი ადამიანური ინსტინქტების სრული თავისუფლებაა, რაც სტრესისგან ათავისუფლებს დაჩაგრულ გონებას. ელვისი მეფედ აღიარეს და დაიწყო კიდეც მუსიკაში „სექსუალური რევოლუცია".

1960-იანი წლები როკმუსიკის ისტორიაში „ოქროს საუკუნედ" იწოდება. ეს ათწლეულიშესანიშნავად წარმოაჩენს ახალი მუსიკისა და განახლებული ადამიანის მსოფლმხედველობას. მხოლოდ გიტარის ახალი ეფექტები, აჩქარებული რიტმი და თეთრკანიანის ხმა ვერ შეძლებდა იმ გადატრიალებას, რომელიც ამ მუსიკამ მოახდინა „მსოფლიოს ქვეცნობიერში". იდეა კი სრულ თავისუფლებაში მდგომარეობდა. ჩნდება კითხვა, რამ გამოიწვია ასეთი მოწყურება თავისუფლებისა? იქნებ ეს ახალი თავისუფლება იყო, რასაც ჩვენი წინაპრები ვე-

ბენდი „ბილ ჰეილი ანდ ზე კომეტს"

ლიტლ რიჩარდი

რასდროს მიხვდებოდნენ? სათქმელი ბევრია, მაგრამ მიზეზი მხოლოდ რამდენიმე. გავიხსენოთ, რომ ეს ხდებოდა სისხლიან XX საუკუნეში. მსოფლიოს ახალი გამოვლილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომი, ადამიანის აზროვნებას კრიზისის დრო დაუდგა. დაიწყო ღირებულებათა ძირეული გადაფასება, მკვიდრდებოდა სიკვდილის შიში და სიცოცხლის, როგორც ტრაგედიის აღქმა. ამას მოჰყვა ახალგაზრდობის გულგრილობა წარსულისადმი, არსებული ცხოვრების წესისადმი, რამაც მას ახალი აღმოჩენებისკენ უბიძგა. ეგზისტენციალიზმი იყო იმ საუკუნის სენი, რომლითაც დაავადდნენ და რომელმაც ერთბაშად გზა გაუკვლიათ მხოლოდ ამქვეყნიური ტკბობისკენ. ეს ტკბობა კი

„ბიტლზი“

ბუნებასთან ჰარმონიაში მოდიოდა. გარდატეხა რელიგიასაც შეეხო და საუკეთესო ვარიანტი ძენ-ბუდიზმი გამოდგა. ის სავსებით შეეფერებოდა დაღლილი, ახალ ცხოვრებასა და თავისუფლებას მოწყურებული ადამიანის გემოვნებას და მათმა უმრავლესობამ ტრანსცენდენტურ ცხოვრებას მიმართა, რაც კარგად გამოვლინდა 1960-იანი წლების მუსიკაში.

ახალი მუსიკა ამერიკაში მაინც ბლუზისა და ქანთრის სტილის სახეცვლილებებად აღიქმებოდა. დიდ ბრიტანეთში კი საქმე სხვაგვარად იყო. XX საუკუნისგან გადაღლილი ახალგაზრდები მშვიდობით ტკბებოდნენ და არც რევოლუციის სურვილი გააჩნდათ. ინგლისი კვლავ კონსერვატიზმში იძირებოდა და ნელა, დაფიქრებულად აკითარებდა საკუთარ ხელოვნებას. არც ლივერპულელი ოთხეულის გამოჩენას გადაურევია ისე ინგლისი, როგორც ეს ამერიკას დაემართა. „ბიტლზს“ (The Beatles) ფეხდაფეხ მოჰყვა „როლინგ სტოუნზი“ (The Rolling Stones) და „სერჩერზი“ (Searchers).

დაიწყო ბრიტანული შეჭრა ამერიკაში, „ბიტლზის“ სიმღერა „მინდა ხელი ჩაგკიდო“ (I Want to Hold Your Hand) ამერიკის მუსიკალურ ჩარტებში პირველ ადგილს არ თმობდა და ამერიკელებიც მოუთმენლად ელოდნენ ოთხეულის სტუმრობას. „ბიტლზის“ სტუმრობამ 1964 წლის იანვარში, ნამდვილი ბიტლომანია წარმოქმნა. ბიტლზებს აღმერთებდნენ. ეს იყო იმდროინდელ საზოგადოებაზე კარგად მორგებული მუსიკა, თავისუფლების დამატყვევებელი ელემენტებით სავსე, თუმცა იმავდროულად კონსერვატიზმსაც არ თმობდა, რაც ანსამბლის სასცენო ფორმაში კარგად გამოჩნდა. „როლინგ სტოუნზი“ კი ყოველთვის ანტიპოდის როლში გამოდიოდა, თუმცა მათი მეორე სტუმრობა ამერიკაში საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ეს ჯგუფი ძირითადად ბლუზზე იყო ორიენტირებული, „ბიტლზისგან“ განსხვავებით, რომელიც მრავალფეროვნებით იწონებდა თავს პუბლიკის წინაშე. ამ ჯგუფებს მოჰყვა „კინკსი“ (The Kinks) და „დეივ კლარკ ფაივი“ (The Dave Clark Five). ბრიტანელი მუსიკოსები დომინირებდნენ ამერიკის მუსიკალურ ბაზარზე. მუსიკაში გაიხსნა საზღვრები და და

აშშ-ში დაინერგა ბრიტანული როკი, ბრიტანული ბლუზ-როკი და სხვ.

ქრონოლოგიას თუ მივყვებით, 1950-იან წლებში ვითარდება ჯაზ-როკი, ბლუზ-როკი, ფოლკ-როკი და ქანთრი-როკი. ეს უკანასკნელი ძირითადად აშშ-ში იხვეჭს პოპულარობას. 1960-იანი წლებიდან კი სცენაზე გამოდის ფსიქოდელიური მიმდინარეობა, რომელიც დომინანტი ხდება როკისა და საერთოდ, 60-იანელთა კულტურისთვის.

ფსიქოდელიური მუსიკა საფუძველს ბლუზიდან იღებს, აქცენტი კი ადამიანის გონზე გადააქვს. წლების შემდეგ ფსიქოდელიური მუსიკიდან როკის მრავალი მიმდინარეობა წარმოიქმნა. გავლენები აისახა როგორც ინსტრუმენტის ჟღერადობაში, ისე სიმღერების ტექსტებში. ეს მუსიკა 60-იანი წლების სიმბოლოდ გადაიქცა, რადგან გამოხატავდა და იმეორებდა იმდროინდელი კონტრკულტურის სათქმელს.

ეს ის დრო იყო, როცა ამერიკამ უარი თქვა იზოლაციონიზმზე და საგარეო საქმეებში აქტიურად ჩაერთო. მსოფლიომაც და აშშ-მაც ორი ომი გამოიარა, სამყაროს განვლო ღირებულებათა გადაფასებისა და ილუზიების მსხვრევის პერიოდი, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი ფილოსოფოსები, როგორიც ფრიდრიხ ნიცშეა. მან უბიძგა რადიკალიზმს და ახალგაზრდებში ნიჰილიზმის გამძაფრებული გრძნობა აღძრა. ახალმა რეალობამ ფსიქოდელიური მუსიკის ეპოქაში გადასვლა განაპირობა. ხელოვნების ძირითადი ატრიბუტები ჰალუცინოგენური ნივთიერებები, მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკებია, რომელიც სიურეალიზმის საზღვრებსაც სცდება. მუსიკოსები ექსპერიმენტებს დგამენ ინსტრუმენტებზე და ვოკალის ჟღერადობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექსტებიც, მათში მოხსენიებულია სიზმრები და ჰალუცინაციები. გავიხსენოთ „ჯეთრო ტალის“ (Jethro Tull-ის) 40-წუთიანი სიმღერა „აგურის სისქის“ (Thick as a Brick), რომელიც შემდეგ ცალკე ალბომადაც გამოიცა. „ჯეფერსონ ეარპლეინის“ (Jeferson Airplain) „თეთრი ბოცვერი“ (White Rabbit), რომლის ტექსტშიც პირდაპირაა აქცენტი გადატანილი ნარკოტიკის ზემოქმედებაზე.

მუსიკოსები ფსიქოდელიაში არანაირ ექსპერიმენტს არ ერიდებოდნენ. მიმართავდნენ ფოლკ-საკრავებს, მკვეთრი აქცენტი კეთდებოდა კლავიშებიან ინსტრუმენტებზე, განსაკუთრებით, ორგანსა და მელოტრონზე (60-70-იანი წლების პოლიფონიური, ელექტრომექანიკური საკრავი). მუსიკა გამოირჩეოდა ხანგრძლივი ინსტრუმენტული იმპროვიზაციებით. ათწუთი-

„როლინგ სტოუნზი“



ჯიმი ჰენდრიქსი

„დორსი“ და ჯიმ მორისონი

ანი სტუდიური ჩანაწერი საკონცერტო შესრულებისას შესაძლოა ნახევარ საათს გაგრძელებულიყო. სიმღერებისთვის დამახასიათებელი იყო რთული სტრუქტურა, სიურეალისტური ლირიკა ლიტერატურული ნაწარმოების გავლენით იქმნებოდა. ფსიქოდელიური როკის ჩამოყალიბებისას და შემდგომი წლების ტექსტებში შეიმჩნევა სამეცნიერო ფანტასტიკისა და ზღაპრების გავლენა. პოპულარული იყო ინდური სიტარა (სიმებიანი საკრავი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ინდურ კლასიკურ მუსიკაში), რაც ეპოქის რელიგიურ და სულიერ განწყობას ეხმიანებოდა. რელიგიური ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო 60-იანი წლების მუსიკასა და კიდევ უფრო კონტრკულტურაში, ჰიპებში. მედიტაცია და იოგა იმ დროის კიდევ ერთი ატრიბუტი გახდა.

1960-იანი წლები რევოლუციებით გამოირჩა. ახალგაზრდების გააქტიურება პოლიტიკამაც განაპირობა, განსაკუთრებით, ვიეტნამის ომმა, რომელსაც ჰიპების მოძრაობას მისცა დასაბამი. ის ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ, რუტინულ ყოფას, შესაფერისი მუსიკა კი როკენ-როლი აღმოჩნდა. ჰიპები უარს არ ამბობდნენ ნარკოტიკულ და ჰალუცინოგენურ ნივთიერებებზე. მათი ზემოქმედება პირდაპირ უკავშირდება იმდროინდელი მუსიკის ზოგიერთი ასპექტის ჩამოყალიბებას. გაბრუებულ ადამიანს სიამოვნებას უმძაფრებდა 10-15-წუთიანი გიტარის სოლო პარტიები და მის ხანგრძლივობასთან ერთად, მუსიკალური კომპოზიციაც უფრო ფასობდა. სწორედ ამ პერიოდში გამოდიან რიგი ლეგენდარული ბენდები და იქმნება კომპოზიციები, რომლებიც დღეს კლასიკად არის აღიარებული. უშუალოდ ჰიპების კულტურას უკავშირდება „გრეტიფულ დედი“ (Grateful Dead), თუმცა როკი არასდროს ყოფილა ამ კონტრკულტურაზე დამოკიდებული, ის თავისი გზით ვითარდებოდა და მათი გზების გადაკვეთის საუკეთესო მომენტი 1969 წლის ვუდსტოკის ფესტივალი იყო. ორი ლეგენდარული მიმდინარეობა აქ გაერთიანდა და მას შემდეგ ერთმანეთს აღარც დაჰკავშირებია. მიიჩნევა, რომ ეს იყო კონტრკულტურის უკანასკნელი აკორდი, რომელმაც საკუთარი თავისუფლებით საკუთარივე თავი გაანადგურა.

ოქროს ეპოქამ წარმოშვა ისეთი გიგანტები, როგორიცაა: „დიპ პარპლი“ (Deep Purple), „დორსი“ (The Doors), ჯიმი ჰენდრიქსი, ჯე-

ნის ჯოპლინი, „როლინგ სტოუნზი“, „კინკსი“, „ჯეთრო ტალი“, „ლედ ზეპელინი“ (Led Zeppelin), „პინკ ფლოიდი“ (Pink Floyd) და სხვ. ეს ორი უკანასკნელი ჯგუფი ცალკე აღნიშვნას იმსახურებს. „ლედ ზეპელინმა“ მუსიკა მთლიანად გადაახარისხა და საკვანძო სამართლიანია, რომ ჯგუფის ყველა სიმღერა შედევრად მიიჩნევა. ამ ჯგუფში შეიკრიბა ოთხი გენიოსი მუსიკოსი. რობერტ პლანტს მსოფლიო ვოკალისტებს შორის ამაყად უჭირავს წინა პოზიციები, ასევე ჯიმი პეიჯს, ჯონ ბონემსა და ჯონ პოლ ჯონსს. მათ მუსიკას ხშირად ოკულტიზმთან აკავშირებდნენ. ეს არცთუ უსაფუძვლო „ბრალდებაა“. ჯგუფის სიმღერებში მართლაც იგრძნობა ოკულტური განწყობა, ეს კიდევ ერთი წინა პირობა იყო მათი უნიკალურობისა, რაც კრიტიკოსთა შორის პატივისცემას იმსახურებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს მუსიკა თვით კრიტიკის გარეთაც დგას. მის ფარგლებს სცდება „პინკ ფლოიდიც“.

ეს ბიჭები ინგლისიდან, კემბრიჯიდან იყვნენ, ჯგუფი სიდ ბარეტმა გააერთიანა, როკ-მუსიკაში ფსიქოდელიის ერთ-ერთმა მამამთავარმა. ფსიქიკური და სულიერი პრობლემების გამო სიდი ჯგუფიდან გაუჩინარდა. პირველობა როჯერ უოტერსმა და დევიდ გილმორმა გაიყვეს. თუმცა თავიდან თითქმის წარმოუდგენელი იყო, როგორ განაგრძობდა ბენდი არსებობას გენიის გარეშე. ერთ-ერთ ინტერვიუში უოტერსი ბარეტის შესახებ ამბობს: „როგორც სიმღერების ავტორი, სიდი ერთადერთი და განუმეორებელი იყო. პირადად მე ვერასოდეს ავალ მის დონეზე, მის მწვერვალებზე და გულახდილად ვიტყვი – რომ არ ყოფილიყო სიდი, ვერანაირად ვერ ჩავწვდებოდი სამყაროს ისე, როგორც ახლა ვცდილობ დანახვას. 15 წელიწადი დამჭირდა, რომ ოდნავ მაინც ახლოს მივსულიყავი იმ დონესთან, იმ სივრცესთან, სადაც სიდი შინაურულად გრძნობდა თავს. ხშირად მეკითხებიან, როგორ ხედავდა ბარეტი სამყაროს ასე ახლებურად, აღიქვამდა და და ნოტებით გადმოსცემდა? ეს იგივეა, დასვა შეკითხვა – რატომაა მხატვარი მხატვარი? ხომ სასაცილოა? მხატვარი ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებულად ხედავს და შეიგრძნობს სამყაროს და შემდეგ ტილოზე გადააქვს. ეს, ერთი შეხედვით, ღვთიური მადლია, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ეს წყევლაზე უარესიცაა, რადგან სიამოვნებასთან ერთად, მძიმე და მკაცრი ტვირთია“... თუმცა „დაობლებულმა“ ბენდმა, ყველასთვის მოულოდნელად, არათუ რეგრე-

„დიპ პარპლი“. წინა პლანზე — იან გილანი

„ლედ ზეპელინი“

სი განიცადა, პირიქით, მრავალფეროვნება შეიძინა და გახდა უპირველესი ბენდი დაფიქრებული, მოაზროვნე მსმენელისთვის. ათასობით მოღრიალე ახალგაზრდას ბენდმა ასი დაფიქრებული ადამიანი ამჯობინა. „პინკ ფლოიდი“ ერთხმად არის აღიარებული უძლიერეს ჯგუფად. ისინი არა მარტო როკის საზღვრებს გასცდნენ, არამედ საერთოდ მუსიკის და „მთვარის ბნელ მხარეზე“ გავიდნენ (Dark Side of the Moon ერთ-ერთი ალბომის სახელწოდებაა).

1970-იან წლებში როკ-ენ-როლი პოპულარობას ნელ-ნელა კარგავდა. „ბიტლზი“ დაიშალა, ჯგუფის წევრები ცალ-ცალკე განაგრძობდნენ კარიერას. ოქროს ეპოქა დასასრულისკენ წავიდა, მუხტი, რომლითაც ეს მუსიკა საზრდოობდა, გადასხვაფერდა ან საერთოდ გაქრა. 1971 წელს დაიღუპნენ ჯიმი ჰენდრიქსი, ჯიმ მორისონი, ჯენის ჯოპლინი. ეს დასასრულის დასაწყისი უნდა ყოფილიყო, მათ გზას მართლაც ვერავინ განაგრძობდა. ეს იყო მუსიკა, რომელიც მხოლოდ 60-იან წლებში იქმნებოდა.

მომდევნო თაობამ დიდი ჟანრობრივი ცვლილებები მოახდინა. ასპარეზზე გამოსვლა დაიწყო ჰარდ როკმა, ფიუჟენმა, ყალიბდებოდა ჰევი მეტალი. სრულიად შეიცვალა რიტმიკა, გადასხვაფერდა სასცენო სტილი, სიმღერის შინაარსი, მუსიკა გაუხეშდა და დამძიმდა. ჰარდ როკში წამყვანი გახდა გიტარის პარტიები. სიახლეებმა მუსიკოსებს საშუალება მისცა, სხვადასხვა გიტარის ეფექტები მოესინჯათ, ჟღერადობებმა დასახელებები შეიძინეს, თუმცა 70-იანებში ჯერ კიდევ არ აძლევდა აპარატურა მუსიკოსებს სრულ თავისუფლებას, „ბლეკ საბათის“ (black sabbath) დრამერი ბილ ვორდსი იხსენებს, როგორ ცდილობდა ჯგუფის წევრებს აჰყოლოდა, მაშინ როცა ოზი ოსბორნს ორი მიკროფონი ეჭირა, ტომი აიომი ხმას ბოლომდე უწევდა გიტარას, ბილს უორდს კი ისღა დარჩენოდა, მთელი ძალით დაეკრა „ბარაბანზე“.

70-იან წლებში როკი „ბნელი მიმდინარეობის“ სახელს იძენს. მუსიკოსთა გატაცება ოკულტიზმით, ალისტერ კროულითა და მითოლოგიით, „სიმპათია სატანისადმი“ და რიტუალური ელემენტები კონცერტებისას მაყურებელს არ გამოჰპარვია. თუმცა ეს მედლის ერთი მხარეა. ამ ეპოქამ შეძლო და მსმენელს სრულიად ახალი მიმდინარეობა, „მეტალი“ დაუტოვა. როცა „რეინბოუ“ (Rainbow) თავის მუსიკას ამძიმებდა რონი ჯეიმს დიოს ვოკალით, ყურადღება კომპოზიციურ წყობა-

ზე იყო გადატანილი, გავიხსენოთ თუნდაც „ბაბილონის ბჭენი“ (Gates of Babilon). „ბლექ საბათიც“ უფრო და უფრო ამძიმებდა და ანელებდა კომპოზიციებს და გადადიოდა ახალ ჟანრში, რომელსაც „დუმი“ (Doom) ეწოდება. თუმცა მეტალის სრული ატრიბუტებით არც ეს ჯგუფი აღჭურვილა. ასპარეზზე გამოვიდა „ჯუდას პრისტი“ (Judas Priest). აი, ეს ჯგუფი კი ქმნის ნამდვილ სტილს, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა. ლაპარაკია ატრიბუტებზე: ტყავის ტანსაცმელზე ლითონის აქსესუარებით. იდეა სექსშოპისგან იყო ნასესხები, რომელიც რობ ჰალფორდს ნოვატორობად ჩამოართვეს.

ამას მოჰყვა ტრეშმეტალი და პროგრესივ-მეტალი: „მეტალიკა“ (Mettalica), „პანტერა“ (Pantera), „დრიმ თიეტა“ (Dream Theater), „მეგადეთი“ (Megadeth). აპარატურის დახვეწასთან ერთად ჩნდება death-metal-ი („მკვდარი ლითონი“) და black metal-ი („შავი ლითონი“). ეს მიმდინარეობები ძირითადად ნორვეგიიდან იღებს სათავეს და გაჟღენთილია სკანდინავიური მითოლოგიით. ამ ჟანრის წარმომადგენლები ღიად აცხადებენ საკუთარ სატანისტობას და აშკარად უპირისპირდებიან ქრისტიანობას, რომელმაც, მათი აზრით, გახარწნა და დაღუპვამდე მიიყვანა ნორვეგია. ამიტომ ხალხი ისევ ძველ კერპებს უნდა დაუბრუნდეს. მათი ატრიბუტებიც დამახასიათებელია: ამოტრიალებული ჯვარი და ბუცეფალის სახე, ჩასმული ამობრუნებულ ხუთქიმიან ვარსკვლავში. მოგეხსენებათ, ხუთქიმიანი ვარსკვლავი ოკულტურ რიტუალებში გამოიყენება და ის ასახავს ხუთ სტიქიას, სრულყოფილებას, რომელსაც არსებითად არანაირი კავშირი არ აქვს სატანიზმთან.

დღეს ეს ჟანრები ნაკლებად იქცევენ ყურადღებას, თუმცა საკუთარ მსმენელებზე საკმაო გავლენა აქვთ. ცნობილია, რომ ბლეკ მეტალის ჟღერადობა ვერ აკმაყოფილებს ფართო მასებს, მეტიც, ის აღიქმება როგორც რაღაც სექტა ან რელიგიური მიმდინარეობა, უფრო ხშირად კი სატანიზმთან აიგივებენ, მათი მსმენელებისთვისაც სოციუმი სრულიად უცხოა. ზღვარი ამ „ბნელ“ მიმდინარეობასა და საზოგადოებას შორის საკმაოდ მკვეთრია. თუმცა მთლიანად მეტალი ჭეშმარიტად არის კიდევ ერთი მუსიკალური შედევრი ყველა თავისი ატრიბუტით, რადგან ის აერთიანებს მუსიკალურ ჰარმონიას მძიმე, უხეშ ჟღერადობასთან ერთად.

მარიამ ყაყიტაშვილი

„პინკ ფლოიდი“ ალბომ „კედლის“ გამოშვების შემდეგ

გრიუნვალდის ბრძოლა

ტევტონთა ორდენის დასასრულის დასაწყისი

გრიუნვალდის ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი უდიდესი შუასაუკუნოვანი ბრძოლაა, რომელმაც მოსპო ტევტონთა ორდენის ძლიერება ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, ზოგიერთ გერმანულ სამეფოზე და შეაჩერა მათი შემოსევები, ე.წ. საღვთო ომები. გრიუნვალდი იქცა საფუძვლად ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სამეფოსი, რომელიც ტევტონების განადგურების შემდეგ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ერთ-ერთი დომინანტი სახელმწიფო იყო ევროპაში.

მეთაურები და ქვეყნები

ტევტონთა გერმანული ორდენი, რომელიც წმინდა მარიამის სახელზე ჩამოყალიბდა, დაარსდა ჯვაროსნების მიერ პალესტინის ქალაქ აკრაში 1190 წელს, თუმცა მალე საქმიანობა გადაიტანა ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, სადაც იესო ქრისტეს სახელითა და იარაღის ძალით კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლებას ავრცელებდა წარმართ პრუსიელებზე, ლიტველებზე, ჟმუდელებსა და ესტონელებზე. პრუსიელები ხშირად ესხმოდნენ თავს პოლონეთის სამეფოს სასაზღვრო სამთავრო მაზოვიას. წარმართთა შემოსევების აღკვეთისთვის მაზოვიის მთავარმა კონრადმა ჯვაროსან ტევტონთა ორდენს სთხოვა დახმარება.

ორდენის რაინდი-ბერები (ყველა ტევტონი, რომელიც შავ ჯვარს ატარებდა ლაბადაზე, ბერი იყო) მაზოვიაში 1230 წელს გამოჩნდნენ. ათწლიანი ბრძოლის შემდეგ მათ მთლიანად აღკვეთეს პრუსიელთა აგრესია და ამ ტომის უდიდესი ნაწილი გაანადგურეს. მისიის შესრულების შემდეგ ჯვაროსანმა ბერებმა გერმანიაში დაბრუნება აღარ მოისურვეს. 1283 წლისთვის ტევტონები მთლიანად აკონ-

გრიუნვალდის ბრძოლა
(იან მატეიკო, 1878)

ტროლებდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ პრუსიას, პორტ მემელიდან მდინარე ვისლამდე. ორდენი ძალიან გაძლიერდა და ჯერ რიგას დაადგა თვალი, შემდეგ კი ლიტვის მიწებზე დაიწყო ცეცხლითა და მახვილით მოქმედება. ნელ-ნელა ჯვაროსნები ტერიტორიებს იკავებდნენ ესტონეთში, ლატვიაში, ლივონიასა და კურლანდიაში. ტევტონთა ორდენი ბალტიის ზღვის სანაპიროს დიდ ნაწილს აკონტროლებდა და აყალიბებდა ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი არმიით, რომლის დიდი ნაწილი მძიმედ აღჭურვილი რაინდებისაგან შედგებოდა. ორდენი საშიში მეტოქე გახდა ისეთი სახელმწიფოებისა, როგორებიც იყო ლიტვა, პოლონეთი და ნოვგოროდის სამთავრო. დაპყრობილ მიწებზე ტევტონები გერმანელ გლეხებს ასახლებდნენ და სრულ კოლონიზაციას ახდენდნენ.

1310-1350 წლებში პრუსიაში უკვე 1400 გერმანული სოფელი არსებობდა. ჯვაროსნები მოხერხებულად სარგებლობდნენ დაშლილ-დასუსტებული პოლონეთის მდგომარეობით და ავიწროებდნენ მას, მაგრამ 1320 წელს პოლონეთი ერთიან, მძლავრ სამეფოდ ჩამოყალიბდა მეფე ვლადისლავ I ლოკეტეკის (მეფობდა 1320-1333 წლებში) მმართველობისას. შემდეგ კი მოხდა ის, რისიც ჯვაროსნებს ეშინოდათ — პოლონეთის დედოფალი იადვიგა ცოლად შეირთო ლიტვის დიდმა მთავარმა ვლადისლავ იაგელომ, რომელიც პოლონეთის ტახტზე ვლადისლავ II-ის სახელით ავიდა. ლიტველებმა მაშინვე მიიღეს ქრისტიანობა და კათოლიკური ეკლესიის სამწყსოს შეუერთდნენ. ამით ორდენი კარგავდა მიზანს, რისთვისაც აღმოსავლეთ ევროპაში იბრძოდა, თუმცა მათ ამ ტერიტორიების მიტოვება არ სურდათ. ერთადერთი დასაყრდენი, რაც ჯვაროსნებმა ძალაუფლების შესანარჩუნებლად იპოვეს, ჟმუდის მიწა იყო, სადაც ჯერ კიდევ ნახევრადველური, წარმართი ხალხი ცხოვრობდა. მალე ჟმუდელთა უმეტესობამ პოლონელებისა და ლიტველებისგან ქრისტიანობა მიიღო და ორდენის გამაქრისტიანებელ მისიასაც ბოლო მოეღო. პოლონეთი, ლიტვასთან ერთად, უფრო მეტად ძლიერდებოდა. ლიტვის მმართველად მეფეს თავისი ბიძაშვილი, დიდი მთავარი ვიტოლდი (ვიტაუტასი) ჰყავდა დანიშნული. ფიცხი და მეომარი სულის ვიტოლდი ორდენთან ომს ემზრობოდა. ჯვაროსანთა დიდი მაგისტრი კონრად ფონ იუნინგენი ყველანაირად ცდილობდა ომის თავიდან აცილებას, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, როცა დიდ მაგისტრად მისი ძმა, ფიცხი და მებრძოლი ხასიათის ულრიხ ფონ იუნინგენი დაინიშნა, ომი გარდაუვალი გახდა. მიზეზად კი ჯერ გაუგებრობა იქცა დობჟინის მიწაზე, შემდეგ კი სამოგატიის აჯანყება და სკირსნემუნეს ციხის გადაწვა, რის შემდეგაც ლიტვა და პოლონეთი ამბოხებულებს მიემხრნენ.

ომი დაიწყო ჯვაროსანთა ენერგიული მოქმედებით და პოლონეთ-ლიტვის ციხესიმაგრეებზე შეტევით. შემდეგ საბრძოლო მოქმედებები დროებით შეწყდა და საქმეში ჩეხეთის მეფე ვაცლავი ჩაერია, რომელსაც მხარეები უნდა განესაჯა. თუმცა ჯვაროსნებმა მალე ის მოისყიდეს და ვაცლავმა პოლონეთთან ომში უპირატესობა ტევტონებს მიანიჭა. პოლონელები არახელსაყრელ პირობებს არ დასთანხმდნენ და ომიც განახლდა. საბოლოოდ, მეფე ვლადისლავ იაგელომ და მთავარმა ვი-

ტევტონი რაინდები

ტოლდმა თავიანთი ჯარები შეკრიბეს და ტევტონთა გაერთიანებულ ძალებს, რომელთაც დიდი მაგისტრი თავად მეთაურობდა, გრიუნვალდთან შეხვდნენ (გრიუნვალდი დღეს პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობს). პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ ჯარს მეფე ვლადისლავ იაგელო, მთავარი ვიტოლდი და ცნობილი რაინდი და სარდალი ზინდრამ მაშკოვიცელი სარდლობდნენ, ჯვაროსანთა არმიას კი — დიდი მაგისტრი ულრიხ ფონ იუნინგენი, კუნო ლიხტენშტაინი და ფრიდრიხ ვალენროდი.

მხარეთა სამხედრო ძალების განლაგება

გრიუნვალდის ბრძოლაში არა მარტო პოლონელები, ლიტველები და ტევტონი რაინდები მონაწილეობდნენ, არამედ მრავალი სხვა ტომის ხალხი. ტევტონებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ ლივონიის ორდენის (მახვილის კავალერები) რაინდები, მეომრები სხვადასხვა გერმანული ქვეყნიდან, ფრანგები, ინგლისელები, ავსტრიელები, შვაბები, შვეიცარიელები, ბავარიელები და სხვა ევროპელ ხალხთა რაინდები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში ფათერაკებისა და თავგადასავლების საძებნელად ჩამოდიოდნენ. ულრიხ ფონ იუნინგენმა თავისი არმია გრიუნვალდის ველზე ასე განალაგა: მთელ ფრონტზე წინა რიგებს რაინდები იკავებდნენ. მათ დიდი კომტური (გროსკომტური, ე.წ. ორდენის დიადი ოფიცერი) კუნო ფონ ლიხტენშტაინი და ფრიდრიხ ვალენროდი ხელმძღვანელობდნენ. ტევტონი რაინდების რიგებში ერივნენ უცხოელი და მახვილოსანთა ორდენის რაინდებიც. ცხენოსანი ჯარის უკან გერმანელი ქვეითი შუბოსანი კნეხტები იდგნენ. ძლიერი რეზერვი ჯარის ზურგში გადამწყვეტ მომენტს ელოდებოდა. ამ საუკეთესო რაინდებს თვით დიდი მაგისტრი, ულრიხ ფონ იუნინგენი მეთაურობდა.

პოლონეთ-ლიტვის არმია ველზე მთლიანად არ იყო გაშლილი და პოლონელი ქვეითების ნაწილი ტყის მახლობლად იდგა. პოლონეთის მეფემ ვლადისლავ იაგელომ და ლიტვის მთავარმა ვიტოლდმა ჯარები ასე განალაგეს: წინა ხაზზე პოლონელი, რუსი, ლიტველი და თათარი ცხენოსნები იდგნენ, რაც არმიის მთავარ ძალას წარმოადგენდა. აქედან მთავარი ვიტოლდი ლიტველების, რუსებისა და თათრების ჯარით მარჯვენა ფლანგზე იყო განლაგებული, ცენტრში და მარცხნივ პოლონელები იდგნენ. რეზერვს შეადგენდა პოლონელთა კავალერია მეფე იაგელოს მეთაურობით, რომელიც მაღლობზე იდგა და იქიდან იძლეოდა ბრძანებებს, აგრეთვე, ტყესთან მდგარი პოლონური ქალაქის მოსახლეობისგან

შემდგარი ქვეითი ჯარი. ამას გარდა, მცირე რაოდენობით ლიტველთა მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდნენ ბესარაბები, ვალახები და სერბები. მარჯვენა ფლანგზე იდგა ასევე სმოლენსკის სამი პოლკი, რომლის მებრძოლებიც უფრო კარგად იყვნენ აღჭურვილი და მომზადებული სხვა ლიტვურ რაზმებთან შედარებით. პოლონელთა რეზერვში იდგნენ დაქირავებული ჩეხი ქვეითებიც.

ტევტონთა ორდენისა და პოლონეთ-ლიტვის ჯარის რაოდენობას სხვადასხვა ისტორიკოსი სხვადასხვანაირად მოიხსენიებს, თუმცა თანამედროვე ბრიტანელი და ამერიკელი ისტორიკოსების დიდი ნაწილის მიხედვით, პოლონეთ-ლიტვისა და მათი მოკავშირეების ჯარის საერთო რიცხოვნობა 16-დან 39 ათასამდე მერყეობდა, ტევტონთა ორდენისა კი 11-დან 27 ათასამდე. ორივე მხარეს ცხენოსნები უფრო მრავლად იყვნენ წარმოდგენილი.

ტანენბერგს, ლუდვიგსდორფსა და გრიუნვალდს შორის გაშლილი ველი არ იყო მთლად მოხერხებული ასეთი მასშტაბური ბრძოლისთვის, რადგან მეომრებს, განსაკუთრებით კი ცხენოსან რაინდებს ხელს უშლიდათ მაღლობები, ადგილ-ადგილ დიდი ხეები, ნიადაგის უსწორმასწორობა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა გაიმართა და დიდი სისხლის ღვრაც მოიტანა.

ჯარის სახეობა და შეიარაღება

ტევტონთა ორდენის მთავარი ძალა გერმანული წარმოშობის რაინდი-ბერებისგან შემდგარი ცხენოსანი რაზმები იყო. ტევტონები შესანიშნავად იყვნენ აღჭურვილი და შეიარაღებული. ისინი ატარებდნენ ჯაჭვის სქელ პერანგს, თუმცა ზოგიერთი ჯვაროსანი ფირფიტოვანი აბჯრითაც იყო შეჭურვილი. აბჯრის ზემოდან ტევტონები თუთრ, გრძელ ლაბადებს იცვამდნენ, რომელზეც მათი სიმბოლო, დიდი შავი ჯვარი იყო გამოსახული. ტევტონები ფეხების დამცავ ჯაჭვის გრძელ წინდებსაც იცვამდნენ. ხშირად ასეთი წინდები პირდაპირ ჯაჭვის პერანგზე იყო მიმაგრებული და ერთიან ჯაჭვის სამოსს ქმნიდა, რომელიც მთელ სხეულს იცავდა (ჯაჭვის პერანგი ხელებსაც მთლიანად იცავდა). ტევტონებს თავზე, ჩვეულებრივ, რაინდული მუზარადები ეხურათ ზარადით, რომლითაც ბრძოლაში სახეს იფარავდნენ. ჯვაროსანი რაინდები აღჭურვილი იყვნენ რაინდული ფარებით, რომელზეც უმთავრესად შავი ჯვარი ან ოქროსფერ ფონზე შავი არწივი იყო გამოსახული, გრძელი რაინდული შუბითა და ხელჩართული ბრძოლის იარაღით (ცულით, ხმლით, რკინის კვერით და სხვ.). მძიმედ აღჭურვილი რაინდების ერთობლივი, სწრაფი იერიში გაშლილ ველზე გამანადგურებელი დარტყმა იყო მტრისთვის, ამიტომ მათ წინააღმდეგ ველზე ბრძოლას ხშირად ერიდებოდნენ.

ტევტონი რაინდების გარდა, ორდენს ჰყავდა დაქირავებული ან მოკავშირეთა გამოგზავნილი ქვეითი მეომრები. მათ შორის გამოირჩეოდნენ გერმანელი კნეხტები — კარგად აღჭურვილი, მძიმედ შეიარაღებული ქვეითები. მათ უმთავრესად ჯაჭვის პერანგი ემოსათ და მუზარადი ეხურათ. კნეხტების ძალა მათ ერთიან მოქმედებაში მდგომარეობდა. ისინი შეიარაღებული იყვნენ გრძელი შუბებით, ე.წ. ბერდიშებით ან ალებარდებით. ამ გრძელტარიან, ბასრ იარაღს ისინი უკანა ნაწილით მი-

პოლონელების ცხენოსანი ჯარი

პოლონეთის მეფე ვლადისლავ იაგელო

ტევტონთა დიდი მაგისტრი ულრიხ ფონ იუნინგენი

წაში არჭობდნენ და მტრის წინააღმდეგ წვერით მიმართავდნენ.

მრავალი ქვეითი კნეხტი ასე ძველი ბერძნული ფალანგის მსგავს წყობას ქმნიდა, რომელთან ბრძოლა ცხენოსნებს ძალიან უჭირდათ, რადგან მიახლოებისას კნეხტები ცხენებსა და მხედრებს თავიანთი გრძელტარიანი იარაღის წვერით სწვდებოდნენ და ჩხვლეტდნენ, რაინდი კი ვერ ახერხებდა მათზე მისვლას. ხელჩართული ბრძოლისთვის ზოგიერთი კნეხტი ხანჯლით ან მოკლე მახვილით იყო აღჭურვილი.

ბრძოლაში რაინდებსა და კნეხტებს კიდევ ორი ჯარის სახეობა ეხმარებოდა: მშვილდოსნები და მეარბალეტეები. ჯვაროსნები კარგი მსროლელებით განთქმული ნამდვილად არ იყვნენ, ამიტომ ინგლისიდან იხმარდნენ ზუსტ მშვილდოსნებს. არბალეტის (ე.წ. კონდახიანი მშვილდი) მსროლელებს შორის განთქმულები იყვნენ გენუელები, საიდანაც ტევტონებს მრავალი ხელმარჯვე მსროლელი ჩამოჰყავდათ. მშვილდოსნებსა და მეარბალეტეებს რაინდებთან გამკლავება უფრო უჭირდათ, რადგან მათი მტკიცე აბჯრის გარღვევა რთული იყო, მაგრამ ქვეითებისთვის მსროლელებს დიდი ზიანის მიყენება შეეძლოთ.

არტილერია მაშინდელ მსოფლიოში იშვიათი რამ იყო და მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებს ჰქონდათ. ევროპაში დენთის შემოსვლის შემდეგ დაამზადეს ზარბაზნები, რომელიც ქვის ბირთვებს ტყორცნიდა. პირველი ზარბაზნები მიზანში ვერ ისროდნენ და მათი საშუალებით უფრო ციხესიმაგრეების კედლებს ანგრევდნენ. მოგვიანებით, როცა ზარბაზნები შედარებით დაიხვეწა, მათ ბრძოლებშიც იყენებდნენ. გრიუნვალდის ბრძოლაში დენთიანი ზარბაზნები გამოიყენეს, თუმცა ამას ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ჯვაროსნებმა არტილერისტთა ნაწილი იტალიიდან ჩამოიყვანეს.

პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული არმია რაოდენობით აშკარად აღემატებოდა ჯვაროსნებს და ამ უპირატესობის გამოყენება მათ შეძლეს კიდეც. თუმცა პოლონეთისა და ლიტვის ჯარები ცალ-ცალკე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდნენ როგორც ტაქტიკითა და სტრატეგიით, ასევე შეიარაღებითა და საბრძოლო გამოცდილებით.

პოლონეთის არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა ცხენოსანი რაინდებისგან შემდგარი სად-

გრიუნვალდის ბრძოლის ეპიზოდი (ვოიცეხ კოსაკი, 1931)

როშოები იყო. პოლონელი რაინდები კარგ ცხენებზე იყვნენ ამხედრებული და საკმაოდ მაღალი ხარისხის აბჯარი და იარაღი ჰქონდათ. ევროპაში ცნობილი იყო პოლონელთა სიმამაცე და თავზეხელაღებულობა ბრძოლის ველზე.

პოლონური ქვეითი ჯარი შედგებოდა გლეხებისა და ქალაქის მცხოვრებთაგან. მათ არ ჰქონდათ სამხედრო დისციპლინა და მწყობრის შენარჩუნებასა და რიგების დარღვევას არ ერიდებოდნენ, გერმანელი კნეხტებისაგან განსხვავებით. პოლონელი ქვეითები შეიარაღებული იყვნენ მძიმე შუბებით, ცელებით, ცულებითა და ნაჯახებით. ასეთ ჯარს ტევტონებთან უწევდა ბრძოლა, რომლებიც თავით ფეხებამდე აბჯარსა და საჭურველში ისხდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, არ ჰქონდათ ის თავზე ხელაღებული სიმამაცე, რაც პოლონელ მეომრებს გააჩნდათ. ზოგიერთი ისტორიკოსის მიხედვით, ჯვაროსანთა მსგავსად, პოლონელებს ზარბაზნებიც ჰქონდათ, თუმცა მათაც წარუმატებლად გამოიყენეს ეს მძლავრი, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ განუვითარებელი იარაღი.

ლიტვური არმია პოლონელთა ჯარისგან ძალიან განსხვავდებოდა და უფრო აზიური სტილის სამხედრო ძალას წარმოადგენდა. ლიტველები XIV საუკუნეში უმთავრესად თათრებთან (მონღოლებთან) ბრძოლაში იყვნენ გართული და ხშირად ამარცხებდნენ კიდეც მათ დასავლეთ რუსეთის ტერიტორიებზე. ლიტვის არმიის კავალერიაში მონღოლური სტილის მხედრები იყვნენ, მსუბუქი აღჭურვილობით და დაბალი და სწრაფი ცხენებით. ლიტველი ცხენოსნების მთავარი ძალა მათი სისწრაფე იყო. ისინი დიდი სიჩქარით ესხმოდნენ მტერს თავს, შემდეგ სწრაფად იხევდნენ უკან და საფარში იტყუებდნენ მოწინააღმდეგეს. ეს მათი ტაქტიკა გახლდათ. ლიტვის ცხენოსან ჯარში მსახურობდნენ თათარი მხედრებიც, რომელთა ნაწილი მთავარ ვიტოლდის ვასალი იყო, ხოლო ნაწილი — დაქირავებული. თათრებს განსაკუთრებით მშვილდ-ისრის ხმარება ეხერხებოდათ და პირდაპირ ცხენებიდან სტყორცნიდნენ მტერს ისრების მომაკვდინებელ სეტყვას, ხოლო როცა მათ მოწინააღმდეგე მიუახლოვდებოდათ, სწრაფად იხევდნენ უკან. მიუხედავად ლიტვური და მონღოლური კავალერიის სიძლიერისა, გაშლილ ველზე ხელჩართულ ბრძოლაში მათ ძალიან გაუჭირდებოდათ მძიმედ აღჭურვილი ტევტონი რაინდების დამარცხება.

(ზემოთ) ლიტვის დიდი მთავარი ვიტოლდი; (ქვემოთ) ლიტველი მეომრები კლავენ დიდ მაგისტრ ულრიხ ფონ იუნინგენს (იან მატეიკოს პანორამის დეტალები)

ბრძოლა

ჯვაროსანთა მაგისტრმა ულრიხ ფონ იუნინგენმა გადაწყვიტა, პირველი იერიშის წამოწყება მოწინააღმდეგისთვის დაეთმო, თავისი არმია ველზე გაშალა და იაგელოს სვლას დაელოდა, რათა შემდეგ თვითონაც საპასუხო მოქმედება წამოეწყო. პოლონეთის მეფე ვაისბერგის მაღლობზე იდგა ამალასთან ერთად და იქიდან იძლეოდა ბრძანებებს, ზინდრამ მაშკოვიცელი კი პოლონელ რაინდებსა და ქვეითებს პირდაპირ ბრძოლის ველზე ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრი შეტევას არ იწყებდა, არც იაგელომ დაძრა არმია იერიშზე, ამიტომ ულრიხ ფონ იუნინგენმა მას ორი ელჩი გაუგზავნა, რომელთაც პოლონელებსა და ლიტველებს ლაჩრობა დასწამა და ბრძოლაში გამოიწვია. განრისხებულმა მეფემ აღარ დააყოვნა და ვიტოლდსა და ზინდრამ მაშკოვიცელს ბრძოლის დაწყება უბრძანა.

პირველი შეტაკება შუადღის სიცხეში დაიწყო, რაც არახელსაყრელი იყო მძიმე აბჯარში ჩაჭედილი რაინდებისთვის. პირველი ვიტოლდის ჯარი ამოძრავდა. საშინელი ღრიალითა და იარაღის ჟღარუნით, ლიტველები მტრისკენ დიდი სისწრაფით დაიძრნენ. დიდმა მაგისტრმა მათ წინააღმდეგ ვალენროდი გაგზავნა მძიმე რაინდების რაზმებით. რაინდებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგე და მალე უკან დახევა აიძულეს. თათრებმა ჩვეული ხერხის გამოყენება და რაინდების საფარში გატყუება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. პირიქით, როცა სხვა მეომრებმა დაინახეს, რომ თათრები ამ მანევრს ასრულებდნენ, მათ ეს გაქცევა ეგონათ და თვითონაც უკან მიჰყვნენ. მწყობრს მხოლოდ სამი ლიტვურ-რუსული პოლკი ინარჩუნებდა, რომელთა შორის სმოლენსკის პოლკი გამოირჩეოდა. მთავარმა ვიტოლდმა იაგელოს რამდენიმე პოლონური რაზმი სთხოვა მარჯვენა ფლანგის გასამაგრებლად. ბრძოლის ველზე ისეთი ბუღი იდგა, რომ იაგელო ვერც კი ხედავდა, რა ხდებოდა ვიტოლდთან, რომელსაც ბრძოლაში უკანასკნელი რეზერვები ჩაერთო და ტევტონთა შეჩერებას ცდილობდა.

ამ დროს დიდმა მაგისტრმა შეიტყო, რომ პოლონეთის მეფე ვაისბერგის მაღლობზე მცირე ამალასთან ერთად იდგა და მის გასანადგურებლად რაინდების დიდი რაზმი გაგზავნა, თუმ-

ცა ეს მანევრი არ გამოუვიდა და მეფის დაცვას მალე მოშორდნენ. ვიტოლდმა და მისმა სარდლებმა მოახერხეს გაქცეული ლიტველებისა და თათრების მობრუნება, რომელთაც ისევე სწრაფად შეუტიეს ტევტონებს, როგორც გაიქცნენ. რუსები და ლიტველები მტერს ხმლებით, ცულებითა და შუბებით უტევდნენ, თათრები კი მომაკვდინებელი ისრების სეტყვას აყრიდნენ მოწინააღმდეგეს. პოლონელებმა მოახერხეს ორდენის მთელი ჯარის შეჩერება, როცა ის მაგისტრმა და კუნო ფონ ლიხტენშტაინმა შეტევაზე დაძრეს, შემდეგ კი მათთან საშინელი ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს.

როცა ტევტონებმა დაინახეს, რომ ლიტვის უზარმაზარი არმია ბრძოლაში დაბრუნდა და ახალ შეტევას იწყებდა, ნელ-ნელა თავდაცვით ბრძოლაზე გადავიდნენ და პოლონელებს დიდ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. ზინდრამ მაშკოვიცელმა ბრძოლაში ქვეითთა რაზმებიც ჩართო. პოლონელები და ლიტველები სარგებლობდნენ თავიანთი რიცხოვნობით და ალყას არტყამდნენ ტევტონებს. უკანასკნელი შეტაკებები სოფელ გრიუნვალდში გაიმართა და საბოლოოდ პოლონელებმა საღამოს 7 საათისთვის ბრძოლა გამარჯვებით დაასრულეს. ჯვაროსანთა დიდი ნაწილი, დაახლოებით 13 ათასი კაცი ბრძოლაში დაიხოცა, ხოლო თითქმის ამდენივე ტყვედ ჩავარდა (მსახურებისა და საჭურველმტვირთველების ჩათვლით). დახოცილთა შორის აღმოჩნდნენ თვითონ დიდი მაგისტრი ულრიხ ფონ იუნინგენი, მისი უახლოესი თანამებრძოლები და მრავალი ტევტონი კომტური (რაზმების მეთაურები და ორდენის ტერიტორიების მმართველები). მხოლოდ ორმა ცნობილმა რაინდმა მოახერხა გადარჩენა: კონრად სილეზიელმა და ჰერცოგმა კაზიმირ შტეტინელმა, რომელიც ბრძოლის წინ მეფესთან ელჩად იყო.

შედეგები

იმის ნაცვლად, რომ პოლონეთ-ლიტვის არმია ჯვაროსანთა დედაქალაქისკენ, მარიენბურგისკენ (მალბორკი) დაძრულიყო, მეფემ და მთავარმა ვიტოლდმა ჯარის დასვენება გადაწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელებმა მარიენბურგი ვერ აიღეს ორთვიანი ალყის შემდეგ, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ტევტონთა ორდენმა საბოლოოდ დაკარგა თავისი ძლევამოსილება, სიმდიდრე და ძალაუფლება, ასევე უამრავი ტერიტორია, რომლებიც პოლონეთსა და ლიტვას დაუბრუნდა. ტევტონთა ორდენი მალე საერთოდ გაეცალა ამ ტერიტორიებს და ამით მათი არსებობა აღმოსავლეთ ევროპაში დასრულდა.

ნიკა ხოფერია

გრიუნვალდის ბრძოლის თანამედროვე რეკონსტრუქცია

მართლმადიდებლობა ამერიკაში

ამერიკაში მართლმადიდებლობის გავრცელებას, როგორც წესი, XVIII საუკუნის მიწურულს ალასკაზე რუს მისიონერთა მოღვაწეობას უკავშირებენ, მაგრამ ბოლო დროის გამოკვლევებით ცხადი ხდება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნება „ახალ სამყაროში“ უკავშირდება ადამიანს, რომელიც თავადვე, მრავალმხრივი ღვაწლითა და სულიერი ძიების გზით მივიდა მართლმადიდებლობის მიღებამდე. ეს გახლავთ ნიუ-ჯერსელი ფილიპ ლადუელი, არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი.

ანგლოსაქსი მართლმადიდებლები

ფილიპ ლადუელი 1716 წელს დაიბადა სახელგანთქმულ ოჯახში. მისი ბაბუა კაროლინის შტატის პირველი გუბერნატორი იყო, ხოლო მამა — წმინდა უილიამისა და მერის კოლეჯის რექტორი. ფილიპის ოჯახი პლანტაციებსა და მონებს ფლობდა, დაახლოებული იყო ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, ბენჯამინ ფრანკლინი... ფილიპმა საფუძვლიანი განათლება მიიღო. იცოდა ბერძნული, ლათინური და რუსული ენები (რუსულ ენას იმდროინდელ ვირჯინიაში ბევრი ფლობდა, რადგან ქალაქს საკმაოდ აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის იმპერიასთან).

1688 წელს, როცა ინგლისელებმა მეფე ჯეიმს II სტიუარტი დაამხეს და ტახტზე უილიამ ორანელი აიყვანეს, ანგლიკან ეპისკოპოსთა ნაწილმა ახალი მეფის ერთგულების ფიცის დადებაზე უარი თქვა. ისინი განხეთქილების მონაწილეთ მიემხრნენ და შესაბამისად, ინგლისში გაბატონებულ ეკლესიას მოწყდნენ. ანგლიკანურ ეკლესიასთან კონფლიქტში მყოფმა ამ ჯგუფის წევრებმა აქტიურად დაიწყეს სულიერი მფარველისა და მოკავშირის ძიება, რამაც ისინი მართლმადიდებელ ეკლესიამდე მიიყვანა. ამგვარად დაიწყო ანგლიკანურ-მართლმადიდებლური საღვთისმეტყვე-

ლო დიალოგი. 1714-1717 წლებში ინგლისს ეწვია ალექსანდრიის საპატრიარქოს წარმომადგენელი, თებაიდის (ზემო ეგვიპტის რეგიონი ნილოსის სათავეებთან, რომელიც ქრისტიანული ბერმონაზვნობის ერთ-ერთ უძველესი კერა გახლდათ) მიტროპოლიტი არსენი. მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მიტროპოლიტთან უამრავი ადამიანი მიდიოდა მონათვლის თხოვნით, მან კი მხოლოდ რამდენიმე მათგანის მონათვლა შეძლო. ლადუელებიც სწორედ იმ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, რომლებმაც სტიუარტთა ერთგულება შეინარჩუნეს (შემდგომში მათ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამერიკის კოლონიების განმანთავისუფლებელ ბრძოლასა და შეერთებული შტატების დაფუძნებაში).

სულიერმა ძიებამ და წმინდა მამათა თხზულებების კითხვამ ფილიპი მართლმადიდებელ ეკლესიამდე მიიყვანა. ჩანაწერები მისი მონათვლის შესახებ მკვლევარმა ოლგა ცაპინამ მოიძია რუსეთის სინოდალურ არქივებში. ფილიპ ლადუელი, ამ წყაროების თანახმად, 1738 წლის დეკემბერში მოინათლა. ფილიპმა მთელი თავისი ოჯახი მოაქცია (მათ შორის, სიძე ჯონ პერადაისიც და ის მონებიც, რომლებიც მის ოჯახს ემსახურებოდნენ. ისინი პირველ შავკანიან მართლმადიდებლებად უნდა მივიჩნიოთ ამერიკაში). ფილიპ ლადუელი აქტიურად საქმიანობდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში. ინგლისურად თარგმნა იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიები, აგრეთვე მართლმადიდებლური კატეხიზმო. ფილიპ ლადუელი 1767 წლის 25 მარტს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ აღსარება მართლმადიდებელ მოძღვარს ჩაბარა და მაცხოვრის სისხლსა და ხორცს ეზიარა.

წყაროებიდან ვიგებთ, რომ მართლმადიდებლურად ცხოვრობდა მისი ქალიშვილი ლიუსი ლადუელი და ლიუსის ქმარი ჯონ პერადაისიც. ეს იმ მიმოწერიდანაც ჩანს, რომელიც მათ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის გამოჩენილ ადამიანებთან ჰქონდათ. მაგალითად, თომას ჯეფერსონი ერთ-ერთ წერილში, რომელიც მან ან ჯონ პერადაისს ან ლიუსი ლადუელს გაუგზავნა, ხერსონესის (ყირიმის) რუს მიტროპოლიტს მოიკითხავს, ხოლო ლიუსი ლადუელი თომას ჯეფერსონს თავის წერილში პატივცემული რუსი მოძღვრის, იაკოვ სმირნოვის შესახებ ესაუბრება. სხვათა



ფილიპ ლადუელი

ფილიპ ლადუელის მიერ გამოცემული მართლმადიდებლური რწმენის სწავლება



THE
ORTHODOX
CONFESSION
OF THE
CATHOLIC AND APOSTOLIC
EASTERN-CHURCH;
Faithfully TRANSLATED from the
ORIGINALS.

Meditate upon these Things, give thyself wholly to them;------

Take heed unto thyself, and unto thy Doctrine; continue in them: For in so doing thou shalt save thyself.----

1 Tim. iv. 15. & 16.

LONDON:
PRINTED A. D. MDCCLXII.

ფრედერიკ ნორთი

შორის, ფილიპ ლადუელს ახსენებს თავის წერილში რუსეთის ელჩი ბრიტანეთში სიმეონ ვორონცოვი (საქართველოს მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის მამა).

ანგლოსაქსურ სამყაროში მართლმადიდებლობაზე მოქცევის კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ვიცით, რომელიც ფრედერიკ ნორთის მოქცევას ეხება. ფრედერიკი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლორდ ნორთის შვილი იყო, მართლმადიდებლურად მოინათლა 1790 წელს ბერძნულ კუნძულ კორფუზე. აქ მან აკადემია დააარსა, შემდეგ უნივერსიტეტიც, სადაც თავადვე აქტიურად იღვწოდა.

რუსული ნაკვალევი

ამერიკაში მართლმადიდებლობის შემდგომი გავრცელება უკვე ალასკაზე მოღვაწე რუს მისიონერებს უკავშირდება. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან რუსი ვაჭრები ალასკისა და ალეუტის კუნძულების ათვისებას ცდილობენ. იმდროინდელი ექსპედიციების დროს რუსულ გე-

ფრედერიკ ნორთის სკულპტურა მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში

მებზე რუსი მღვდლებიც იყვნენ, მათ რამდენიმე ადგილობრივის მოქცევა შეძლეს. 1780 წელს გრიგორი შელიხოვმა კოდიაკის კუნძული დაიკავა და აქ დასახლებები დააარსა. 1795 წელს ეკატერინე II-ის ბრძანებით იქ მისიონერთა ჯგუფი გაემგზავრა არქიმანდრიტ იოასაფის ხელმძღვანელობით. მისიას დიდი სირთულეები შეექმნა, ადგილობრივებმა ერთერთი მისიონერი ბერი იუბენალი (რომელმაც მრავალი კოდიაკელი მონათლა) მოკლეს. რუსებმა აქ წმინდა პავლე მოციქულის სახელობის სკოლა და ბავშვთა სახლიც გახსნეს.

რუსულ საჯარო კომპანიასა და მისიონერებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. კომპანიის წარმომადგენლები ადგილობრივებს აგდებულად ექცეოდნენ, ხოლო მისიონერები აბორიგენთა მხარეს იჭერდნენ. კონფლიქტის შედეგად, კოდიაკის დასახლებაში მხოლოდ ერთი ბერი გერმანე (მომავალში ალასკის განმანათლებელი) დარჩა. გერმანეს მოგვიანებით შეუერთდა მღვდელი იოან ვენიამინოვი, რომელმაც ადგილობრივებზე დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა დაგვიტოვა, ის კოდიაკიდან სიტკის დასახლებაში გადავიდა, სადაც წყნარი ბუნების ესკიმოსებისა და ალეუტებისგან განსხვავებული, ადგილობრივი მრისხანე ტომი ცხოვრობდა. მამა იოანემ სწორედ აქ დაიწყო მისიონერობა, მოგვიანებით მას ალასკის ეპისკოპოსად ირჩევენ. ალასკის ადგილობრივი მოსახლეობის მოქცევაში უდიდესი როლი შეასრულა სახელგანთქმულმა გერმანე ალასკელმა (გარდაიცვალა 1837 წელს), განდეგილმა ბერმა, რომელიც მოგვიანებით წმინდანად შეირაცხა.

XIX საუკუნის ამერიკაში მართლმადიდებლობა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან ჩასული ემიგრანტების დამსახურებით ვრცელდებოდა. ალეუტის კუნძულებსა და ალასკაზე მართლმადიდებლობა იქადაგებოდა რუსი მღვდლების მიერ, რომლებიც აქ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოდიოდნენ. 1867 წელს რუსეთის მთავრობამ ალასკა შეერთებულ შტატებს დაუთმო. 1870 წელს დაარსდა ალასკისა და ალეუტის ეპარქია, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამერიკაში მართლმადიდებლობის გავრცელებაში დიდი წვლილი შეიტანა ალასკისა და ალეუტის ეპისკოპოსმა ტიხონმა (ბელავინი), რუსეთის მომავალმა პატრიარქმა. ამ ეპოქაში ამერიკის შეერთებულ შტატებში მართლმადიდებლობის

გრიგორი შელიხოვი

წმინდა გერმანე ალასკელი

მართლმადიდებლური ტაძარი ალასკაზე

გავრცელების მხრივ ძალიან საინტერესოა შავკანიანი მართლმადიდებელი მღვდლის, მამა რაფაელ მორგანის ისტორია. მამა რაფაელი (ერისკაცობაში რობერტ ჯონსაიეს მორგანი) იამაიკაზე დაიბადა. ადრეულ ასაკში რობერტი ბევრს მოგზაურობდა ჰონდურასში, სიერა-ლეონეში, ამერიკასა და ინგლისში. 1895 წელს იგი ამერიკაში ეპისკოპალური (ანგლიკანური) ეკლესიის დიაკვნად აკურთხეს. რობერტი სწავლობდა პროტესტანტიზმს, რომაულ კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას, რამდენიმეწლიანი ძიების, რუსეთში, კვიპროსზე, ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობის შემდეგ ის დარწმუნდა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებაში. 1907 წელს კონსტანტინოპოლში მოინათლა და მღვდლად ეკურთხა მიტროპოლიტ იოაკიმეს მიერ. მამა რაფაელს ამერიკაში წასვლისა და შავკანიან მოსახლე-

ობაში მართლმადიდებლობის ქადაგების კურთხევაც მიეცა. შავკანიან მართლმადიდებელ მოძღვარზე ბევრი მასალა არ არის შემორჩენილი. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მამა რაფაელს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა რამდენიმე ათასი აფრიკელის მართლმადიდებლად მოქცევაში უგანდაში, კენიასა და ტანზანიაში (ეს სამრევლოები ალექსანდრიის საპატრიარქოს ექვემდებარებიან).

მართლმადიდებლობის გავრცელება ამერიკაში XX საუკუნეშიც გრძელდებოდა.

1927 წლის 19 დეკემბერს ამერიკის სამიტროპოლიტომ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, მეორე მსოფლიო ომის დროს ის დაახლოებით 400 ათას მორწმუნესა და 330 სამრევლოს ითვლიდა. მისი წევრები ერთხმად აღიარებდნენ მიტროპოლიტ თეოფილეს (პაშკოვსკი) სულიერ ავტორიტეტს. თვითგამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ კონფლიქტი გამოიწვია მოსკოვის საპატრიარქოსთან, ამ უკანასკნელმა მიტროპოლიტ თეოფილესა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სასულიერო პირებს 1947 წელს მღვდელმოქმედება შეუჩერა, თუმცა 60-იან წლებში მოლაპარაკებები დაიწყო, რის შემდეგაც მოსკოვის საპატრიარქომ ამერიკის სამიტროპოლიტოს ავტოკეფალია მიანიჭა.

სერაფიმე როუზი

XX საუკუნის ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია მღვდელმონაზონ სერაფიმე როუზს (ერისკაცობაში იუჯინ როუზი). ის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში დაიბადა 1934 წელს. ახალგაზრდა იუჯინმა საუნივერსიტეტო განათლება მიატოვა და 1967 წელს დააარსა მართლმადიდებლური საძმო, რომელმაც სან-ფრანცისკოს ჩრდილოეთით მდებარე ტყეში, ქალაქ პლატინასთან ახლოს დაიდო ბინა. 1970 წელს იუჯინი თავის მეგობართან ერთად ბერად აღიკვეცა. შემდეგ მღვდლად აკურთხეს. მამა სერაფიმე ყველაფერს აკეთებდა, რათა ამერიკელებისთვის უკეთ გაეცნო მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი საუნჯე და დაეცვა მართლმადიდებლური მოძღვრება თანამედროვე სამყაროს უაღრესად მრავალფეროვან გარემოში. მისი ცნობილი ნაშრომებია: „მართლმადიდებლობა და მომავლის რელიგია“, „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის გემო“, „მართლმადიდებლური შეხედულება ევოლუციის შესახებ“, „სული სიკვდილის შემდეგ“ და სხვ. მღვდელმონაზონმა სერაფიმემ განსაკუთრებული როლი ითამაშა მართლმადიდებლური მოძღვრებისა და სწავლების დაცვისა და გავრცელების საქმეში აშშ-ში (და არა მარტო შეერთებულ შტატებში, მისი თხზულებები მრავალ ენაზე ითარგმნა და დიდი პოპუ-

მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი

ლარობით სარგებლობს მართლმადიდებელ მკითხველში).

დღეს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურია ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა ტიხონი (მოლარდი). მართლმადიდებელი ეკლესია თანამედროვე ამერიკაში ერთ-ერთ მზარდ რელიგიურ ორგანიზაციად მიიჩნევა (დაზუსტებული სტატისტიკური მონაცემები მართლმადიდებელ მორწმუნეთა რაოდენობის შესახებ არ არსებობს, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მათი რიცხვი სამ მილიონამდეა), რასაც ორი ფაქტორი განაპირობებს: აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასული ემიგრანტები (ამერიკაში ძალიან აქტიურ სამისიონერო მოღვაწეობას მისდევენ კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოები) და თავად ამერიკელთა მზარდი ინტერესი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

ზოთა მათითაშვილი

ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი ტიხონი

ბელადი ნეიროსიფილისით

ლენინის ავადმყოფობა და სიკვდილი

1918 წლის 30 აგვისტოს ლენინს თავს დაესხნენ. პასუხად ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ქვეყანაში წითელი ტერორი გამოაცხადა. ლენინი ამის თაობაზე წერდა:

„მე ვმსჯელობ საღად და კატეგორიულად: რა სჯობია, ჩავსვათ ციხეში ასობით წამქეზებელი, შეგნებული თუ შეუგნებელი, ბრალიანი თუ უბრალო, თუ დავკარგოთ ასობით მუშა და წითელარმიელი? პირველი სჯობია. დაე, დამადანაშაულონ თავისუფლების შეზღუდვაში, მე ვაღიარებ თავს დამნაშავედ, მუშების ინტერესები კი მოიგებენ“.

პროფესორმა გოტიემ, რომელმაც ლენინი ტერაქტის შემდეგ გასინჯა, პირდაპირ განუცხადა:

— თქვენ სასწრაფო მკურნალობას საჭიროებთ!

პირველი იზოლაცია

1918 წლის შემოდგომაზე რუსეთში რთული ვითარება შეიქმნა. უკრაინაში, ამიერკავკასიასა და ბელორუსიაში გერმანელები ბატონობდნენ, ციმბირში ესერულ-მენშევიკური კოალიცია დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა, ხივის სახანომ და ბუხარის საამირომ რუსეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. წითლების კონტროლირებად ტერიტორიაზე კი ხშირი იყო აჯანყებები, გამეფდა ტერორი, ძალადობა და შიმშილი.

ბოლშევიკურ პარტიაშიც რთული მდგომარეობა იყო. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ სვერდლოვისა და ზინოვიევ-კამენევის დაჯგუფებები. ამბიციები ჰქონდა ტროცკის, რომლის უკანაც იდგა რეალური ძალა — არმია. ერთგვარად განზე იდგა საიდუმლო პოლიციის (ჩეკას) შეფი ფელიქს ძერჟინსკი, რომელიც არც ერთ დაჯგუფებას არ მიეკუთვნებოდა, თუმცა უაღრესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა როგორც სვერდლოვთან, ასევე ზინოვიევ-კამენევთანაც.

— ამ სიტუაციაში ლენინი იყო ძალა, რომელიც ამ დაჯგუფებებს აწონასწორებდა და ბალანსის შენარჩუნებას განაპირობებდა, — წერს რუსი ისტორიკოსი ბორის პრიანიშნიკოვი, — ლენინის ავტორიტეტი პარტიის რიგით წევრებსა და მუშებში განუზომელი იყო. იგი იქცა ბოლშევიკური რეჟიმის დროშად, რომლის გარეშეც არც ერთ რევოლუციას არ შეუძლია არსებობა.

ლევ ტროცკის მეუღლე ნატალია სედოვა წერს, რომ ლენინის ჯანმრთელობა უკვე 1918 წლის მაისისთვის საგრძნობლად შეირყა. „ამის შესახებ ჩურჩულით ვლაპარაკობდით, —

ლენინი წითელ მოედანზე

აღნიშნავდა სედოვა, — მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ამას ერთვოდა პარტიის შიგნით გამწვავებული ვითარებაც. ლენინი კი ერთადერთი ძალა იყო, რომელიც თუნდაც მყიფე ბალანსის შენარჩუნებას განაპირობებდა“.

1918 წლის აგვისტოს ბოლოსთვის ბალანსი დაირღვა. ლენინზე თავდასხმის შემდეგ სვერდლოვი ძალაუფლების ხელში აღებას შეეცადა. მისი ბრძანებით, ლენინი სამკურნალოდ პოდმოსკოვიეში, კერძოდ გორკიში გაგზავნეს.

— ეს ლენინის პირველი იზოლაცია იყო, — განმარტავს პრიანიშნიკოვი.

სვერდლოვი კრემლის სრული ბატონ-პატრონი გახდა, რამაც შეაშფოთა როგორც ზინოვიევ-კამენევი, ისე ტროცკი. ამ უკანასკნელის ბრძანებით მოსკოვში წითელი არმიის დამატებითი ნაწილები შეიყვანეს. ამის შემდეგ სვერდლოვი მოულოდნელად გარდაიცვალა.

— ოფიციალური ცნობით, ის ტუბერკულოზმა იმსხვერპლა, თუმცა არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც სვერდლოვი მოწამლეს, — წერს სერგეი მელგუნოვი.

ამდენად, სვერდლოვი სცენიდან ჩამოვიდა. დარჩა ორი ძლიერი ძალა: ერთი ზინოვიევ-კამენევი, რომელთა უკანაც იდგა პარტიული აპარატი, და მეორე — ტროცკი. ძალები დაახლოებით თანაბარი იყო. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებისთვის ბრძოლის დაწყება თვითმკვლელობის ტოლფასი გახლდათ.

— მუშებისა და ღატაკი გლეხებისთვის, რომლებიც ბოლშევიკთა უმთავრეს მხარდამჭერებად მიიჩნეოდნენ, ლენინი ბელადი იყო. მისი სცენიდან ჩამოსვლა ბოლშევიკების მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებდა. ამიტომ მალე გორკიში ცენტრალური კომიტეტის მთელი დელეგაცია ჩავიდა და ლენინს მოსკოვში დაბრუნება სთხოვა.

თავად ლენინის ჯანმრთელობა ამ დროისთვის არცთუ სახარბიელო იყო. პროფესორ იური ლოპუხინის ცნობით, ეს იმ დიდმა ნერვიულმა დაძაბულობამ განაპირობა, რომელშიც ლენინს უწევდა ცხოვრება. ლოპუხინი ამტკიცებს, რომ ტერაქტის შედეგად მიღებულმა ჭრილობამ ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესა. პრიანიშნიკოვი ამას არ ეთანხმება.

— ლენინს სიფილისი სჭირდა, რაც მის ფსიქიკაზე ძალიან მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ჭრილობამ, რაც ტერაქტის შედეგად მიიღო, მისი ჯანმრთელობა გააუარესა. შედეგად, დაძაბულ რეჟიმში ცხოვრება ლენინს აღარ შეეძლო, — აღნიშნავს პრიანიშნიკოვი.

ამას ეთანხმება ცნობილი გერმანელი ექიმი ოტფრიდ ფიორსტერიც, რომელიც ლენინს მოგვიანებით, 1922 წლიდან მკურნალობდა. პროფესორი იური გოტიე კი პირდაპირ ამბობდა: — ვლადიმირ ილიჩს სასწრაფო დას-

ვენება სჭირდება. თუკი ის კვლავაც დაძაბულ რეჟიმში იცხოვრებს, რამდენიმე წლის შემდეგ მწყობრიდან გამოვა!

ძალაუფლება უდიდესი ცდუნებაა, განსაკუთრებით ისეთი პერსონისთვის, როგორიც ლენინი იყო. როცა გორკიში ცეკა-ს დელეგაცია ეწვია და მოსკოვში დაბრუნება სთხოვა, იგი მაშინვე დათანხმდა. ასე დასრულდა დიქტატორის პირველი იზოლაცია.

მეფური პირობები

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ევროპაში საგალალო ვითარება შეიქმნა. დამარცხებულ გერმანიაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, გააქტიურდნენ მემარცხენე ექსტრემისტები. მსგავსი სურათი იყო უნგრეთშიც. ბულგარეთში ე.წ. ვიწრო სოციალისტების (ტესნიაკების) პარტიამ თავი ლენინის მიმდევრად გამოაცხადა. მან სახელი შეიცვალა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიად გადაიქცა. მის დამაარსებელ დმიტრი ბლაგოევს სულ უფრო უჭირდა ექსტრემისტულ ფრთასთან (ლუკანოვი, გენოვი, დიმიტროვი) გამკლავება. ამ უკანასკნელებმა მოსკოვში ლენინთან დელეგაცია აფრინეს:

— ბულგარეთში იქმნება რევოლუციური სიტუაცია! თუკი დაგვეხმარებით, ბულგარეთში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდება!

ყოველივე ეს ლენინისაგან უდიდეს დატვირთვას მოითხოვდა. მისი სამუშაო დღე დილის რვა საათზე იწყებოდა და გვიან ღამემდე გრძელდებოდა. ექიმებისგან გაფრთხილებული ლენინი თავის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ძლიერ ზრუნავდა. მისი დაცვა გაძლიერდა. ლენინი ექიმთა სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ევროპიდან მისთვის სპეციალურად ჩამოჰქონდათ ძვირად ღირებული დეფიციტური წამლები. ყოველი დღის ბოლოს ექიმები გულდასმით სინჯავდნენ, უნიშნავდნენ წამლებს და სხვ. ექიმთა რჩევით, ლენინი წამლებს დროულად იღებდა, სუფთა ჰაერზე სეირნობდა და კვების რეჟიმსაც იცავდა. მართალია, რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ქვეყანა შიმშილობდა (იყო კანიბალიზმის შემთხვევებიც), მაგრამ ლენინი მაინც იცავდა კვების რეჟიმს. პრიანიშნიკოვის ცნობით, დიქტატორის მენიუ შემდეგი იყო:

1) დილით ჩაი და ხაჭოიანი თაფლი. ყავის სმა ლენინს ექიმებმა აუკრძალეს.

2) სადილი, პირველ ჯერზე ხორციანი სუპი,

ლენინი გორკიში დასვენებისას, კრუპსკაიასთან ერთად

ლენინი დიდ დროს ატარებდა შინაურ ცხოველებთან

ლენინს ავადმყოფობის გართულების შემდეგ მოძრაობა უჭირდა

მეორეზე შემწვარი წიწილა ან კურდღელი, აგრეთვე კატლეტები. დესერტად ხილი ან ნაყინი.

3) ვახშმად ჩაი, ერბო-კვერცხი, ხილი ან ნამცხვარი.

საგანგებო პერსონალი ზრუნავდა მენიუს მრავალფეროვნებაზე. ზრუნავდნენ იმაზეც, რომ ლენინის კაბინეტში სისუფთავე და სიმყუდროვე ყოფილიყო. კრემლს ელექტროენერგია განუწყვეტლივ მიეწოდებოდა. მუდამ ჰქონდა გათბობა. დიქტატორის განკარგულებაში იყო აბაზანა. უნაკლოდ იყო ორგანიზებული დაცვაც. თუკი მანამდე ლენინი მიტინგებზე გამოდიოდა და მუშებს ესაუბრებოდა (ტერაქტიც ხომ ლევ მიხელსონის ქარხნის ეზოში მოხდა მიტინგის დასრულების შემდეგ), ახლა ის დაცვის გარეშე არსად დადიოდა.

— პროლეტარიატის ბელადი მეფურ პირობებში ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ლენინს მუშაობა დაძაბულ რეჟიმში უწევდა. მისი ჯანმრთელობაც უკან-უკან მიდიოდა.

პირველი გულყრა

— ჩვენ ძალიან გვაშფოთებდა უკრაინაში შექმნილი ვითარება, კერძოდ გეტმან სკოროპადსკისა და რუსი თეთრგვარდიელების შესაძლო ალიანსის პერსპექტივა, — წერდა შემდგომში ლევ ტროცკი.

პავლო სკოროპადსკი (1877-1945) ხელისუფლებაში გერმანელმა ოკუპანტებმა მოიყვანეს. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ანტანტამ გეტმანს მოსთხოვა რუს თეთრგვარდიელებთან ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნა.

— ანტანტა ევროპაში შექმნილი ვითარებით შეშფოთებული იყო, — წერს ბრიტანელი ისტორიკოსი ჰიუ ტრევორ-როპერი, — მართლაც, ომით გაპარტახებულ ევროპაში კომუნიზმის აჩრდილი აშკარად გამოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბავარიაში, მოგვიანებით იგივე მოხდა უნგრეთშიც. წითელი დროშები აღიმართა რიგაზე, ვილნიუსზე, ტალინზე“.

სკოროპადსკი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნას ხალისით დათანხმდა, თუმცა თავისი პირობებიც წამოაყენა: ანტანტამ უკრაინის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს!

რუს თეთრგვარდიელებს ამისი გაგონებაც არ სურდათ: — უკრაინა რუსეთის შემადგენელი ნაწილია! — ამტკიცებდნენ ისინი.

სამწუხაროდ მაშინ, 1918 წლის შემოდგომაზე, ევროპამ მათ დაუჭირა მხარი. განსაკუთრებით ფრანგები აქტიურობდნენ. საფრანგეთის კონსულმა ემილ ენომ სკოროპადსკის ულტიმატუმი წაუყენა:

— ან რუსეთის შემადგენლობაში შეხვალთ, ან ბოლშევიკების დამქაშად ჩაგთვლით და საათანადოდ მოგეპყრობით!

სკოროპადსკი მაინც ჯიუტობდა. მაშინ ფრანგებმა პირობა მისცეს, რომ უკრაინას ფართო ავტონომია ებოძებოდა, შენარჩუნდებოდა გეტმანის ინსტიტუტი, დიპლომატიური წარმომადგენლობები საზღვარგარეთ, უკრაინას ეყოლებოდა არმია, მისი ეკლესიის ავტოკეფალიას რუსეთი აღიარებდა და სხვ.

— ბოლოს და ბოლოს, სკოროპადსკი დათანხმდა, — წერს რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცერი, შემდეგ კი უკრაინელი მწერალი-ისტორიკოსი ვასილი ივანისი.

ამრიგად, რუს თეთრგვარდიელთა და გეტმანის ალიანსი შედგა. ფრანგებმა რუსულ-უკრაინული არმიის მოსკოვზე ლაშქრობის დაფინანსება იკისრეს.

— მოსკოვზე ლაშქრობაში ცალკეულ გერმანულ ნაწილსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, — განმარტავს ივანისი, — რისთვისაც გერმანელებს დიდძალ ფულს შეჰპირდნენ.

წითელ მოსკოვში ეს კატასტროფად აღიქვეს. „წითელი არმია ჯერაც ფორმირების პროცესში იმყოფებოდა, — აღნიშნავდა ნატალია სედოვა, — თუკი რუსულ-უკრაინულ ნაწილებს გერმანელებიც შეუერთდებოდნენ, მოსკოვის აღებასაც შეძლებდნენ“.

ლენინი სასოწარკვეთილი იყო. ლევ ტროცკის ცნობით, მას კრუპსკაიას გარდა არავისი ნახვა არ სურდა, ერთიანად კანკალებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: რევოლუცია დაიღუპა! რევოლუცია დაიღუპა! ტრევორ-როპერი ამტკიცებს, რომ მაშინ, 1918 წლის შემოდგომაზე, ლენინს თვითმკვლელობაზე ფიქრი პირველად მოეძალა და კრუპსკაიას შხამი სთხოვა. თუმცა მალე ვითარება შეიცვალა.

— სკოროპადსკიმ მოსახლეობას მიმართა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლისკენ მოუწოდა, — მოგვითხრობს ივანისი, — ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. უკრაინაში საერთო-სახალხო ავჯანყება დაიწყო. მას სათავეში სიმონ პეტლიურა ჩაუდგა.

ლენინის სასოწარკვეთაც საპნის ბუშტივით გაქრა. უკრაინა ავჯანყდა. ეს ნიშნავს, რომ გეტმანისა და რუსი თეთრგვარდიელების ალიანსი ჩაიშალა! დაე, პეტლიურამ კიევი აიღოს და დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, სულერთია, ამ დამოუკიდებლობას არავინ აღიარებს! პეტლიურას ჯარი ხომ ავჯანყებული გლეხებისგან შედგება. პროფესიონალი სამხედროები იქ ცოტაა. ფაქტობრივად, ეს არის ჭრელი, ბობოქარი მასა, რომელიც რეგულარულ არმიას ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. წითელი არმიაც უკრაინას მარშით გაივლის, გადავა უნგრეთში, გერმანიაში და დასავლეთისკენ ტრიუმფულ სვლას განაგრძობს.

— წითელი დროშა ბერლინზე, პარიზსა და ლონდონზეც აღიმართება! — ლენინს ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა.



სტალინი ხშირად სტუმრობდა გორკიში ლენინს. იგი მკაცრად აკონტროლებდა, როგორ პირობებში იმყოფებოდა ლენინი. სტალინს ამის ნიადაგზე არაერთხელ მოსვლია კამათი ლენინის ცოლთან, ნადეჟდა კრუპსკაისთან, რაც მძიმე შეურაცხყოფამდეც მისულა

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. წითელმა არმიამ საკმაოდ მალე დაიკავა კიევი, ბელაია ცერკოვი, ვინიცა. თუმცა წარმატება მალე წარუმატებლობამ შეცვალა. კოროსტენთან პეტლიურამ წითელი არმიის შეჩერება შეძლო. ამის შემდეგ წითლების ზურგში ერთიმეორის მიყოლებით იფეთქა აჯანყებებმა. ყველაზე ძლიერი ატამან ნიკიფორ გრიგორიევის გამოსვლა იყო. შემდეგ ამას ზელიონის, ზავგოროდნის, გრებენკას, გოლუბისა თუ სხვა ატამანების აჯანყებები მოჰყვა. პეტლიურამ, რომელიც ამ ამბოხებებს კოორდინაციას უწევდა, წითლებს პარტიზანული ომი მოახვია თავს. მალე ტროცკიმ ლენინს მოახსენა, რომ უკრაინა ცეცხლის ალშია გახვეული, ზურგი მთლიანად მოგვეშალა და ევროპაში ლაშქრობაზე ფიქრიც კი ზედმეტიაო. ლენინი ერთხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ წაიჩურჩულა:

— ოჰ, პეტლიურა, პეტლიურა! შენ კაპიტალიზმი გადაარჩინე. კაცობრიობაც დაგწყევლის!

დიქტატორი წამოდგა, სურდა, კედელზე გაკრულ რუკასთან მისულიყო. უეცრად ფეხი მოეცელა და გულწასული, იატაკზე დაეცა.

ტრევორ-როპერი აღნიშნავს, რომ ლენინზე უკანასკნელი დღეების დაძაბულობამ იმოქმედა. პროფესორი გოტიე კი ამბობს:

— ლენინი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეით სულდგმულობდა, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. ამან ძალიან იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე, რომელიც დაავადების შედეგად ისედაც ძლიერ იყო შერყეული! პეტლიურას გამოისობით პროლეტარული რევოლუცია ევროპაში, რაც ასე რეალური ჩანდა, ჩაიშალა. ლენინისთვის ეს ნამდვილი შოკი იყო და პირველად ცხოვრებაში, გული წაუვიდა.

დიქტატორი გონს მოიყვანეს. ექიმები კვლავ არწმუნებდნენ: თუკი ასეთ რიტმში ცხოვრებას განაგრძობთ, რამდენიმე წლის შემდეგ მწყობრიდან გამოხვალთო. ლენინს არაფრის გაგონება არ სურდა.

ლენინი ავადმყოფობის ბოლო სტადიაში

მეორე იზოლაცია

1920 წლის ბოლოს ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. მართალია, სამოქალაქო ომში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, მაგრამ რუსეთი მთლიანად იყო გაპარტახებული. ლენინიც იძულებული გახდა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (НЭП) დაეშვა. მართალია, ეს მის იდეებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

— ლენინი რევოლუციისთვის იყო შექმნილი, — წერს ფრანგი მწერალი პოლ მორანი, — მშვიდობიანი აღმშენებლობისა კი არაფერი გაეგებოდა. ამიტომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამან სიფილისით მორყეულ მის ჯანმრთელობაზე ძლიერ იმოქმედა.

1922 წელს ლენინი პარტიის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა. უკანასკნელად საჯარო მოსსოვეტის პლენუმზე გამოვიდა (1922 წლის ნოემბერს). დეკემბერში კი მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ექიმების პროგნოზი გამართლდა. ის სამუდამოდ გამოვიდა მწყობრიდან. „ნეიროსიფილისი“ — ასეთი გახლდათ ექიმების დიაგნოზი.

ლენინს აღარც ლაპარაკი შეეძლო და

აღარც სიარული. დიქტატორის სამკურნალოდ გერმანიიდან საუკეთესო ექიმები მოიწვიეს. ფიორსტერიც მათ შორის იყო. ის სიკვდილამდე ლენინის პირადი ექიმი გახლდათ. მისი დასკვნა კატეგორიული იყო: ავადმყოფს სიმშვიდე და მოსვენება სჭირდებოდა. ლენინის უახლოესი გარემოცვა ამ ცნობას აუღელვებლად შეხვდა.

— სამოქალაქო ომი ბოლშევიკთა გამარჯვებით დასრულდა, — წერს ბრიტანელი დიპლომატი, საიდუმლო აგენტი, ჟურნალისტი და მწერალი რობერტ ბრიუს ლოკჰარტი, — ევროპას თავისი პრობლემები ჰქონდა და რუსეთისთვის არ ეცალა, ლენინის გარემოცვამაც პოსტლენინურ ხანაზე ფიქრი დაიწყო.

1923 წლის მაისში ლენინი კვლავ გორკიში გაგზავნეს. აქ ის სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა. შემდგომში ლევ ტროცკი დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს სტალინის გამოისობით მოხდა, რაც არ არის სწორი.

— რუსეთს აღარაფერი ემუქრებოდა, ამიტომ ბელადის საავარძლისთვის ბრძოლა დაიწყო, — წერს ტრევორ-როპერი, — ავადმყოფი ლენინის იზოლაციაც მთელი ბოლშევიკური ზედაფენის ინტერესებში შედიოდა, ამიტომ ამას მხარი დაუჭირა როგორც სტალინმა, ასევე ტროცკიმ, ზინოვიევ-კამენევმა და სხვებმა.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი მისმა თანამებრძოლებმა იზოლაციაში მეორედ მოაქციეს.

აღსასრული

ექიმმა ფიორსტერმა თავისი საქმე ჩინებულად იცოდა. ლენინს მეტყველების უნარი დაუბრუნდა, თუმცა სიარული სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო. მარჯვენა ხელსაც ვერ ხმარობდა. თავდაპირველად ცდილობდა მარცხენა ხელით დაეწერა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

— ლენინის უკანასკნელი შრომები („წერილი ყრილობას“ და სხვ.) დაწერილი კი არა, ნაკარნახევია. მან ის თავის პირად მდივანს უკარნახა, — აღნიშნავს ტრევორ-როპერი.

ამ მდგომარეობას ლენინი ძალიან განიცდიდა და თვითმკვლელობაზე ფიქრი კვლავ მოეძალა. ლევ ტროცკი წერს, რომ ლენინმა რამდენჯერმე სთხოვა შხამი, მაგრამ უარი მიიღო. ტროცკი ამტკიცებს, რომ ლენინმა ამგვარი თხოვნით სტალინსაც მიმართა და ამ უკანასკნელმა სურვილი შეუსრულა. უცხოელი ექიმები, რომლებიც წითელ დიქტატორს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მკურნალობდნენ, ამას არ ადასტურებენ. „ლენინის სიკვდილის მიზეზი გახდა ავადმყოფობა და არა შხამი“, — ერთხმად ამტკიცებენ ისინი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლენინს ფიორსტერთან ერთად გერმანელი პროფესორი მაქს ნონეც მკურნალობდა. ის მთელ ევროპაში ნეიროსიფილისის დარგში საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა, მაგრამ ლენინის ხსნა უკვე აღარაფერს შეეძლო. 1924 წლის 21 იანვარს ის გარდაიცვალა.

— ლენინის კულტი უკვე მის სიცოცხლეშივე ინერგებოდა, — წერს ტრევორ-როპერი, — სიკვდილის შემდეგ მას მავზოლეუმი აუგეს. ლენინი რუსეთის პირველი ლიდერია, რომელიც არ დაუმარხავთ“.

დიქტატორი დღემდე დაუმარხავია.

ნიკა თევზაძე,
ისტორიის დოქტორი

თეკლა ბატონიშვილის სასახლის ისტორიები

თბილისის ისტორიულ ნაწილში დროთა ქარტეხილს გადარჩენილი ბევრი სახლია, საიდანაც კვლავ გაისმის ბავშვების ჟივილ-ხივილი, როგორც საუკუნე-ნახევრის წინ. ძველი ქალაქის ამბებსა თუ ამ სახლების ურბანულ „თავგადასავლებს“, ხანდახან მხოლოდ ჭორივით რომ მოივლის ვიწრო ქუჩებს, საღებავგადაცლილ სადარბაზოებსა და უბნებს, ყოველდღიურად ემატება ახალი ისტორიები. თუმცა არსებობს შენობები, რომლის კედლებს მიღმაც მეფურ ცხოვრებას ტრაგიკული ამბები ენაცვლებოდა. დღეს ეს სახლები თითქოს ისეა სავსე წარსულით, რომ აღარც შესწევთ ძალა, ახალ ბინადართა ყოფა დაიტიონ. ამიტომაც დგანან მდუმარედ, ჩარაზულები და გამოკეტილები. დაბზარული კედლები და ხავსმოკიდებული ჩუქურთმები ხანდახან გვიჩენენ შეგრძნებას, რომ ყველაზე საინტერესო ამბები, რაც კი შეიძლებოდა ამ სახლებში მომხდარიყო, უკვე მოხდა... ასეთია თეკლა ბატონიშვილის სასახლეც, ერეკლეს მოედნის ათ ნომერში.

თეკლა ბატონიშვილის სასახლე

ერეკლე II-ის ქალიშვილის სახლს საცნობარო დაფაც არა აქვს

საპატრიარქოს ბაღის სიახლოვეს მდგარი სასახლე ერეკლე მეორეს უჩუქებია უმცროსი ქალიშვილისთვის. ამ სახლში იკრიბებოდნენ რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონთა შთამომავლები და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ქალები: ერეკლე მეფის შვილიშვილი, თამარ ბატონიშვილი — შეთქმულთა შტაბის ორგანიზატორი და ინფორმატორი; თეკლას და, ქეთევან ბატონიშვილი; დიმიტრი და ელიზბარ ერისთავების და მელანია შანშეს ასული ერისთავი; სალომე ბატონიშვილი, 1804 წლის მთიულეთის დიდი ამბოხების გმირის, ფარნაოზის ასული; თეკლა ბატონიშვილის რძალი, ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილი, ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე, რომელსაც ამბოხებისთვის საგანგებო დროშის დამზადება მიანდეს და რაღა თქმა უნდა, მანანა ორბელიანი, მაშინდელი არისტოკრატიული საზოგადოების „მადამ რეკამიე“ (როგორც მას იონა მეუნარგია უწოდებდა), ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი მეგობარი და მისი ცნობილი წერილის ადრესატი.

უმცროსი ქალიშვილი თეკლა გამორჩეულად ყვარებია ერეკლე მეორეს, ხშირად დაჰყავდა თან მოგზაურობასა და ლაშქრობებში. თეკლა მკვირცხლი, თამამი გოგო ყოფილა. კარგ მონადირესა და მოჯირითეს, მამა თექვსმეტ წლამდე ბიჭის სამოსით ატარებდა და თეკლაბიჭს ეძახდა თურმე. მეფისთვის თითქოსდა შეუფერებელი, ქალიშვილისადმი გულჩვილი

და სათუთი დამოკიდებულება ჩანს თეკლასადმი მიწერილ წერილში, რომელიც ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება და ხუმრობით მეფის სახელმწიფო ბეჭდები აქვს დასმული:

„თეკლა ბიჭსა!

„ქალბატონ თეკლას, მამისა და დედის სიხარულს. მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ და ღვთისმშობელისა მიერ. დიდისა მოწამისა ევსტაფის საკვირველმოქმედებისაგან სამარადისოდ გამრავლდეს მას ზედა.

თეკლავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისგანაც შენც იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მეამებოდა და მაამებდა, მაგრამ უცხოის ოსტატობით და მდივნობით იყო გარჯილობა, უფრო რომ არაბულის ხელს მიგემსგავსებინა. მეტი სიღრმისგან ვეღარ ამოვიკითხეთ და ვერც არა შევიტყვეთ.

შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემ მაგივრად დედაშენმა გაკოცოს. კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ, ღვთით, კიდევ ბევრ შაქარყინულს და შაქარს გამოგიგზავნი და თუ ღვთის ნებაც იქნება, ჩვენც წამოვალთ“.

უკვე მოხუცი თეკლა ბატონიშვილი შეთქმულების აქტიური მონაწილე ყოფილა. დიდ სიფრთხილესაც იჩენდა, მაგრამ რუსებმა არც მხცოვანი მეფის ასული დაინდეს და თავის შვილებთან ერთად, კალუგაში უკრეს თავი. 1837 წელს პეტერბურგის ქართველთა საზოგადოების არაერთგზისი თხოვნის შემდეგ, ნიკოლოზ I-მა მოხუც თეკლას საქართველოში დაბრუნების ნება მისცა.

ამ სახლში გაიზარდნენ თეკლა ბატონიშვილის ვაჟიშვილები — დიმიტრი, ელიზბარ და ალექსანდრე ორბელიანები. ალექსანდრე ორბელიანი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი იყო. ისიც 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორობის გამო დააპატიმრეს და ორენბურგში გადაასახლეს. 1840 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება: ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც ჟურნალი „ცისკარი“ აღადგინა, იქვე აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს, ზრუნავდა ქართული თეატრის აღორძინებისა და სკოლების გახსნისთვის.

თეკლას სასახლე საინტერესო ნაგებობაა მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისითაც, აქვს მომრგვალებული ფორმა და თბილისური სახლებისთვის დამახასიათებელი, ორნამენტებით მორთული ხის აივანი აკრავს გარს. ერთი მხარე საპატრიარქოს ბაღს გადაჰყურებს, მეორე კი ამავე ბაღში მდებარე კარის წმინდა გიორგის ეკლესიისკენაა მიმართული.

ერეკლე მეფის ნაჩუქარი სასახლე 1804 წლის 22 აგვისტოს ჩამოართვეს ბატონიშვილებს, ქართული სამეფო სახლის მამულები სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით ხაზინას გადასცეს. ბაგრატიონთა სასახლეები რუსმა მოხელეებმა დაიკავეს, გამოსახლებული მეფის შთამომავლები კი უსაზღვრო მატერიალური გაჭირვებისთვის იყვნენ განწირული.

უცნაური ბედი ერგო თეკლას სასახლეს. შენობას დღემდე ამჩნევია გამოსახლებათა დამთრგუნველი და შეურაცხმყოფელი ტკივილის კვალი.

სახლში კარგა ხანს მარქარიანები ცხოვრობდნენ, მერე მხატვართა კავშირმა დაიკავა: მხატვარ იდა თვარაძესა და მოქანდაკე ჯემალ ბჟალავას გადასცეს სახელოსნოებად. ორივე მხატვრისთვის ეს სახლი სახელოსნოებსაც წარმოადგენდა და ერთადერთ საცხოვრებელსაც. მალევე კულტურის სამინისტრომ სახლი თვითნებურად მიისაკუთრა და მხატვრები იძულებით გამოასახლეს, აქ კი კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი უწყების სამმართველოს ოფისი განათავსეს. ჯემალ ბჟალავა ამ პერიოდში, ოჯახთან ერთად, ერთი ნაქირავები ბინიდან მეორეში გადადიოდა. იდა თვარაძეს კი საპატრიარქოს-

თეკლა ბატონიშვილი

იდა თვარაძე. „ავტოპორტრეტი“

მხატვარი იდა თვარაძე. გოგა ჩანადირის ფოტო

თან ახლოს მიუჩინეს ადგილი სახელოსნოდ გამოყოფილ უბადრუკ სხვენში, სადაც არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდა.

იდას შესახებ პოეტ ირაკლი კაკაბაძისგან შევიტყვე. ერთხელ იდას ნახატის, „გატეხილი ვაზის“ ფოტორეპროდუქცია მაჩვენა. ძველებურ სკამზე მაქმანებიანი ტილოა გადაფარებული, რომელზეც გატეხილი ლარნაკი დევს, ყვავილებით. იქვეა ყვავილებში თავჩარგული შემოქმედი, რომელიც ფერებსა და სურნელებას ისე გაუტაცია, რომ ვერ ამჩნევს გატეხილ ლარნაკს, ვერც იმას, ლარნაკიდან რომ წყლის წვეთები მოედინება, ან შესაძლოა არ უნდა, სხვა რამ დაინახოს, იმდენად გაუტაცია ყვავილთა სუნთქვას... მას მერე სულ მპირდებოდა ირაკლი, რომ იდას გამაცნობდა, მაგრამ ვერ მოვასწარით...

ახლაც უამრავ რამეს იხსენებს:

„ბავშვობაში აკოფიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი, მეზობლები ვიყავით. იდა ჩვენი სახლის სხვენში ცხოვრობდა (ეს ის დრო იყო, როცა სახელოსნოდან გამოაძევეს), ლექსებსაც წერდა. სტუმრად რომ მივდიოდი, მთხოვდა, ხმამაღლა წამეკითხა, მერე ჩემს ახალ ლექსებსაც მაკითხებდა. თავდაპირველად, სკოლაში კარგა ხანს არ ლაპარაკობდა თურმე. მერე თვითონ ასე ხსნიდა ამას: სამყარო ისეთი დიდი საოცრება იყო ჩემთვის, სიტყვებს არ მივიჩნევდი გადმოცემისთვის საჭირო საშუალებადო.

ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა მხატვარ-რესტავრატორად, სამსახურიდან საპატრიარქოსთან თანამშრომლობის გამო დაითხოვეს. საპატრიარქოში ქალბატონმა იდამ საეკლესიო ნივთების აღნუსხვა დაიწყო და ბიბლიოთეკისა და არქივის შექმნას შეუდგა.

საპატრიარქოს მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი დღეს იდას დამსახურებაა. უფრო ადრე კი, სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, სვეტიცხოვლისა და გელათის მქრქალი ფრესკების აღდგენა-რესტავრაციაზე მუშაობდა.

გულის ორი, უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, მერე პატრიარქის დახმარებით ისევ დააბრუნეს თეკლას სასახლეში გამოყოფილ სახელოსნოში, თუმცა მუდმივად გამოძევების შიშით ათენ-აღამებდა. მის სუსტ, ხელოვნურ გულზე ყოფითმა, დაუსრულებელმა პრობლემებმა მომაკვდინებლად იმოქმედა. იდასადმი მიძღვნილ ნაირა გელაშვილის სტრიქონებშიც კი გამოკრთა საცხოვრებლის ტრაგედია, რომელიც მხატვრის ბედისწერად იქცა: „მისი გული ორჯერ გაიჭრა, / რადგან ძალიან უჭირდა ფეთქვა, / ახლა ექიმებმა თქვეს: მესამე ოპერაციაც გარდუვალიაო, / და ეხვეწება იდა თვარაძე თავის მკვდარ დედას — / გამოუგზავნოს ფული, საღებავები, შეშა და კულტურის მინისტრი, / რომელიც დაჰპირდა ამდენი ხანია / ცივი სახლიდან თბილ სახლში გადაგიყვანთო“...

„ავტოპორტრეტი“, „გატეხილი ვაზა“, „ვიოლინო“, „ნუ გეშინია“, „ჯვარცმა“, „ყვავილები წვიმაში“ — ეს იდა თვარაძის ნახატების მცირე ჩამონათვალია, მისი ფერწერული ტილოების დიდი ნაწილი საპატრიარქოში ინახება. წმინდა ილია მართლის ხატები სიონსა და პალესტინის მონასტერშია, წმინდა იობის ხატი მეტეხში ინახება, იდას დაწერილი ღვთისმშობლის ხატის ხილვა კი შავნაბადას მონასტერში შეგიძლიათ. მასვე ეკუთვნის ქანდაკებები: „გარდაცვალება“, „კაბადოკიელი“, „პეტრე“.

იდა 2006 წელს გარდაიცვალა, მისმა ნაოპერაციებმა გულმა ვერ გაუძლო საცხოვრებლიდან გამოძევების გამუდმებულ შიშს. საცხოვრებლისა და სახელოსნოს დაუსრულებელი ძებნით დაღლილი მოქანდაკე ჯემალ ბჟალავა კი საფრანგეთში გადასახლდა ოჯახთან ერთად და დღემდე იქ ცხოვრობს. იცნობენ ჯოტი ბჟალავას სახელით. ამ სახელისა და გვარის აკრეფისას ინტერნეტში უამრავ ცნობას იპოვით ფრანგულად მისი ექსპოზიციების შესახებ სა-

ჯოტი (ჯემალ) ბჟალავას სკულპტურული ნამუშევრები ტაშბრეს (Tinchebray) ბიენალეზე, საფრანგეთში. 2010 წ.

მოქანდაკე ჯემალ ბჟალავა



თეკლა ბატონიშვილის სასახლის ფრაგმენტი
ავტორის ფოტოები

სიონის ტაძრის ეზოში, მარმარილოს თეთრი ჯვარი ჯემალ ბჟალავას ნამუშევარია

ერთაშორისო გამოფენებსა თუ სხვადასხვა სამხატვრო გალერეაში. ლადო გუდიაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან მეგობრობდა. მასაც და იდა თვარაძესაც ნახატებსა და ქანდაკებებში რელიგიური თემატიკის სიჭარბის გამო სდევნიდნენ. 70-იან წლებში სნოს ხეობაში, საქართველო-თურქეთის საზღვართან მდებარე კლდეზე წმინდა გიორგის რელიეფური ფიგურის ამოკვეთას შეუდგა, მაგრამ სამუშაო არ დაასრულებინეს. ყაზბეგის კლდეებზეა ამოკვეთილი მისი რელიეფური ქანდაკებები: „თამარის სახე“, „დაბადება“, „ამირანი“. მისი ქვაში ნაკვეთი ქანდაკებები დიდხანს ეყარა ხევებში. ზოგი მათგანი ყაზბეგელებმა გადაარჩინეს, ზოგიც დაიკარგა. სკულპტურები „არქაული მოტივი“, „თუთას პორტრეტი“, „ადამი და ევა“, „პიეტა“, „ირმები მზის სხივებში“ ჯემალ ბჟალავას ეკუთვნის. სიონის ტაძრის ეზოში, მარმარილოს თეთრი ჯვარიც მისი ნამუშევარია.

თეკლა ბატონიშვილის ისტორიული სასახლე და მხატვრების ძველი სახელოსნო ამჯერად ჩარაზულია, დაცვა უყენია და ამბობენ, რომ კულტურის სამინისტრომ გაყიდა. ოღონდ ვის მიჰყიდა და რისი განთავსებაა აქ დაგეგმილი სამომავლოდ, ჯერ გაურკვეველია. რაც უნდა მოეწყოს ამ შენობაში, ასეთი ამბების მომსწრე სახლს საცნობარო დაფა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ გამვლელ-გამომვლელისთვის ცხადი გახდეს ამ უნიკალური შენობის მნიშვნელობა. საერთოდ კი, ძველ თბილისში — ქალაქ-მუზეუმში, მსგავს დაფებს იშვიათად შეხვდებით. ვერაფერს გაიგებ შენთვის საინტერესო ნაგებობის შესახებ, თუ არქივებსა და შესაბამის ლიტერატურაში არ მოიძიე საჭირო ინფორმაცია.

ჩემი სახლი იფნის ჩრდილია,
მეზობელია თავად იფანი,
ჩემო სიცოცხლევ, ისე მიდიხარ,
ვერც შემოგხედე, ვერც გაგიცანი,
ჩემო რიჟრაჟო,
შუადღევ ჩემო, როგორ მინდიხარ,
არადა უკვე, უკვე ბინდი ხარ!
ჩემი სახლი იფნის ჩრდილია,
მეზობელია თავად იფანი.

ეს ქალბატონი იდას ლექსია. იფანი ისევ ისე შრიალებს და მწვანე საბურველში ხვევს ბაგრატიონისეულ ძველ სასახლესა და მხატვრების ყოფილ სახელოსნოს.

თამარ ნერგაძე

1934
წლიდან!
ყველა დროის
საყვარელი
სპორტული გაზეთი

ბანქო
– პიპბიბლიური ჯიდობანი

ბანქოს მრავალფეროვანი თამაშობანი, თავიანთი რთული ლოგიკით, აღმასვლისა და დაცემის მონაცვლეობით, უიღბლობითა და გამართლებით, რთულსა და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებას იმეორებენ. სწორედ ეს ქმნის აზარტის მომნუსხველ ძალას, რაც ყველა დროს და ყველა ხალხში იპყრობდა წარჩინებულთა თუ მდაბიოთა სულებს. ამ კუთხით მასთან ახლოსაც ვერ მივა ვერც ჭადრაკი, ვერც დომინო და ვერც სხვა რომელიმე სათამაშო სახეობა.

XV საუკუნის იტალიური თეფში, რომელზეც ბანქოს მოთამაშეებია დახატული

ბანქო, ანუ სათამაშო ქაღალდი, იგივე კარტი, დღეს მთელ მსოფლიოშია პოპულარული, მაგრამ როდის გაჩნდა ის, ზუსტად არავინ უწყის. შუა საუკუნეების ზოგიერთი თეოლოგი მას „ეშმაკისეულს“ უწოდებდა, რომელიც სატანამ კაცთა საცდუნებლად შექმნა. სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ იგი უფრო ღვთიური წარმოშობისა იყო, რადგან მისნობასა და სხვადასხვა მაგიურ რიტუალში, „უფლის ნების გამოსაცნობად“ გამოიყენებოდა. ვისაც კი ერთხელ მაინც სჭერია ხელში ბანქოს დასტა, ალბათ იმითაც დაინტერესებულა, რა იცის მისი წარმოშობის შესახებ ისტორიამ და რისი სიმბოლოებია ბარათებზე გამოსახული ნახატები.

ახლავე ვიტყვით, რომ ამ თემაზე არაერთი კვლევა და ვერსია არსებობს, ოღონდ ამჯერად ბანქოს მისტიკურ მხარეს განგებ აუვლით გვერდს და მასზე მხოლოდ ისტორიული თვალთახედვით გიამბობთ.

საშობლო და შემქმნელები

ბანქოს დაბადება, ერთ-ერთი ვერსიით, დამწერლობის, ანგარიშისა და კალენდრის შემქმნელ ძველეგვიპტურ ღვთაება თოტს უკავშირდება, რომელიც სწორედ მისი მეშვეობით გადასცემდა ადამიანებს სამყაროს ოთხი სტიქიის — ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მიწის შესახებ ცოდნას.

გაცილებით გვიან, უკვე შუა საუკუნეებში, ებრაელმა კაბალისტებმა (ეზოთერული მიმდინარეობა იუდაიზმში, გაჩნდა XII ს.) დახვეწეს ეს ძველი გადმოცემა. მათი სწავლებით, ბანქოს ფერები (ანუ მასტები) სტიქიის სულების ოთხ კლასს აღნიშნავს: აგური — ცეცხლის სულებს, სალამანდრებს; გული — ჰაერის სტიქიის მბრძანებელ სილფებს; ჯვარი — წყლის სულებს, ანუ უნდინებს; ხოლო ყვავი — მიწისქვეშეთის მეუფე გნომებს.

შუა საუკუნეების სხვა მისტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ბანქო ადამიანის ბუნების ოთხსახოვნებას გამოხატავს: გული — სიყვარულს, ჯვარი — ცოდნისადმი სწრაფვას, აგური — ფულის სიყვარულს, ხოლო ყვავი — სიკვდილს.

თუმცა ბანქოს წარმოშობის შედარებით სარწმუნო ვარიანტებად ორი ვერსია ჩანს. პირველის თანახმად, ის ინდოელმა ბრამინებმა დაახლოებით ჩვენს ერამდე 800 წელს შექმნეს. სხვა ვერსია კი გვამცნობს, რომ ბანქო VIII საუკუნის ჩინეთში, ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდში დაიბადა და შემდეგ აზიაში გავრცელდა.

ევროპაში ბანქოს შემოსვლის ზუსტი დრო დაუდგენელია, მაგრამ ისტორიკოსთა ნაწილი თანხმდება, რომ ბებერ კონტინენტზე ის ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილეებმა XI-XIII საუკუნეებში შემოიტანეს.

სხვა ვერსიით, აზარტული თამაშის ეს ნაირსახეობა ევროპაში X საუკუნეში, იტალიაში შეჭრილმა სარაცინებმა შეიტანეს (ანუ სარკინოზებმა — ასე უწოდებდნენ მაშინ არაბებს, ან ზოგადად, ყველა მუსლიმს). ამ ვერსიას ბანქოს შესახებ ერთ-ერთი უძველესი დოკუმენტი ამყარებს, რომელიც 1379 წლით თარიღდება. „ბანქოს თამაში სარაცინის ქვეყნიდან შემოვიდა, სადაც მას ნაიბს უწოდებენ“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ევროპაში ბანქო სწრაფად გავრცელდა და ეს გასართობი აზარტულ თამაშებში წამყვანიც გახდა. ეკლესია და ხელისუფალნი აკრძალვის მიზნით საკმაოდ მკაცრ ზომებს არცთუ იშვიათად მიმართავდნენ.

1254 წელს მეფე ლუი IX წმინდამ გამოსცა კანონი, რომელიც ბანქოს თამაშში შემჩნეულთა გაროზგვით დასჯას ითვალისწინებდა

ცნობილია, რომ 1254 წელს საფრანგეთის მეფე ლუი IX წმინდამ გამოსცა კანონი, რომელიც ბანქოს თამაშში შემჩნეულთა გაროზგვით დასჯას ითვალისწინებდა.

XV საუკუნის ევროპული ბანქოს ბარათის ნიმუში



XV საუკუნის ბანქოს ბარათები ესპანეთში

ევროპულად მოხატული

სარკინოზებისგან ნასესხები თამაში ევროპაში საკმაოდ შეიცვალა. ყურანი მორწმუნეებს ადამიანის გამოსახულების ხატვას უკრძალავდა და მათ ბანქოს ქაღალდზე მხოლოდ ციფრები ეწერა. ევროპაში კი ბანქოზე მეფეების, დედოფლებისა და რაინდების გამოსახვას თავდაპირველად საფრანგეთში მიჰყვეს ხელი. დაუზუსტებელი ვერსიით, პირველად ბანქოს ბარათები არცთუ დიდად ცნობილმა მხატვარმა ჟაკმენ გრეგონერმა კარლოს VI-ისთვის (XIII-XIV სს.) საგანგებოდ მოხატა.

ბიბლიური იაკობის ცოლი რაქელი — აგურის მასტის ქალი

ცნობილია, რომ ევროპული ბანქოს, ტაროს ყველაზე ადრეული და ცნობილი დასტა XIV საუკუნის იტალიაში, კერძოდ, ლომბარდიაში დამზადდა. მასში ოთხი მასტი იყო: ფიალის, ხმლის, ფულისა და კვერთხის გამოსახულებით. თითოეული მასტი ათი ციფრიანი და ოთხი ნახატიანი ბარათისგან შედგებოდა — მეფის, დედოფლის, რაინდისა და საჭურველთმტვირთველის. ამ 56 ბარათის გარდა, დასტაში კიდევ 22 კოზირის ბარათი იყო 0-იდან 21-მდე ციფრებით და თითოეულს თავისი დასახელება ჰქონდა: ჯადოქარი, იმპერატორი, იმპერატრიცა, ჯალათი, ეტლი, სასამართლო, ბედი, ძალა, სიკვდილი, ეშმაკი, სასტუმრო, ვარსკვლავი, მზე, მთვარე და სხვ.

ევროპაში ბანქოს თამაშობათა პოპულარობის ზრდასთან ერთად, ტაროს დასტიდან ნელ-ნელა გაქრა კოზირებისა და რაინდთა გამოსახულებიანი ბარათები. თუმცა დარჩა მასხარა, რომელმაც ჩვენამდე ჯოკერის სახელით მოაღწია. სრული დასტები მხოლოდ სამკითხაოდ შემორჩა.

დასტაში ბარათების კლებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში — აზარტის გამიჯვნა ოკულტიზმისა და მაგიის სამყაროსგან. ამასთან, დიდი რაოდენობის ბარათებით

ფრანკთა მეფე კარლოს დიდი — გულის მასტის მეფე

თამაშის წესების დამახსოვრება იოლი არ იყო. თანაც საბეჭდი დანადგარის გამოგონებამდე ბანქოს ბარათებს ხელით ამზადებდნენ, რაც მის მაღალ ფასსაც განაპირობებდა. სწორედ გაიაფების მიზნით, დასტა ამჟამინდელ 52 ბარათამდე შეთხელდა.

რაც შეეხება მასტების მნიშვნელობას, იტალიურ სისტემაში ყვავი მახვილი იყო, ჯვარი — კვერთხი, გული — თასი, ხოლო აგური — მონეტა.

მოგვიანებით გავრცელდა შვეიცარიული ვარიანტი — რკოთი, ვარდით, ფოთლებითა და გერბიანი ფარის გამოსახულებით. მსგავსი იყო გერმანული — რკოებით, ფოთლებით, გულებითა და ზარებით. და, რა თქმა უნდა, იყო ფრანგული: ჯვრით, შუბით (ყვავი), გულითა და აგურით. ყველაზე „გამძლე“ სწორედ მასტების ფრანგული სისტემა გამოდგა, რომელმაც ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) შემდეგ ბანქოდან განდევნა კიდეც სხვა სიმბოლიკა და დღეს ყველგან ის გამოიყენება.

გვირგვინოსნები და რაინდები

შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში არაერთი მხატვარი შეეცადა ბანქოს სიმბოლიკის გამრავალფეროვნებას. დროდადრო ჩნდებოდა დასტები, რომლებშიც ოთხი მასტი ცხოველების, მცენარეების, ფრინველების, თევზების ანდა საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებებით იყო წარმოდგენილი.

ერთხანს საფრანგეთში გაჩნდა მშვიდობის, თანასწორობის, ძმობისა და ჯანმრთელობის გამომხატველი ალეგორიული ფიგურებიც, მოგვიანებით კი სოციალიზმის მქადაგებლებმა ბანქოს მასტები სულაც პრეზიდენტების, კომისრების, მეწარმეებისა და მუშების გამოსახულებებით შეცვალეს.

რაც შეეხება ფიგურებს ბანქოს ბარათებზე, აქ საქმე სხვაგვარად იყო. მაგალითად, ბანქოს მეფეები იმ ლეგენდარულ გმირ-მმართველებს განასახიერებდნენ, რომლებიც შუა საუკუნეების ევროპელებს აღაფრთოვანებდნენ: ფრანკთა მეფე კარლოს დიდი — გულის მასტის მეფეს, ბიბლიური მეფე დავითი — ყვავის მასტის მეფეს, იულიუს კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი კი, შესაბამისად, აგურისა და ჯვრის მასტის მეფეებად იყვნენ წარმოდგენილი.

რაინდი ოჟე დანიელი (ოგიერ, ჰოლგერ) — ყვავის მასტის ვალეტი

ძველბერძნული ქალღმერთი ათენა პალადა — ყვავის მასტის ქალი

მართალია, ზოგიერთ დასტაში გულის მეფე მონაცვლეობით ხან კონსტანტინე დიდი და ხანაც ვიქტორ ჰიუგო ყოფილა, მაგრამ საბოლოოდ, გულის მეფის ტიტულისთვის „ბრძოლაში“ გამარჯვება მაინც კარლოს დიდს დარჩა.

კარლოს დიდი ბანქოს თანამედროვე ბარათებზეც იმავე სახითაა შემორჩენილი — ბრძნული გამომეტყველებით, მდიდრული ბეწვიანი მანტიითა და მარცხენა ხელში მახვილით — მამაცობისა და ძალაუფლების სიმბოლოთი.

ბანქოს ქაღალდზე იუდეველთა ლეგენდარული მეფე დავითის გამოსახულებას, მისი მუსიკალური ნიჭის ხაზგასასმელად, ოდითგან არფა ამშვენებდა, თუმცა ერთხანს საფრანგეთში „ყვავის მეფობა“ ხელთ ნაპოლეონ ბონაპარტმა იგდო, პრუსიაში კი — ჰერცოგმა ველინგტონმა. მოგვიანებით სამართლიანობა აღდგა და ბანქოს სამეფოში ყვავის მასტის „ტახტი“ კვლავ მეფე დავითმა დაიბრუნა.

მართალია, იულიუს კეისარი არასდროს ყოფილა მეფე, მაგრამ ის მაინც აღმოჩნდა გვირგვინოსანთა შორის. როგორც წესი, მას პროფილში ხატავდნენ, ზოგიერთ იტალიურ და ფრანგულ დასტაში კი ხელაღმართულს გამოსახავდნენ — თითქოს რაღაცის დაუფლებას ეშურებოდა. ეს შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აგურის მასტი, ტრადიციულად, ფულსა და სიმდიდრესთან იყო გაიგივებული.

ალექსანდრე მაკედონელს, ერთადერთს ბანქოს მეფეთაგან, ხელთ ძალაუფლების სიმბოლო, სკიპტრა ეპყრა. თუმცა თანამედროვე ბანქოს ბარათებზე ის ხშირად მახვილითაა

იულიუს კეისარი მეფე არ ყოფილა, მაგრამ მაინც გვირგვინოსნებში აღმოჩნდა — აგურის მასტის მეფე

შეცვლილი, როგორც უბადლო მხედართმთავრული ნიჭის გამოხატულება. სამწუხაროდ, ჯვრის მეფის იერსახე დაუნდობელ მოდას ემსხვერპლა და მრისხანე გამომეტყველების მამაცი გმირი დავარცხნილი წვერითა და ელეგანტური ულვაშით „დაამშვენეს“.

გულის პირველი ქალი კი ტროას ომის მიზეზი, მშვენიერი ელენე გახლდათ, რომელსაც შეეცილნენ კართაგენის დამაარსებელი ელისა (რომაული მითოლოგიით დიდონა), ჟანა დ’არკი, ინგლისის დედოფალი ელისაბედ I და სხვ. საბოლოოდ ეს ადგილი მაინც ბიბლიურ გმირ ქალს, ოვდითს ერგო, ვისი სახეც საუკუნეების განმავლობაში ამშვენებდა გულის მასტს.

ყვავის მასტის ქალს გამოსახავდნენ სიბრძნისა და ომის ძველბერძნულ ქალღმერთ ათენა პალადას სახით. თუმცა ტევტონები და სკანდინავიელები უპირატესობას თავიანთი მითოლოგიის ისეთ პერსონაჟებს ანიჭებდნენ, რომლებიც ომთან ასოცირდებოდნენ.

XIV-XV საუკუნეებში მხატვრები ვერ თანხმდებოდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო აგურის ქალის პროტოტიპი. გამონაკლისი მხოლოდ საფრანგეთი იყო, სადაც ის ამორძალების დედოფლის, პენთესილეას (ბერძნული მითოლოგიით) სახით იყო წარმოდგენილი. XVI საუკუნის მავანმა მხატვარმა კი მიიჩნია, რომ აგურის ქალს უფრო ბიბლიური იაკობის ცოლი, რაქელი შეეფერებოდა, რომელიც გადმოცემით, სიხარბით გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, ამ ექსპერიმენტმა ყველაზე მეტად გაამართლა...

ჯვრის ქალში დიდხანს არ გულისხმობდნენ მითოლოგიურ თუ ისტორიულ გმირ ქა-

1616 წლის ბანქოს სასაჩუქრე კომპლექტი

ბანქოს „პერსონაჟების“ თანამედროვე გამოსახულებები

ლებს, საბოლოოდ კი ფრანგებმა მას გამოგონილი პერსონაჟი — არგინა მიუსადაგეს, რომელიც ლათინური რეჯინას (დედოფლის) ანაგრამაა. ჩანაფიქრმა გაამართლა და დამკვიდრდა კიდეც. მეტიც, დედოფლებს, ფრანგი მონარქების ფავორიტ ქალებსა და საყვარლებს მას შემდეგ არგინათი მოიხსენიებდნენ.

ვალეტების როლს თავდაპირველად ოთხი უსახელო რაინდი ასრულებდა, თუმცა ბანქოს ამ პერსონაჟის სახელი უფრო ლაქიად, მოსამსახურედ ითარგმნება. თამაშებშიც ეს ფიგურა, ტრადიციულად, თავგადასავლის მაძიებელ, არცთუ მაინცდამაინც კანონმორჩილ პერსონაჟად გვევლინება.

ამგვარი დახასიათება ზედგამოჭრილია გულის ვალეტისთვის, რომელიც ფრანგებმა ცნობილ ისტორიულ პერსონაჟს — ეტიენ დე ვინიელეს დაუკავშირეს. ეს ბატონი ასწლიანი ომის დროს ერთ-ერთი სარდალი გახლდათ, გამოირჩეოდა როგორც სიკეთითა და სიმამაცით, ისე ენაკვიმატობით. ერთხანს ეტიენი ჟანა დ'არკის მრჩეველიც ყოფილა, შთამომავლობამ კი ის სახალხო ფოლკლორის იმგვარ გმირად აქცია, როგორებიც ფლამანდელი ტილ უილენშპიგელი და ინგლისელი რობინ ჰუდი არიან.

ყვავის ვალეტის პროტოტიპად იქცა ოჟე (ოგიერ, ჰოლგერ) დანიელი. ისტორიული ქრონიკების თანახმად, ის ტოლედური ფოლადის წყვილი მახვილით იბრძოდა. ამ გმირის შესახებ არაერთი გადმოცემა არსებობს. ოჟეს ზღაპრული მეფე ართურის და, ფერია მორგანა მფარველობდა და მისი წყალობით ამარცხებდა გოლიათებს, მოჯადოებულ პრინცებს კი სამფლობელოებს უბრუნებდა.

აგურის პირველი ვალეტი კარლოს დიდის ლეგენდარული ნათესავი როლანდი გახდა, თუმცა მოგვიანებით, გაურკვეველ მიზეზთა გამო, მრგვალი მაგიდის ერთ-ერთმა რაინდმა, სერ ლანსელოტის ნახევარძმამ, ჰექტორ დე მარემ ჩაანაცვლა.

ჯვრის ვალეტად ბანქოს სამყაროში მრგვალი მაგიდის უმთავრესი რაინდი, თვით სერ ლანსელოტი მოგვევლინა და თავდაპირველად ბანქოს ზოგიერთ თამაშში გამორჩეული მნიშვნელობისა ყოფილა. თუმცა თანდათანობით ბანქოს ბარათზე ნახატი იცვლებოდა და ლანსელოტს ჯერ მდიდრული კაშხლი შემოაძარცვეს, შემდეგ კი იმ გმირს გამომეტყველებაც შეუცვალეს, ისრით დაჭრილი ოცდაათ რაინდს რომ გაუმკლავდა... საბოლოოდ ჯვრის ვალეტს მხოლოდ მშვილდი შემორჩა ლანსელოტისეული.

„კალენდარული“ ვერსია

შთამბეჭდავია ვერსია, რომლის თანახმად, ბანქოში თითქოს დროა ასახული. მასტების ორი ფერი, წითელი და შავი — დღესა და ღამეს აღნიშნავს. 52 ბარათი წელიწადში კვირათა რაოდენობას ასახავს, ხოლო ჯოკერი — ნაკიან წელიწადს. ამ თეორიის თანახმად, ბანქოს ოთხი მასტი წელიწადის დროებს შეესაბამება.

თუკი თითოეულ ვალეტს 11 ქულით შევაფასებთ (ის ათიანის შემდეგ მოდის), ქალს — 12-ით, მეფეს — 13-ით, ხოლო ტუზს — ერთიანით, დასტაში ქულათა რაოდენობა 364-ს შეადგენს. ერთქულიანი ჯოკერის დამატებით კი იმდენს მივიღებთ, რამდენი დღეცაა წელიწადში. ხოლო მთვარის კალენდრის თვეების რაოდენობა — 13, დასტაში თითოეული მასტის ბარათის რაოდენობას შეესაბამება...

გელა უშარიძე

ჯემალ ღაღანიძე: ბახშიᲘᲔᲚ მწუხრის ზარები

ჯემალ ღაღანიძე დღეს უხუცესი მსახიობია და რუსთაველის თეატრის წარსულიდან ბევრი რამის მომსწრე და მონაწილე გახლავთ. იგი ცოცხალი მატიანეა, ვისაც ჩვენი განუმეორებელი დიდი არტისტებიც ახსოვს და გენიალური სპექტაკლებიც... თავადაც ღირსეული კვალი დატოვა თეატრალურ ხელოვნებაში, თუმცა ახლაც კი ისეთი თავმდაბალია, თითქოს ეს-ეს არის ფეხი შედგა სცენაზე და საამაყო ჯერ არაფერი აქვსო... არადა, საამაყოს მეტი რა აქვს... ამჯერად როლებზე არ ვლაპარაკობთ — მისი განვლილი ცხოვრება მაინტერესებს.

ძველებური ავეჯით გაწყობილ მის ოთახში ვსხედვართ. კედლებზე აფიშებია — ზოგი რუსთაველის თეატრის სპექტაკლების, რომლებშიც ჯემალ ღაღანიძე მონაწილეობდა, ზოგიც ნათია ღაღანიძის კონცერტებისა. შინაც ორნი არიან — მამა-შვილი. ნათია ცოტა ხნით არის ჩამოსული საქართველოში... ბატონ ჯემალს არ უყვარს უცხოეთში ყოფნა... მექსიკაში გასტროლები ახსენდება, მოულოდნელად, ერთი კვირით რომ გაუხანგრძლივეს უცხოეთში ყოფნა და ძალიან განიცადა.

ჯემალ ღაღანიძე დედასთან ერთად

კარგად მესმის, რატომ არ გაუწევს გული უცხოეთისკენ არასოდეს. იქ ხომ არც ეს პა-

გიზოს როლში, სპექტაკლიდან „ქუთათურები“

ტარა ოთახია, ძველი ფოტოებითა და აკვეჯით, არც ეს უბანი, მეგობარი ბიჭებით — 80 წლისანიც რომ ბიჭები იქნებიან, არც ეს მეზობლები... არაფერი შეედრება საკუთარ ქალაქში, საკუთარ სახლში ცხოვრებას და ფიქრს წარსულსა და მომავალზე...

— ჩვენს უბანს საბურთალოს ბაზრის უბანი ერქვა. სადაც ახლა სპორტის სასახლეა, იქ დიდი ბაზარი იყო, ყველაფერი იყიდებოდა. ათასი ჯურის ადამიანი იყრიდა თავს. ახლა სადაც „აჭარაა“, იქ იყო ჩემი საბავშვო ბაღი. მისი ფანჯრებიდან მოჩანდა ხალხმრავალი ბაზრობა. დედა საბავშვო ბაღის პედაგოგი იყო. ამიტომ კარგა ხანს სკოლიდან მაინც ბაღში მივდიოდი... ერთხელ მახსოვს, მასწავლებლებმა დაიძახეს, გალაკტიონიო... გავიხედე და დავინახე: გაჩერებაზე წვერიანი კაცი იდგა, შავი პიჯაკი ეცვა და მკერდზე ლენინის ორდენი ეკეთა.

ომის დროს ჩვენი სკოლა დაგვაცლევინეს და სამხედრო ჰოსპიტლად გადააკეთეს. მოსწავლეები მივყავდით დაჭრილებთან და კონცერტს გვამართვინებდნენ. მე და ჩემი უფროსი ძმა კარგად ვმღეროდით, ფანდურზეც ვუკრავდით. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ვმღეროდით ჰოსპიტალში...

დაჭრილებისთვის კინოფილმები მოჰქონდათ. ჩვენ ძალიან გვინდოდა ფილმის ნახვა, ჯარისკაცები შეგვაპარებდნენ ხოლმე და სპორტულ დარბაზში ეკრანის უკან დაგვსხამ-

საინგილოს სკოლის მოსწავლეები

დნენ. ვისხედით და უკულმა ვუყურებდით ფილმებს.

სკოლაში ვცუღლუტობდი... ჩვენი დირექტორი მათემატიკოსი იყო. ჩემს ძმაზე იტყოდა ხოლმე: ეს ჩემი მოსწავლეა, მაგრამ ჯემალი ვინ არის, ვერ გეტყვით, მაგას ფანდური უნდა მისცე ხელში, ამღერო და აცეკვოო...

მახსოვს ძველი თბილისი: კურტნის მუშები, „ლინეიკები", ფაეტონები...

ძალიან ადრე — V კლასში მოვწიე პირველი სიგარეტი. ახლა რომ ვახუშტის ხიდია, იქ საცალფეხო გადასასვლელი იყო სტადიონამდე, გადავიდოდით, შევიდოდით და იქ ვეწეოდით...

ასე პატარა როგორ ვბედავდი? აბა, ახლა ნახეთ მეხუთე-მეექვსეკლასელები რას ბედავენ! ჩვენ არაფერს ვაშავებდით მაინც... სიგარეტის ამბავი კი იცით, როგორ დასრულდა? უკვე თეატრში ვიყავი, რეპეტიცია მქონდა. უბანში ყველას ყურადღების ცენტრში ვყავდი. გავედი გრძელი ბუკლეს პალტოთი და თეთრი შლაპით. უზმოზე ვიყავი, პაპიროსი გავაბოლე და... თურმე წავქცეულვარ. რომ გამომაფხიზლეს, ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი და, მოდიოდი, უცებ ფეხი აგერია და წაიქეციო. სიგარეტმა მომწამლა თურმე. მაშინ დავიგინე: მომწევის ასე და ისე-მეთქი. მას შემდეგ არც ერთი ღერი აღარ მომიწევია.

VII კლასში გადავწყვიტე, რომ მსახიობი გამოვიდოდი. აღარც მახსოვდა, ერთხელ ჩემ-

ბატონი სიმო („ფილოსოფიის დოქტორი")

ჯემალ ღაღანიძე (დგას მარცხნიდან მეოთხე) რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად

ფირუზა („მეტეხის ჩრდილში“)

ილარიონი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)

მა დამრიგებელმა კლასიდან რომ გამაგდო. მოვბრუნებულვარ და მითქვამს, დრო დადგება, ჩემს სპექტაკლებზე ბილეთის რიგში დადგებით-მეთქი. გავიდა ხანი, არტისტი გავხდი. „ხანუმაზე“ ბილეთები არ იშოვებოდა. ჩემი მასწავლებლისთვის უთქვამთ, ჯემალი ხომ შენი მოსწავლე იყო, წადი, სთხოვე ბილეთიო. არაო... ეგ ჯერ კიდევ VII კლასში დამემუქრა, ვერ მივალო...

მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში მიღება წელიწადგამოშვებით იყო. თუ თერთმეტ კლასს დავამთავრებდი, ვერ ჩავბარებდი. ერთ დღეს ოჯახში პროფესორი არჩილ ჯანაშვილი გვესტუმრა (მან ქართული სკოლა გახსნა კახში, საინგილოში). მამაჩემს უთხრა, იქ სახლ-კარი მაქვს, წავიდეს ჯემალი და ერთი წელი ისწავლოსო. აზერბაიჯანში სკოლა 10 კლასით მთავრდებოდა და მეც თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარებას მოვახერხებდი.

წავედით მე და ჩემი კლასელი გივი რაზმაძე. მას ნათესავები ჰყავდა ჯუგაანში, მისი ბიძაშვილი ანზორიც შემოგვიერთდა და ყველამ ერთად დავამთავრეთ კახის სკოლა. ანზორის მამა გვამარაგებდა პროდუქტებით... ბევრი კარგი მახსოვს იმ წლებიდან. იქაურ კლუბში თეატრი გავხსენით, სპექტაკლებს ვდგამდით და ჩემს მეგობრებს, კლასელებსა და მასწავლებლებს ვათამაშებდით... რეჟისორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი მე ვიყავი. რომ წამოვედი, ტიროდნენ...

მისაღები გამოცდები თუ მახსოვს? ისტორიის გამოცდა მახსენდება. საბუთები ჩვენი ხელით შეგვქონდა და გამომცდელს ვუდებდით მაგიდაზე. ატესტატი ორი მხრიდან იყო შევსებული: რუსულად და ქართულად, ჩემი ატესტატი — რუსულად და აზერბაიჯანულად. ვიდრე გამომცდელთან შევიდოდი, გამაფრთხილეს, ერთი გამომცდელი ისტორიკოსია, მეორე — რუსულის სპეციალისტი. მეორესთან დაჯექი, ნიშნებს ადვილად წერსო. შევედი. ის მეორე საშა კიკნაძე აღმოჩნდა. გადააბრუნა ჩემი ატესტატი და ეს რა არისო... ვუამბე საინგილოს ამბავი. მეკითხება და მეკითხება საინგილოზე... ერთი საათი აღარ გამომიშვა. ისტორიიდან არც უკითხავს რამე... კარგ ჯგუფში მოვხვდი. გიგა ლორთქიფანიძე იყო ახალი ჩამოსული მოსკოვიდან და მისი პირველი ჯგუფი ვიყავით.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები ბევრს ქეიფობდნენ და ჩხუბობდნენ? — კი ბა-

ტონო, ქეიფი არ გვაკლდა, მაგრამ ჩხუბი უფრო ჩვენზე ერთი წლით უფროსმა სტუდენტებმა იცოდნენ. ოთარ მეღვინეთუხუცესის ჯგუფელები იყვნენ მუშტი-კრივის ხალხი.

მაშინ მოდაში იყო შეკერილი კოსტიუმები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რომ იყო, ზურაბ პატარიძე, იმისი დედა კერავდა. დავდიოდით და ვაკერინებდით... მახსოვს, შავი კრეპის პიჯაკები შემოვიდა მოდაში და მთელი თბილისი გადაშავდა. მეც მქონდა კრეპის პიჯაკი...

გიგა ლორთქიფანიძე ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორად დანიშნეს და ჩვენი ჯგუფის წაყვანა მოინდომა. ჯერ სადიპლომო სპექტაკლი არ გვქონდა ნათამაშები, რომ მე და ზინა კვერენჩხილაძეს მიხეილ თუმანიშვილმა შემოგვთავაზა რუსთაველის თეატრის ერთ სპექტაკლში თამაში. ეს რამხელა ამბავი იყო ჩვენთვის! გამოვეყავი ჯგუფს... მოღალატე ხარო, კი მეძახეს... ვუთხარი, ბატონო გიგა, თქვენ თბილისში გადმოგიყვანენ, ჩვენ კი იქ უნდა ჩავრჩეთ-მეთქი... ისე გაუმართლდეს ყველას, როგორც ეს გამართლდა. გიგა გადმოვიდა თბილისში და სხვები ჩარჩნენ... მერე ნელ-ნელა დაბრუნდნენ თბილისში...

თეატრალურ ინსტიტუტში შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ ვითამაშეთ. მოვიდნენ თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები, აინტერესებდათ, როგორი გამოშვება იყო. მაშინ ეროსი მანჯგალაძე თეატრის პარტკომიც იყო და საბჭოს თავმჯდომარეც... მე არ ვიცნობდი. ისე, ერთი სოფლიდან კი ვიყავით. ორივეს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში გვქონდა ფესვები. ჩემი გვარი რომ წაუკითხავს, უთქვამს, ეს ღანირელი იქნებაო. სპექტაკლის შემდეგ შემოვიდა და აბა, რომელია ღანირსკიო. მე ვარ, ბატონო ეროსი-მეთქი. გადამეხვია. მას მერე შემერქვა ღანირსკი.

გურამ საღარაძე ჩემი მეგობარი იყო. სულ ამბობდა, შენისთანა კვიმატი და ცოცხალი კაცი კარტს არ თამაშობდეს, არ მინახავს, როგორ ვერ გადაგიბირეო... არასოდეს მითამაშია. მე უფრო სპორტისკენ, ფეხბურთისკენ მიმიწევდა გული.

ჩვენი თეატრის პირდაპირ ბორჯომის წყლები იყიდებოდა. იმ შენობაში ცხოვრობდა ფეხბურთელი ავთო ხელაძე და ხშირად მოდიოდა სპექტაკლებზე. მისგან გავიცანი სხვა ბიჭები: მიშა მესხი, სერგო კოტრიკაძე... ძალიან მოსწონდათ დედაჩემის გამომცხვარი

ლავრენტი და მამამთილი („კავკასიური ცარცის წრე“)

გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, კახი კავსაძე

თაღრია (მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე“)



შალვა („მოხუცი ჯამბაზები“)

„მოხუცი როგორ წარმომიდგენია თავი? როგორიც ახლა ვარ“

ხაჭაპური. მოიტანდნენ ფქვილს, ყველს და აბა, სოფიკო დეიდა, გამოგვიცხვეო...

33 წლის ვიყავი, ცოლი რომ შევირთე. მიშა მესხი ჩემი ხელისმომკიდე იყო. ცეკვა და სიმღერა არ იცოდა, მაგრამ ისე მოილხენდა, მის ყურებას არაფერი სჯობდა...

მიშა მესხი და ეროსიც დამეგობრდნენ. მიშა ხშირად გვაკითხავდა თეატრში. ვერაფრით ვასწავლეთ სიტყვა „რეპეტიცია“, მორჩა ტრენიროვკაო? — იკითხავდა ხოლმე. დაგველოდებოდა, მერე ჩაგვსხამდა „ვოლგაში“ და მივყავდით საქეიფოდ. რუსეთში რომ მიდიოდა თამაშებზე, მანქანას მე მიტოვებდა. მიხაროდა, მიშას „ვოლგით“ რომ დავდიოდი. 11 ნომრით თამაშობდა, მანქანის ნომერიც 11-11 ჰქონდა. უბნის ბიჭები მთხოვდნენ ხოლმე, ჯემალ, დაგვაპატიჟებინე მიშა, მასთან გვაქეიფეო და მეც ვაწყობდი ამ საქმეს. არ ყოფილა შემთხვევა, მათთვის გადაეხდევინებინა ფული, ისე ახერხებდა, რომ სულ თვითონ იხდიდა. გულიანი ბიჭი იყო!..

...იყო ასეთი სპექტაკლი — „დაკარგული ბარათი“. ქალაქის მოხუც მერს ვთამაშობდი. ეროსი მედგა გვერდით. დაიძახებდა, „ყოჩაღო“ და ზურგზე ხელს მირტყამდა. იმხელა ხელი ჰქონდა, რომ დამცხებდა, ლამის თავი დამერტყა სცენაზე. თვითონ კი იცინოდა. ერთხელაც დასარტყამი ინსტრუმენტის რკინის მრგვალი თეფში ვიპოვე. ჩამოვიკიდე ყელზე თოკით, ბეჭებზე გადავიგდე და მოსასხამის ქვეშ დავმალე. დამარტყა ეროსიმ და ისეთი ხმა იყო, კინაღამ გული გაუსკდა... ვაი, შენ რა გითხარიო...

მოხუცი როგორ წარმომიდგენია თავი? როგორიც ახლა ვარ, ეგრე. სარკეში ვიხედები და ვხედავ მოხუც ჯემალს. მუხლები მტკივა, თორემ გონებრივად ძველებურად ვარ. ახლა „კავკასიური ცარცის წრე“ რომ აღადგინონ, თამაში გამიძნელდება. მე სულ პლასტიკაზე მქონდა ყველაფერი აწყობილი, ვცეკვავდი... როგორც უნდა დაატანო თავს ძალა, ის აღარ ხარ, რაც იყავი.

ცხოვრება მიდის. ხან ერთ საყვარელ კაცს ვკარგავ, ხან — მეორეს. ძალიან ბევრი მეგობარი დავკარგე. პირველი მწუხრის ზარი სკოლაშივე გვქონდა, — ჩვენი მეგობარი გურამ გუჯაბიძე გარდაიცვალა. მერე და მერე გახშირდა მწუხრის ზარები.

ᲚᲔᲚᲐ ᲧᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ

�გᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲐ:

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲠᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔ...

„როცა უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებდი, ისტორიის გამოცდაზე ლევან სანიკიძემ ცხრიანი დამიწერა. წლების მერე გამოცდის ჩაბარება კიდევ თუ მომიწევდა, აღარ მეგონა, მაგრამ რადგან გსურთ, მობრძანდით“, — მითხრა ჟურნალისტმა გოდერძი შარაშიამ და შინ მიმიპატიჟა.

— გოდერძი, გამოცდაზე მწერლისა და ისტორიკოსის, ლევან სანიკიძის მაღალი შეფასება იმის დასტურია, რომ ისტორია კარგად იცით..

— იმ წლებში უფრო კარგად ვიცოდი, კარგად მომზადებული ვიყავი, თარიღები და ფაქტები არ მავიწყდებოდა. ალბათ ახლა ზოგიერთი რამ აღარც მახსოვს. ლევან სანიკიძე ყველაფერს დეტალურად მეკითხებოდა, მაგრამ ვინ იყო, არ ვიცოდი, მაშინ სახეზე არ ვიცნობდი. ათქულიანი შეფასებიდან ცხრიანი დამიწერა. როგორც ჩანს, უკმაყოფილება შემამჩნია, მკითხა, — რა მოხდაო. ყველა კითხვაზე გიპასუხეთ და ათიანი არ მეკუთვნოდა-მეთქი? მე კი დაგიწერ, მაგრამ გარეთ რომ გახვალ და იტყვი, ათიანი მივიღე, ხალხი რას იფიქრებს, ამ ბიჭმა ამდენი რა იცოდა, რომ ლევან სანიკიძემ ათიანი დაუწერაო. ასე გავიგე, ვინ იყო ჩემი გამომცდელი.

— როგორ ფიქრობთ, წლების შემდეგ, დღევანდელ დღეზე რას იტყვიან?

— კარგს ბევრს ვერაფერს იტყვიან. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ბევრი გმირი ცხოვრობს საქართველოში. მათზე აუცილებლად უნდა მოვუთხროთ შთამომავლობას. ამ ადამიანებზე დგას საზოგადოება.

— თურქეთში მდებარე რომელი ქართული მონასტერი იწოდებოდა „დიდებულ ლავრად“?

— შატბერდი, სადაც „შატბერდის კრებული“ შეიქმნა.

— ფართობის მიხედვით, რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო?

— რუსეთი.

— რა ერქვა ძველ საბერძნეთში მხატვრებს, რომლებიც კურტიზანებს მაკიაჟს უკეთებდნენ?

— არ ვიცი.

— პორნოგრაფები. ამერიკის რომელი პრეზიდენტის მკვლელობა უკავშირდება ჯონ ბუთის სახელს? მიგანიშნებთ, იგი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მიწისმზომლად, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა.

— აბრაამ ლინკოლნის.

— რა ერქვა გიორგი საakაძის ვაჟს, რომელსაც შაჰის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს?

— პაატა.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპნენ ძმები ხერხეულიძეები?

— მარაბდის ბრძოლაში.

— 1709 წელს ავღანეთში ღალატით მოკლეს ერთ-ერთი უმამაცესი ქართველთაგანი, რომელმაც თავისი სიმამაცე სამშობლოსთვის ვერ გამოიყენა და სხვა ქვეყანას ემსახურებოდა. გამუსლიმებულს მკერდზე დაკიდებული ჯვარი აღმოუჩინეს. ვინ იყო ეს ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი?

— ეს ცნობილი ამბავია, თუ არ ვცდები, ქართლის მეფე იყო.

— დიახ, გიორგი XI-ზეა ლაპარაკი. აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მიხედვით, როგორ განიმარტება სიტყვა „პატიმარი“?

— არ ვიცი.

— ორსული.

— რა საოცარია. მთაში თავისებური და ცოტა უცნაური წესები ჰქონდათ. ახლახან ხევსურეთში ვიყავი. მათი ტრადიციები ყოველთვის მაინტერესებდა. წესად ჰქონიათ, ქალი მშობიარობის დროს სახლს გარეთ უნდა გასულიყო და საგანგებოდ განკუთვნილ თითქმის ფარღალალა შენობაში მარტო ტოვებდნენ.

— ხევსურეთში გაგონილი ამბებიდან რა გახსენდებათ?

— შამილის რაზმის შემოსევის დროს, შატილის ისტორიულ ციხეში, ბოლოს ერთი კაცი დარჩენილა. მტერს ამ ციხიდან ებრძოდა, ტყვიებს უშენდა. ბრძოლაში მხოლოდ ცოლი ეხმარებოდა, ტყვიებს აწვდიდა. მათ აკვანში ბავშვი ჰყოლიათ, რომელსაც მტრის ტყვია მოხვედრია და მომკვდარა. გონება რომ არ გაფანტვოდა, ცოლს ეს ამბავი ქმრისთვის დაუმალავს. შემძრა ხევსურთა მონათხრობმა.

— ვის მემკვიდრედ აცხადებდა თავს შამილი, ქართველების პატივისცემა რომ დაემსახურებინა?

— ვერ მიმანიშნებთ?

— ის მრავალშვილიანი მეფე იყო.

— შესაძლოა ერეკლე მეფეს ასახელებდა, ვცდები?

— სწორი პასუხია. 1815 წელს კონკრეტული მიზნისთვის განიხილებოდა დიდი ბრიტანეთის სამი კუნძული: ტრინიდადი, სენტ-ლუსია და მესამე, რომელიც საბოლოოდ ცნობილი სწორედ ამიტომ გახდა. დაასახელეთ ეს კუნძული.

— რომელიმე ისტორიულ პირს უკავშირდება?

— დიახ.

— წმინდა ელენეს კუნძული ხომ არა? ნაპოლეონი რომ გეხსენებინათ, უფრო იოლად გამოვიცნობდი.

— მეორე მსოფლიო ომის დროს რომელმა ქართველმა დაიმსახურა იტალიის ეროვნული გმირის წოდება?

— ფორე მოსულიშვილმა.

— ვინ მიუძღვნა მის ხსოვნას ფილმი „ალპური ვარსკვლავი“?

— რეზო თაბუკაშვილმა.

— რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებითაა აღჭურვილი?

— დიქტატორი.

— ქართული ენის დევნა და შევიწროება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება იყო. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული ენის სწავლება არასავალდებულო გახდა. ვის სახელს უკავშირდება ეს ანტიქართული ქმედება?

— გავიხსენებ (პაუზის *შემდეგ*). მინიშნებას ვერ მეტყვით?

— მას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობა ეკავა.

— ძალიან ავირიე...

— კირილ იანოვსკის. 1832 წელს შეთქმულთა უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო საქართველოს გათავისუფლება რუსეთის ბა-

ტონობისგან. რა ერქვა შეთქმულთა გეგმას?

— „საქართველო ქართველებისთვის“.

— ამ მეფეს მონღოლი ასული ჯიგდა-ხათუნი შერთეს ცოლად, რომელიც ქრისტიანულად მონათლეს და თამარი დაარქვეს. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?

— რომელ წლებში მეფობდა?

— ორმეფობის პერიოდი უნდა გაიხსენოთ.

— დავით ულუზე ან ნარინზეა ლაპარაკი, არა?

— ერთ-ერთი უნდა დამისახელოთ.

— ვფიქრობ, დავით ულუ უნდა იყოს.

— დიახ. „სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული“. — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— თუ არ ვცდები, ნოდარ დუმბაძეა.

— ნამდვილად ასეა. ყინწვისი, დავით-გარეჯი, ვარძია, უფლისციხე: ამ ძეგლთაგან, რომელი არ მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულთა კომპლექსს?

— ყინწვისი.

— „ფეხი დამადგით, / გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, / წყალობა ჰყავით... / საქართველოის ყოვლის მპყრობელმან, / ვისურვე, დავით... / ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი / ყურძნის მტევნებით... / — ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, / მიუტევები...“ — ვისი ლექსიდანაა ეს სტრიქონები?

— ანა კალანდაძის.

— საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რომელი მხარის ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 1814 წლამდე?

— აფხაზეთის საკათალიკოსო.

— რა მეტსახელით შემორჩა ისტორიას ინგლისის მეფე რიჩარდ I?

— რიჩარდ ლომგული.

— დავით აღმაშენებლის მეფობის დროს რომელი თანამდებობა აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას?

— ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

— რა ერქვა ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ამჟამად ამოწყვეტილ ტომს?

— ვერ ვიხსენებ. იქნებ მიმანიშნოთ...

— ფენიმორ კუპერის სათავგადასავლო რომანის სახელწოდება...

— დიახ (მაწყვეტინებს), დიახ! მოჰიკანი! რომანსაც ასე ჰქვია — „უკანასკნელი მოჰიკანი“!

— მართალია. ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა, მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო... ის ხშირად ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა; სახლში წავიღებ, შევისწავლი და რამდენიმე დღეში დაგიბრუნებო. მეორე დღეს კი გაზეთში განცხადებას აქვეყნებდა, ამა და ამ პერსონამ საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი შესწირაო...

— ექვთიმე თაყაიშვილი! ისტორიის ცოდნა სწორედ ამიტომაცაა საჭირო, რომ ასეთ ადამიანთა ცხოვრებიდან მაგალითები ავიღოთ, სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ვისწავლოთ.

— ამ ხის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშაზეა გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ ითვლება. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?

— ჯერ ეს დროშა უნდა გავიხსენო.

— ამ მცენარის ნაყოფი საკვებად გამოიყენება.

— (პაუზის *შემდეგ)* ზეთისხილი, გამოვიცანი?

— დიახ! დაასახელეთ ფრანგი მწერალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, სამხედრო მფრინავი იყო და სადაზვერვო ფრენის დროს დაიღუპა.

— ანტუან დე სენტ ეგზიუპერი.

— საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: წუღრუღაშენი, ქვეშის ციხე და ორბელიანთა კარის ეკლესია?

— ბოლნისის რაიონში.

— შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი, — არტემიდეს ტაძარი ამ კაცმა დაწვა, რათა მთელ ქვეყანაზე სახელი გაეთქვა, მაგრამ კანონის ძალით, ვინც მის სახელს ახსენებდა, სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, მისი სახელი ისტორიამ მაინც შემოინახა. დაასახელეთ იგი.

— ჰეროსტრატე.

— რომელი პროფესიის ადამიანებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები დროის გადამცემებს?

— ისტორიკოსებს.

— დაასრულეთ ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამი: „აცადეთ მტერს, დაუშვას...

— „...დაუშვას შეცდომები“.

თამარ კვინიკაძე

მეცნიერული გამოკვლევები

476

ბევრი დიდი მკვლევარი მეცნიერიც გახლდათ. ზოგი ქვებისა და მინერალების შესასწავლად მიდიოდა, ზოგიერთი — მთებისა და ზღვების, ზოგიც მცენარეებისა და ცხოველების ახალ სახეობებს ეძებდა. ჩვენს დროში კი მეცნიერები ჯუნგლებს, უდაბნოებსა და ოკეანეებს იკვლევენ, რათა ისეთ რამეს მიაგნონ, რაც ჯერ არავის აღმოუჩენია.

▲ **გალაპაგოსის კუნძულებზე დარვინმა მთიულას სხვადასხვა სახეობა შეისწავლა**



▲ **დარვინი სისტემატურად აკეთებდა ჩანაწერებს ნაპოვნი ნიმუშების შესახებ. მიაჩნდა, რომ მცენარეები და ცხოველები იცვლებოდნენ იმის მიხედვით, როგორ გარემოშიც იზრდებოდნენ.**

477

1831-1836 წლებში ჩარლზ დარვინი მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გაეშურა გემ „ბიგლით“. დარვინს ფლორისა და ფაუნის ახალი სახეობების შეგროვება ჰქონდა განზრახული. მან შეისწავლა უამრავი ფრინველი, მცენარე, რეპტილია, მწერი და სხვა ცოცხალი ორგანიზმები. ინგლისში დაბრუნების შემდეგ დარვინმა არაერთი წიგნი დაწერა ბუნების სამყაროზე.

▼ **თანამედროვე ცხენები 55 მილიონი წლის წინ პატარა ცხენის მსგავსი ცხოველებისგან წარმოიშვნენ. დარვინი ამ პროცესს ევოლუციას უწოდებდა.**

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-31 ● ნაწყვეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

478 **ბუნებისმეტყველსა და მოგზაურ ჰენრი ბეიტსს ძალიან უყვარდა მწერები.** 1848 წელს ბეიტსი ამაზონიის ჯუნგლებში პეპლების, ხოჭოებისა და სხვა მწერების შესასწავლად გაემგზავრა და იპოვა მეცნიერებისთვის უცნობი დაახლოებით 800 სახეობა. ბეიტსმა დაადგინა, რომ ზოგიერთი სავსებით უვნებელი პეპელა, ხოჭო თუ მწერი შხამიანი თანამოძმეების შეფერილობას იღებს. ამას „ბეიტსის მიმიკრია“ ეწოდა.

მინაფრთიანა

ონავარი

▲ **მინაფრთიანა „ბეიტსის მიმიკრიის“ ნიმუშია. იგი უვნებელია, მაგრამ თავდაცვისას ემსგავსება კრაზანას, რომელსაც მტკივნეული ნესტარი აქვს. ნესტარი მას მტაცებლის მოგერიებაში ეხმარება.**

479 **გერმანელ მეცნიერ ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტს ამქვეყნად ყველაფრის არსში ჩაწვდომა სურდა.** ის ბოტანიკოს ემე ბონპლანთან ერთად ხუთ წელიწადს იკვლევდა სამხრეთ ამერიკას. 1799-1804 წლებში მათ შეისწავლეს შხამიანი მცენარეები, მდინარეები, მთები, ადგილობრივი ხალხური მედიცინა, ოკეანის დინებები, ქანები და ღამის ვარსკვლავებიც კი. მოგვიანებით ჰუმბოლდტმა დაწერა წიგნი „კოსმოსი“, სამყაროს ბუნების შესახებ.

*** ფონ ჰუმბოლდტმა შეისწავლა სამხრეთ ამერიკის ლანდშაფტი, ასევე ზღვის ცივი დინება სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე, რომელსაც პატივისცემის ნიშნად ჰუმბოლდტის დინება ეწოდა.**

480 **მკვლევარი მერი კინგსლი აფრიკაში მდინარეების შესასწავლად გაემგზავრა.** მან მდინარის თევზების ახალი სახეობები და ტროპიკების მკვიდრი მოსახლეობის ყოფაც შეისწავლა. მოგზაურობა ხიფათიანი გამოდგა: კინგსლი ცხოველებისთვის დაგებულ ლურსმნებით სავსე ხაფანგში გაება, გააფთრებულმა ბეჰემოთმა ლამის დაასახიჩრა, ერთხელ ნიანგიც კი აცოცდა მის კანოეში.

მართალია თუ ტყუილი?

1. ჰენრი ბეიტსმა მწერების დაახლოებით 800 სახეობა შეისწავლა.
2. ემე ბონპლანი სამკურნალო მცენარეების ექსპერტი იყო.
3. დარვინის გემს „ბასეტი“ ერქვა.
4. მერი კინგსლი ხაფანგში გაება.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მართალია; 2. ტყუილია, ეს ეკუთვნოდა ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტს; 3. ტყუილია, „ბეგლი“ ერქვა; 4. მართალია, ხეს „ეშაზიდ“

არქეოლოგიური კვლევები

▲ ნაბატეველებმა ბევრი ლამაზი ტაძარი ააგეს პეტრაში.

481 **ძველი დანგრეული ქალაქები, სასახლეები და სამარხები საუკუნეების განმავლობაში ჩამარხული იყო მიწაში ან უდაბნოს ქვიშაში.** ზოგიერთი იმდენად მიუვალია, რომ იქ დღესაც ვერავინ მიდის. როცა მკვლევარი ძველ ნანგრევებს პოულობს, შეიძლება ფარდა აეხადოს ბევრ საიდუმლოს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი ათასწლეულების წინ. უძველესი ნანგრევებიდან სხვადასხვა ნივთის ამოღებას არქეოლოგია ეწოდება.

482 **შვეიცარიელ აღმოსავლეთმცოდნე იოჰან ლუდვიგ ბურკჰარდტს აფრიკის შესწავლა სურდა.** პირველად ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა არაბული ენის შესასწავლად. 1812 წელს ახლანდელი იორდანიის ტერიტორიაზე აღმოაჩინა წითელი და ყვითელი ქვით ნაკვეთი განსაცვიფრებელი ქალაქი პეტრა, რომელიც ნაბატეველთა დედაქალაქი იყო ძვ. წ. II საუკუნეში. ბურკჰარდტი იყო პირველი ევროპელი, რომელმაც პეტრა იხილა.

▶ **შლიმანის ცოლს, სოფიას ამშვენებს ძვირფასი სამკაულები, რომლებიც ძველი ქალაქის ნანგრევებში იპოვეს.**

483 ქალაქი ტროა, რომლის შესახებაც მოთხრობილია ბერძნულ მითებში, ნამდვილად არსებობდა. 1870 წელს გერმანელი არქეოლოგი ჰაინრიხ შლიმანი თურქეთში გაემგზავრა ტროას მოსაძებნად და ცხრა ქალაქის ნანგრევი იპოვა. მისი აზრით, ერთ-ერთი სწორედ ტროა იყო. შლიმანმა დაადგინა, რომ ქალაქი რამდენჯერმე დანგრეულა და ხელახლა აშენებულა. მან ქალაქის ნანგრევებში ოქროს ულამაზეს სამკაულებსაც მიაკვლია.

484 ამერიკელმა ჰაირამ ბინგემმა პერუში, მთებში აღმოაჩინა დაკარგული ქალაქი. ადგილობრივი მოსახლეობა მას მაჩუ-პიჭუს უწოდებდა, რაც „ძველ მთას“ ნიშნავს. მანამდე მსოფლიოს არაფერი სმენია ამ ქალაქზე. ჰაირამ ბინგემმა მაჩუ-პიჭუ თავისი წიგნით გააცნო ხალხს და დღეს ქალაქს ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ტურისტი ათვალიერებს.

▲ **ლასკოს მღვიმის კედელზე გამოსახულია ბიზონი, ირემი და უცნაური ცხოველი, შუბლზე რქით, რომელსაც ცალრქა უწოდეს.**



485 სახელგანთქმული ლასკოს მღვიმის კლდის მხატვრობა საფრანგეთში შემთხვევით აღმოაჩინეს. 1940 წელს ოთხი მოზარდი წააწყდა ვიწრო ღრმულს, რომელიც მეხდაცემული ფიჭვის წაქცევის შემდეგ დარჩა. სწორედ მის ქვემოთ აღმოჩნდა მღვიმე, რომლის კედლები მოხატული იყო ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებით, რომლებიც აქ 17 ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ.

პოლონეთის პრეზიდენტი

1 მდიდარი გლეხი ძველად

2 ძველი საბერძნეთი

3 ფრანგთა სამეფო დინასტია

4 პირუტყვით მოვაჭრე ძველად

5 XX ს. I ნახევრის უკრაინელი სახ. მოღვაწე

6 ძველებური საბრძოლო იარაღი

7 დიდებულთა საპატიო ტიტული ოსმალეთში

8 კოლუმბის ერთ-ერთი გემი

9 XII-XIII სს. ქართველი პოლიტ. მოღვაწე ზაქარია...

10 მატიანე

11 თავადაზნაურული ტიტული ევროპაში

12 ჯარის საბრძოლო წყობა საბერძნეთში

13 ძეგლის სახით აღმართული სვეტი

14 სკანდინავიური თქმულება

15 სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში

16 თურქეთის ფულის ერთეული

17 დიდი მნიშვნელობის ამბები

18 ნორვეგიის დედაქალაქი

19 ქრისტიანობისთვის წამებული არაბი

20 ქვეყანა ევროპაში

21 ადმინისტრ. ერთეული ძველ ეგვიპტეში

22 იუგოსლავიელი დიქტატორი

23 წერილობითი თხოვნა, სჩოკარი ძველად

24 ლეგენდარული შვედი მსახიობი ... გარბო

25 თვითმპყრობელობა

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ბაგრატ; 2. გერბი; 3. შტაბი; 4. ალიეევი; 5. ევა; 6. გზირი; 7. იმპიჩმენტი; 8. სანსკრიტი; 9. ომი; 10. გიული; 11. იური; 12. სპა; 13. კიი; 14. ორდენი; 15. რიგა; 16. დანტესი; 17. ლიონი; 18. ტადიჩი; 19. კოშკი; 20. ევო; 21. ნოსტე; 22. ყმა; 23. იშხანი; 24. კასტა; 25. ნასა; 26. ბიბლია. სურათზე: ბილ კლინტონი.